სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | შაბათი 23 მარტი 2002 №50 (1572) | ფასი 50 თეთრი

დიდი მადრიდულ-მიუნხენური შეხლა-შემოხლა ტრადიციული ხდება

24 მარტი. 15 საათი. მადრიდი. უნივერსიტეტის სტადიონი

ესპანეთი – საქართველო

ჩვენ ხალხისთვის ვთამაშობთ, ჩვენი მსაჯული ხალხია

ხვალ ერთა თასის ბოლოსწინა ტურში ჯერაც დაუმარცხებელი საქართველოს ნაკრები მადრიდში იქაურ „ლომებს" შეერკინება. ბორჯღალოსნები ესპანეთის დედაქალაქში გუშინწინ შეიკრიბნენ და სამზადისსაც შეუდგნენ. გუშინ ქართველმა მორაგბეებმა ორჯერ ივარჯიშეს. გვიან ღამით კი ბორჯღალოსნების მთავარმა მწვრთნელმა კლოდ სორელმა ძირითადი შემადგენლობა დაასახელა. ტრავმებმა სორელი აიძულა, ბოლო დროს უკანა ხაზში მობურთალი ვასილ კაცაძისთვის ძველი დროება გაეხსენებინა და შერკინების ფრთაზე გადაესროლა. სხვა ამბების და ჩვენებურთა სამზადისის ავკარგიანობის გასაგებად გუშინ ბორჯღალოსანთა კაპიტან ლევან ცაბაძეს დავუკავშირდით.

— დღეს მადრიდის უნივერსიტეტის სტადიონის სათადარიგო მოედანზე ორჯერ ვივარჯიშეთ. დილით მთელი გუნდი დავიტვირთეთ და რამდენიმე კომბინაციაც დავამუშავეთ. საღამოს კი მხოლოდ მორკინალებმა ვივარჯიშეთ. ძირითადი აქცენტი აუტებზე გადავიტანეთ. რუსებთან სწორედ დერეფანში მოვიკოჭლებდით. ახლა საქმე უკეთ არის, ამ მხრივ მგონი პრობლემა არ შეგვექმნება.

— ვინმეს ტრავმა ხომ არ აწუხებს?

— არა, სერიოზული არაფერია, თუმც გია ლაბაძე და ირაკლი აბუსერიძე იტკივებენ კოჭს.

— ესპანელების თამაშის ვიდეოფირი თუ ნახეთ?

— ჯერ არა. კასეტები კი მოგვცეს, მაგრამ სასტუმროში ვიდეომაგნიტოფონი არ აღმოჩნდა. ბელად ფოიეში ამერიკელი მძლეოსნები გავიცანით,-რომლებსაც ვიდეო აპარატურა აღმოაჩნდათ და მათ გვათხოვეს. გვიან ღამით კლოდ სორელთან ერთად ესპანელთა თამაშს ვნახავთ. მანამდე ისევ რუსებთან მატჩს დავუბრუნდით და დეტალურად გავარჩიეთ.

— რუსებთან თამაშისგან განსხვავებით, ხვალ ფსიქოლოგიური ზეწოლა გაცილებით ნაკლები გექნებათ. თანაც ჯგუფიდან გამსვლელი მეორე ადგილი უკვე დაიხვეთ, ასე რომ, შებორკილებმა არ უნდა ითამაშოთ...

— არა, მაგრამ ერთიც არის. რუსებთან მატჩის მერე ბევრმა ისეთმა გაგვაკრიტიკა, ვისგანაც არ ვიმსახურებდით. ჩვენ კიდევ ერთხელ ვიხდით ბოდიშს, ხალხი რომ გავაწბილეთ. ეს ხომ სპორტია... ხან წააგებ, ხან მოიგებ. ზოგიერთმა ქართული რაგბის ვითომ მამამ აბსურდული ნათქვამებით გული დაგვწყვიტა. მინდა, კიდევ გავიმეორო, რომ არანაირი ჩაწყობა არ ყოფილა, არც დუგლას კავთელაშვილი არის ბესიკ ხამაშურიძის ნათლია და არც მუხლი აგვკანკალებია. ჩვენ უბრალოდ ცუდად ვითამაშეთ. ახლა კბილებს ვილესავთ და კვირას ესპანელებსაც მოვუგებთ, ამ გამარჯვებას კი იმ ხალხს მივუძღვნით, ვისაც ჩვენი ალალად სჯერა.

ბაჩო სვანიძე

საქართველოს ნაკრები

ძირითადი შემადგენლობა

15. ბესიკ ხამაშურიძე
14. ბადრი ხეხელაშვილი
13. თედო ზიბზიბაძე
12. კახა ალანია
11. მალხაზ ურჯუკაშვილი
10. პალიკო ჯიმშელაძე
9. შოთა მოდებაძე
8. ილია ზედგინიძე
7. გია ლაბაძე
6. ვასილ კაცაძე
5. ვიქტორ დიდებულიძე
4. ვანო ნადირაძე
3. ლევან ცაბაძე (კაპ)
2. აქვსენტი გიორგაძე
1. მევლუდ მთიულიშვილი

სათადარიგოები

16. ტარიელ რატიანიძე
17. ლევან ჯაველიძე
18. მამუკა მაგრაქველიძე
19. კახა უჩავა
20. ირაკლი აბუსერიძე
21. ბობა კვინიხიძე
22. ირაკლი მაჩხანელი

CHAMPIONS LEAGUE

დიდი შხამრუღობა

UEFA CUP

ქართველებს კალაძე და მილანი დაურჩათ

ესეც წილისყრა, რომელმაც ზოგს იმედგაცრუება მოუტანა და ზოგს პირიქით. საერთოდ კი, როცა თასის გათამაშებას თითებზე ჩამოსათვლელი გუნდები შერჩებიან, იოლი მეტოქეები აღარ არსებობენ — ეს დაუწერელი კანონია. და ის, რომ „ბარსელონას" „პანათინაიკოსი" ერგო, სულაც არ ნიშნავს, რომ კატალონიელებს გაუმართლათ.

აქ მხოლოდ იმაზე შეიძლება ლაპარაკი, რომ ზოგიერთი გუნდი ერთმანეთის ისტორიული მეტოქეა და გამორჩეულ წყვილებზე ლაპარაკისას ამით თუ ვიხელმძღვანელებთ.

„ბაიერნი" — „რეალი". ბოლო ორ სეზონში ესენი ლიგის ნახევარფინალში გადაეყარნენ ერთმანეთს და მომავალი ჩემპიონიც მათ შორის იყო. ახლაც ორივე გუნდის წარმომადგენლებმა თქვეს, მერე რა, რომ მეოთხედფინალში შევხვდით, თასის მომგები ჩვენს შორის გამარჯვებული იქნებაო.

სხვებს კი თავიანთი ანგარიშები აქვთ. „მანჩესტერ იუნაიტედი" მუდამ თასის მაძიებელია და მეოთხედფინალის მეტოქე „დეპორტივოსთან" პირველ ჯგუფურ ეტაპზე ორი წაგებისთვის სამაგიერო აქვს გადასახდელი, „დეპორტივომ" კი, თავის მხრივ, ვალენსიობა უნდა გასწიოს — ჩემპიონთა ლიგაში მოულოდნელად დაწინაურებულ გუნდად უნდა იქცეს.

„ლივერპულს" თავისი თავისტკივილი მისძალებია, რადა „ლევერკუზენი" გვერგოო და, კაცმა რომ თქვას, მართალიცაა — თუ ლევერკუზენელთა თამაშს თვალ-ყურს ადევნებთ, გერმანელებს არაფერი დაეწუნებათ.

უეფას თასის ნახევარფინალში ერთმანეთს ასცდნენ „ინტერი" და „მილანი". ასცდნენ კი? ეგებ ფინალში შეხვდნენ? მეორე მხრივ, „დორტმუნდსაც" თავისი პრეტენზიები აქვს და „ფეიენოორდსაც", რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ფინალის მასპინძელია. ჩვენ კი მაინც „მილანი" გვირჩევნია — ქართველს ხომ არასდროს უთამაშია უეფას თასის ფინალში.

იხილეთ მეშვიდე გვერდი

ნაკრები ტრავმის ლიანდაგზე

ჩივაძემ დინამო წარმოადგინა

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ გუშინ ის 19-კაციანი შემადგენლობა გამოაცხადა, რომელიც სამხრეთ აფრიკასთან 27 მარტის ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა. ჩივაძის სიაში ორი დებიუტანტია, ორივე თბილისის დინამოელი — მცველი ალექსანდრე ამისულაშვილი, რომელსაც ახალგაზრდულ ნაკრებშიც უთამაშია და ნახევარმცველი ვიტალი დარასელია.

მეკარეები: დავით გვარამაძე („დინამო", თბილისი), გრიგოლ ჭანტურია („ბათუმი");

მცველები: გიორგი შაშიაშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი (ორივე — „დინამო"), რევაზ ქემოკლიძე, ვალერი აბრამიძე (ორივე — „ტორპედო", ქუთაისი), ედიკ საჯაია („ტორპედო", რუსეთი), კახა კალაძე („მილანი", იტალია), ალექსანდრე რეხვიაშვილი („სკონტო", ლატვია);

ნახევარმცველები: გიორგი ქინქლაძე („დერბი", ინგლისი), გოჩა ჯამარაული („ლუცერნი", შვეიცარია), ლევან კობიაშვილი („ფრაიბურგი", გერმანია), გოგა გახოკიძე (პსვ, ჰოლანდია), რატი ალექსიძე („ჩელსი", ინგლისი), თემურ ქეცბაია („დანდი", შოტლანდია), ვიტალი დარასელია, ლადო ბურდული (ორივე — „დინამო");

თავდამსხმელები: გიორგი დემეტრაძე („ლოკომოტივი", რუსეთი), ალექსანდრე იაშვილი („ფრაიბურგი").

დაგვეთანხმებით, შემადგენლობას ოპტიმალური არ ეთქმის. ტრავმების გამო თბილისში ჩამოსვლას ვერ ახერხებენ შოთა და არჩილ არველაძეები, გიორგი ნემსაძე და ზურაბ ხიზანიშვილი. ლევან ცქიტიშვილი კი უვარჯიშებელია, გაციებულა და წამლობს. ექიმის რჩევით და ალექსანდრე ჩივაძესთან შეთანხმებით ნაკრებს ახლახან გამოჯანმრთელებული მიხეილ ყაველაშვილიც დააკლდება. გამოძახების მიუხედავად, თამაშს კი არა, თბილისში ჩამოსვლასაც არ აპირებს მილანელი კახა კალაძე. მისი ამბავი ყველას კარგად მოეხსენება.

დანარჩენები 25 მარტს სასტუმრო „საირმეში" შეიკრიბებიან და დილმის ბაზაზე ივარჯიშებენ, მეორე დღეს კი „ლოკომოტივის" სტადიონზე, სადაც მატჩი გაიმართება.

და კიდევ: აფრიკელთა თხოვნით შეხვედრა 15 საათზე დაიწყება. არბიტრი უკრაინელი ანდრეი შანდორი იქნება.

ძოგა ინასარიძე

2001 წლის 18 მარტი. საქართველო — ესპანეთი 43:10. ვასილ კაცაძე ესპანელებთან ომს ნაჩვევია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩი

საქართველო — სამხრეთ აფრიკა

27 მარტი. თბილისი. ლოკომოტივი. 15 საათი

სონომ თავი გაათმთრა


იომო სონო

ათი ლეგიონერით გაძლიერებული მოდის „ბაფანა ბაფანა“ თბილისში. ვაკეში სამხრეთაფრიკელებს ჰოლანდიური „ჰერენვენის“ ქერა მეკარე ჰანს ვონკი უკაპიტნებს, რადგან ინგლისში მობურთალი შონ ბარტლეტი მწვრთნელმა იომო სონომ საერთოდ დატოვა ნაკრებს მიღმა. ბარტლეტის ხვედრი ერიკ ტინკლერმა და ტაბო მნგომენიმაც გაიზიარეს — ტრიოს ამას წინათ საუდელ არაბებთან სუსტად უთამაშია და ფეხბურთელებმაც სონოს წყრომაც ამად დაიმსახურეს.

სამხრეთაფრიკელთა გუნდი, მიუხედავად დანაკლისისა, სოლიდურად გამოიყურება. მეორედ დაადგამს ქართულ მიწაზე ფეხს ზაფხულში ქუთაისის „ტორპედოს“ გამამწვარებელი სიბუსისო ზუმა. მანჩესტერელი კვინტონ ფორჩუნი, რომელიც „იუნაიტედში“ რაიან გიგზის დუბლიორია, ჩვეულებისამებრ ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე გაირჯება. იგი „ბაფანა ბაფანას“ შუა ხაზში უმთავრესი ფიგურაა. ნაკრებში დაბრუნდა ჯერ კიდევ ნოემბერში გუნდიდან მოკვეთილი ტებეო მოკოენა.

„ბაფანა ბაფანას“ სათბილისო შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები: *ჰანს ვონკი (ჰერენვენი, ჰოლანდია), ანდრე არენდსე (სანტოსი);*

მცველები: *ბრედლი კარნელი (შტუტგარტი, გერმანია), ჯეკობ ლეკხეტო (ლოკომოტივი, რუსეთი), აარონ მოკოენა (ბეერსხოტი, ბელგია), მეთიუ ბუთი (მამელოდი სანდაუნზი), ჰილტონ ჯორდანი, ტაბანგ მოლეფე (ორივე იომო კოსმოსი);*

ნახევარმცველები: *კვინტონ ფორჩუნი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), დელრონ ბაკლი (ბოხუმი, გერმანია), ბენეტ მნგუნი (ლოკომოტივი, რუსეთი), ტებეო მოკოენა (სენტ გალენი, შვეიცარია), სიაბონგა ნომვეტე (უდინეზე, იტალია), სიბუსისო ზუმა (კოპენჰაგენი, დანია), ლოვერს მოლალა (მამელოდი სანდაუნზი), მაკბეტ სიბაია (იომო კოსმოსი);*

თავდამსხმელები: *ჯიმი კაულეზა (ფრი სტეიტ სტარზი), ლესლი მანიატელა (ორლანდო პაირატსი), კლემენტ მაზიბუკო (უმტატა ბუშ ბუქსი)*

გიორგი გუგავიძე

Copa Toyota Libertadores '2002

ლიბერტადორესის თასი 2002

IV ჯგუფი. V ტური

ამერიკა (კოლუმბია) 2:0 ბოლივარი (ბოლივია)

ოლმედო	5	3	0	2	7:5	9
ამერიკა	5	2	2	1	5:3	8
ატლეტიკო პარანენსე	5	1	2	2	10:10	5
ბოლივარი	5	1	2	2	9:13	5

VII ჯგუფი. V ტური

ტულუა (ბოლივია) 2:5 რივერ პლეიტი (არგენტინა)
ტალერესი (არგენტინა) 0:1 ამერიკა (მექსიკა)

ამერიკა	5	4	1	0	6:0	13
რივერ პლეიტი	5	2	2	1	7:3	8
ტალერესი	5	1	1	3	4:8	4
ტულუა	5	1	0	4	7:13	3

გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXVIII ტური

არმინია 4:1 ალემანია
შვაინფურტი 0:3 მაინცი
ფიურტი 1:1 კარლსრუე

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XXVI ტური

მაგდებურგი 3:3 ფერლი

სამხრეთ რეგიონალლიგა
XXVI ტური

დარმშტადტი 1:1 აალენი

საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XXXIII ტური

კაენი 3:2 ბოვე
აიაჩო 2:0 ლავალი
მარტიგი 1:3 ლე ავრი
ლე მანი 1:0 ნიმი

ბელგია

პირველი დივიზიონი
XXVIII ტური

ანდერლეხტი 0:0 სტანდარდი

თურქეთი

XXVIII ტური

ფენერბაჰჩე 4:1 გაზიანთეფი

რუსეთი

პრემიერლიგა. IV ტური

სპარტაკი 1:2 ლოკომოტივი

ინგლისი

პირველი დივიზიონი
XLI ტური

ნოტინგემი 0:1 ვესტ ბრომვიჩი

მეორე დივიზიონი
XLI ტური

კარდიფი 3:2 რექსემი

მესამე დივიზიონი
XLI ტური

ჰარტლპული 1:2 მაკლსფილდი

ჰოლანდია

პირველი დივიზიონი
XXIX ტური

სიტარდი 0:1 ალკმაარი

მეორე დივიზიონი
XXVIII ტური

ეინდჰოვენი 3:0 ჰაარლემი
ოსი 1:5 ვეენდამი
ტელსტარი 1:3 კამბური
ზვოლე 2:0 როზენდალი
მაასტრიხტი 3:3 დორდრეხტი
ჰერაკლესი 3:1 იგლსი

ჩეხეთი

XXIII ტური

ბოჰემიანსი 0:4 ბანიკი

პოლონეთი

პლეი ოფი. VII ტური

ამიკა 2:1 ვისლა

საქართველოს უმაღლესი ლიგა 13 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

21 ტური

ბოლნისი. თემურ სტეფანია. 1 000 (ტევადობა 3 000). 22 მარტი. 15 საათი

სიონი 0:1 ვიტ ჯორჯია

0:1 დილმელაშვილი (49)

სიონი: დალაქიშვილი, სიდამონიძე, პაპიძე, ლ. ამზიძე, კარიაული (ჩაგელიშვილი 59), მოსეშვილი, ისიანი, ნინუა, შაკიაშვილი (მინაშვილი 65), გაბისკირია, გიორგი ქორიძე
სათადარიგონი: შველაშვილი, კ. გოდერძიშვილი, ბ. შენგელია
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

ვიტ ჯორჯია: ქურაძე, კობიაშვილი, ინწკირველი, მუჯირი, ლ. ნოზაძე, გველესიანი, დილმელაშვილი, დ. დოლიძე, ადამია (ზ. მეტრეველი 74), გოჩაშვილი (მ. ცქიფურიშვილი 88), წუწუნავა (ფეიქრიშვილი 80)
სათადარიგონი: მამარდაშვილი, ზაზაშვილი, თედორაძე, კვახაძე
მწვრთნელი: ჯანი კარნევალი

გაფრთხილება: ნინუა (23), მოსეშვილი (28), ინწკირველი (30), ამზიძე (53), სიდამონიძე (63)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ლ. სილაგავა, მ. ელიკაშვილი (სამივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარჩაშაძე

ჯარიმა: 19-18; კუთხური: 5-9; კარისკენ დარტყმა: 1-3; კარში დარტყმა: 3-7; თამაშგარე: 0-5

ჯანი კარნევალი

ვიტ ჯორჯიამ კანონში შესწორება შეიტანა

მამუკა კვანტალიანი ბოლნისიდან

მატჩის მეათე წუთიდან მოყოლებული, „თემურ სტეფანიაზე“ შეკრებილი ფანობა ამაოდ ელოდა ფეხბურთის დაუწერელი კანონის ამოქმედებას, მაგრამ ვეტერინართა ბედად, საფეხბურთო ღმერთი სტუმრებს მოწყალებას არ აკლებდა.

მეორე ტაიმში დილმელაშვილმა როგორღაც პენალტი ზუსტად შეასრულა და ერთ-ერთი მთავარი საფეხბურთო კანონიც, ვერ გაიტან, გაგიტანენ, გახუნდა.

გუშინ საკუთარ თავს არ ჰგავდა „სიონი“. უფრო მართლები ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ „ვიტ ჯორჯიამ“ ითამაშა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი. ბოლნისში გუშინ სტუმრებს ყველაფერი გამოსდიოდათ. მხოლოდ საბოლოო დარტყმისას ღალატობდათ სამიზნე. წუწუნავას, ადამიას, ნოზაძეს, გოჩაშვილს და დოლიძეს ცოტა დამიზნებით რომ გაესროლათ, მაშინ „ვიტ ჯორჯია“ შესვენებაზე ძალიან სოლიდური მარაგით წავიდოდა. ბურთი ხან მასპინძელთა ხარიხას მოხვდა, ხანაც დისკვალიფიცირებული ვოლკოვის ნაცვლად მოთამაშე დალაქიშვილი იგერიებდა საგოლე დარტყმებს.

პირველ ტაიმში „სიონს“ ერთი საგოლე მომენტიღა ჰქონდა. მასპინძელთა კაპიტანი ბახვა მოსეშვილი მცველების შეცდომის შემდეგ მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ სერგო ჭურაძემ ბოლნისელის ძლიერად დარტყმული უკუაგდო და მერე მცველებმა ვითარება განმუხტეს.

ალბათ, თემურ მახარაძე არ მოელოდა ვეტერინართა სამფორვარდიან წინა ხაზს. წუწუნავა, ადამია და გოჩაშვილი ბევრს და სასარგებლოდ მოძრაობდნენ. გამარჯვება კი მაინც შუა ხაზმა გამოჭედა, სადაც დილმელაშვილი, დოლიძე, გველესიანი და ნოზაძე თამაშს სრულად აკონტროლებდნენ. კარნევალიმ ერთი უცნაური გადაწყვეტილება მიიღო — აქამდე მარჯვენაფლანგელი დოლიძე შუაში შეწია და დილმელაშვილს შეუწყვილა, ხოლო მის ადგილზე ნოზაძე გაამწესა. ამან სტუმართა ნახევარდაცვა უფრო მოქნილი და მიზანმიმართული გახადა.


თემურ მახარაძე

...საბედისწეროდ, მასპინძლები მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეცდნენ. „სიონის“ საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილმა გველესიანმა ბურთი ერთი შეხებით ცენტრისკენ შეიგდო და... ვერ დავიჩემებ მოსეშვილმა ხელით განზრახ ითამაშა-მეთქი, მაგრამ სტუმართა შეტევა მისმა მარცხენამ რომ შეაჩერა, ცხადია და ფანიაშვილიც არ დაფიქრებულა, პენალტი დანიშნა.

გაშვებული გოლის შემდეგ „სიონი“ თითქოს გამოფხიზლდა, მაგრამ ვიტელებს ვერაფერს გამორჩნენ.

ნამატჩევს კარგ ხასიათზე იყო სტუმართა იტალიელი თავკაცი — ჩვენ რამდენიმე გოლი უნდა გაგვეტანა და ძალით გავირთულეთ საქმე. შეტევის ბოლო ფაზაში უყურადღებობა შეიძლებოდა, ძვირად დაესვა „სიონს“, თუმც დღეს ბოლნისელები თამაშის იმტაზე ნამდვილად ვერ იყვნენ

გეპატიჟებათ გუდაურში სასტუმრო „ოზონი“

ორჯერადი კვება, მანქანით მომსახურება საბაგირომდე. ბარი და საუნა თქვენს განკარგულებაშია

☎ 899 54 54 87, 50 1140

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

თბილისი. ლოკომოტივი. 500 (ტევადობა 25 600). 22 მარტი. 15 საათი

ლოკომოტივი 3:2 ბათუმი

0:1; 0:2 აფხაზავა (9, 34), 1:2 დათვაძე (36), 2:2 დავითაშვილი (45), 3:2 გოგიჩაიშვილი (90მ)

ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, დავითნიძე, ცხადაძე, ლ. სალუქვაძე, პ. გოგიჩაიშვილი, გელა ქორიძე, ქიქველიშვილი (სირაძე 76), დათვაძე (ბერელიძე 89), კაიდარაშვილი (ქარდავა 46), დავითაშვილი
სათადარიგონი: ივარდავა; ზ. ლაცაბიძე, მანჩხავა, მორჩილაძე
მწვრთნელი: კახა ცხადაძე

ბათუმი: ჭანტურია, ჩიჩუა, მინდაძე, არჩვაძე (მახარაძე 14), ხუჯაძე, ქაცარავა, დ. ჯანაშია, თურმანიძე, დარჩიძე (ზ. გვაზავა 76), რომანაძე (გ. ჩხაიძე 82), აფხაზავა
სათადარიგონი: ი. ბალაძე; ბეჟანიძე
მწვრთნელი: ასლან ბალაძე

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), მ. ფრუიძე; ა. მეშკოვი (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ჯარიმა: 10-11; კუთხური: 9-4; კარისკენ დარტყმა: 9-4; კარში დარტყმა: 10-6; თამაშგარე: 4-1

მიმცემმა მისცეს, ამღებმა აიღეს

გვაცადეთ ფეხბურთის თამაში

ბათუმელმა შალვა აფხაზავამ (№11) გიორგი ლომაიას ორჯერ გაუტანა

ვაჟა ხუციშვილი

გუშინ ვაკეში, „ლოკომოტივისა" და „ბათუმის" მატჩის ბოლოს დატრიალებული ამბების გამო თავს უფლებას მივცემ, თხრობაც ბოლოდან დავიწყო, მერე კი უშუალოდ თამაშის შესახებ მოგახსენოთ.

...გოგიჩაიშვილმა მარჯვენა ფლანგიდან სტუმართა საჯარიმოში ჩაჰკიდა. კარისკენ დაძრულ ბერელიძეს თანაგუნდელმა ბურთი თავით დაუგდო. ბათუმელი მცველი დაძრულ ფორვარდს მხრებზე ხელებით წაეპოტინა, რითაც მისი მოძრაობა, ალბათ, შეაფერხა კიდეც. ფაქტია, ბერელიძე დაეცა. ავთანდილ შალამბერიძემ საჯარიმოში მონიშნული თეთრი ადგილისკენ მიუთითა. რა დიდი მიხვედრა უნდოდა, თერთმეტმეტრიანი დანიშნა. ამ დროს ანგარიში 2:2 იყო — მცირერიცხოვანი მაყურებელი კი, სკამიდან წამომდგარი, კაბა-შარვლის წმენდით გასასვლელებისკენ მიემართებოდა. პენალტისვე მოლოდინში ისინი შეჩერდნენ, სამაგიეროდ, თითქმის ყველა ბათუმელი მთავარი მსაჯისკენ დაიძრა.

სულ მცირე გადახვევას გავაკეთებ. ნებისმიერმა ფეხბურთელმა ხომ შესანიშნავად უწყის, რომ მიღებულ გადაწყვეტილებას მსაჯი აღარ შეცვლის. ჰოდა, გაბმული კამათი და დავა, ჯერ ერთი, უაზრობაა, მეორეც, სულაც არ ასწევს ამა თუ იმ ფეხბურთელის რეიტინგს.

იმას ვამბობდი, რომ გოგიჩაიშვილმა ბურთი ნიშნულზე დადო და კარის ცენტრში ჭანტურიას ისე დაურტყა, შანსი არ დაუტოვა. ბათუმელმა მეკარემ ბურთი კარიდან გამოიტანა, ისევ ნიშნულზე დააგდო, თითქოს ანიშნა გარშემომყოფთ, აჰა, გაიხარეთ, ერთხელაც გაიტანეთო. საამო სანახავი კი მინდორზე ნამდვილად არაფერი ხდებოდა. სათადარიგოდან წამომხტართა ნაწილი მსაჯთა ბრიგადისკენ მიიწევდა, ვიღაცამ წყლიანი ბოთლიც ისროლა, დაცვის სამსახური მათ შეჩერებას მოუნდა და ამ აჩხაბაჩხაში შეხვედრაც დასრულდა.

ახლა თამაშს მივყვეთ. ისეთი ბურთაობა გაჩაღდა, თქვენგან მოწონებული. მასპინძლები ფაქტობრივად ორი მცველით თამაშობდნენ. ცხადაძე და დავითნიძე აფხაზავასა და ჯანაშიას დარაჯობდნენ. შეტევაში „ლოკომოტივს" ოთხი თავდამსხმელი ჰყავდა, ფლანგებიდან კი ბალაშვილი და სალუქვაძეც მათ ეხმარებოდნენ. როგორც ნამატჩევს კახა ცხადაძემ თქვა, გარისკა მოსაგებად. ასეთი ტაქტიკაც იმიტომ ირჩია. დაიწყო მატჩი და სტუმართა კარის შტურმი. სულიკო დავითაშვილი, როგორც სჩვევია, მყარად იდგა ფეხზე, მხრის ჩადგმაც არ ეშლებოდა. ძირითადად მასზე თამაშობდნენ მასპინძლები. „აბრეზაც" ხიფათს ხიფათზე ქმნიდა, თუმცა კი გოლი „ლოკომოტივის" კარში გავიდა. კონტრშეტევაზე ჯანაშიამ აფხაზავას საჯარიმოში მიაწოდა. დავითნიძეს რატომღაც თამაშგარე ეგონა, რის გამოც წამით შეყოვნდა. ბათუმელმა ბურთი ლამაზად მოათვინიერა და ლომაიას ახლოდან გაუტანა. „ლოკომოტივმა" წნეხი გააძლიერა, მაგრამ აურაცხელი მომენტები მეგოლეებმა ვერ გამოიყენეს. უმეტეს შემთხვევაში სტუმართა მცველები თამაშობდნენ თავდადებით და დარტყმებს საკუთარ თავზე იღებდნენ. ასე გაგრძელდა 34-ე წუთამდე, სანამ ისევ აფხაზავას არ მიაგნო ბურთმა. ცხადაძესთან პირისპირ დარჩენილმა ბურთი დაიმორჩილა, შებრუნდა კარისკენ და ცხრიანში დაჰკრა. ორბურთიანმა სხვაობამ მასპინძლები უფრო შეაფუცხუნა. მათმა ჟინმა საბოლოოდ შედეგი დათვაძის დარტყმულში ჰპოვა, რომელმაც მეორე გაშვებული გოლიდან ორიოდ წუთში ერთი გაქვითა. თუ თავიდან სტუმრები საჯარიმოს წინახაზთან უხვდებოდნენ მასპინძლების იერიშებს, ტაიმის მიწურულს მათ უკან დაიხიეს და გოლის სუნიც დატრიალდა. ბურთმიღებულმა „აბრეზამ" მცველებთან ჭიდილში იმდენი მოახერხა, რომ წაქცეული წამოდგა, ბურთიც არ დაკარგა. მისმა წაქცევამ საჯარიმოში საპენალტე აზრები და მცველთა შეყოვნება გამოიწვია, რითაც ისარგებლა დავითაშვილმა და გაათანაბრა კიდეც.

ავთანდილ შალამბერიძეს მატჩის დასასრულს ბათუმელთა მოგერიება მოუხდა

მეორე ტაიმში ორივე კართან იმდენი საგოლე მომენტები გამოცხვა, რომ მათი აღწერა ბევრ მელანს წაიღებს. განსაკუთრებით დავით ჯანაშიას და შალვა აფხაზავას პირისპირ გასვლები გამოსარჩევი. ერთ შემთხვევაში ლომაიამ იმარჯვა, მეორეში კი ჯანაშიამ მოისუსტა. „ლოკომოტივის" საბოლოო შტურმს კი ის მოჰყვა, რაზეც თავში გითხარით.

პრესკონფერენციაზე მხოლოდ კახა ცხადაძე მოვიდა, ასლან ბალაძის პოზიცია კი, ალბათ, გასაგებია. საინტერესო რამ განაცხადა „ლოკომოტივის" პრესატაშემ ნუგზარ ჯულელმა, ოღონდ, როგორც თავად აღნიშნა, არა როგორც პრესატაშემ, არამედ ტელეკომენტატორმა. ლაპარაკია ჩაწყობილ-გარიგებულ თამაშებზე: „ზეექვსეულის კალენდარი არამც და არამც წილისყრით არ უნდა დადგინდეს. ეს იმიტომ, „ტორპედომ", „კოლხეთმა" და „მერანმა" მათთვის სასურველ დროს ქულების განაწილება რომ ვერ მოახერხონ. კალენდარი ისე უნდა შედგეს, ამ სამმა გუნდმა ერთმანეთში თამაში დასაწყისშივე მოითავონ." კახა ცხადაძემ კი დასძინა, ის მაინც მეცოდინება, რომ ჩვენს კონკურენტს ასაღები უკვე აღებული აქვს და ჩემპიონატის ბოლოს აღარ ვინერვიულებო.

„ბათუმი" და მისი პრეზიდენტი თემურ ბეჟანიძე თბილისიდან ხელცარიელნი წავიდნენ

ფანჩულიძემ წივწივაძეს მეთორმეტე უფეშქაშა

ფოთი. ფაზისი. 600 (ტევადობა 6 000). 22 მარტი. 15 საათი

კოლხეთი 1:1 მერანი

0:1 კოშკაძე (60), 1:1 წივწივაძე (62)

კოლხეთი: მ. გვასალია, ტორჩინავა, წივწივაძე, ე. გვასალია (ჭანტურიძე 77), ფანჩულიძე, კურკვილია, ქუტიძე, პაპავა (დ. ოდიკაძე 27), კ. კვიტენაძე, ნარსია, დაუშვილი
სათადარიგონი: ქეჩხაია; წურწუმია, ნადარაია
მწვრთნელი: სოსო ფილია

მერანი: ნაჭყებია, გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი, გ. ხიზანიშვილი, გ. ილურიძე, ბაჯელიძე (კ. მეტრეველი 89), კოშკაძე, დ. ფირცხალაიშვილი, ი. შენგელია (კაკაშვილი 90), ჭანჭარაული, დ. ბოლქვაძე
სათადარიგონი: გ. გაბელია; ლ. ჩხაიძე, იეჩიანი, ფურცელაძე
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

გაფრთხილება: ბოლქვაძე (50), ფირცხალაიშვილი (57), ოდიკაძე (63), შენგელია (70)

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); მ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

ჯარიმა: 16-20; კუთხური: 9-1; კარისკენ დარტყმა: 12-1; კარში დარტყმა: 9-3; თამაშგარე: 2-8

პაატა კვანტალიანი ფოთიდან

საექვსეულოდ საქმოლეულმა გუნდებმა ითამაშეს გუშინ ფოთში. შხაპუნა წვიმაში ერთი შეხედვით უმოტივაციოთა ბურთაობა, უშელავათო და დაძაბული გამოდგა.

„მერანი" საამმატჩოდ ყვავილნარში ემზადებოდა, იქიდან კი უმთავარმწვრთნელოდ მივიდა „ფაზისზე". რატომ არ ახლდა გუნდს ოთარ გაბელია, ამის შესახებ ბევრიც ვერაფერი გავიგეთ. რაღაც-რაღაც მიზეზების გამო არ არის, თუმც ყველაფერი რიგზეაო, ზოგადად გვიპასუხეს ავჭალელებმა. ჰოდა, „მერანიც" „კოლხეთთან" სათამაშოდ დავით ჯიშკარიანმა გაიყვანა.

მასპინძლებს გვარიანი პრობლემა ჰქონდათ დაცვაში — ტრავმირებული კახა გოროზიას გზას მიხეილ ქობულაძეც დაადგა. მას მეტად რთულად აქვს საქმე, რადგან ექიმებმა კოჭის მოტეხილობა დაუდგინეს. ამიტომაც სოსო ფილია იძულებული გახდა, სასტარტოში კარგა ხნის უთამაშებელი ელგუჯა პაპავა დაეყენებინა. ამ უკანასკნელს სათამაშო პრაქტიკის სიმცირემ დაღი დაასვა. ფილია იძულებული გახდა, პაპავას ნაცვლად 27-ე წუთზე ოდიკაძე შეეყვანა მოედანზე და ტაქტიკური გადაადგილება მოეხდინა. კოლხები 3-5-2 სქემაზე გადაეწყვნენ და ამან თამაში გაათანაბრა. მანამდე სრულ უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ. გიორგი ხიზანიშვილის და კოშკაძის წყალობით, ავჭალელებს სწრაფად გადაჰქონდათ ბურთი მეტოქის ნახევარზე, იქ კი ვერცხლისწყალივით მოძრავი ფირცხალაიშვილი ბევრ თავსატეხს უქმნიდა მოწინააღმდეგეს. ორწუთიან ინტერვალში „მერანმა" ანგარიშის გახსნის ორი ჩინებული შანსი დაკარგა: ჯერ კოშკაძე-ბოლქვაძის სწრაფი შეტევის შემდეგ ბაჯელიძე დარჩა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ უხეიროდ გაისარჯა და ბურთი მამუკა გვასალიას ჩააბარა, წუთის მერე კი იგივე მდგომარეობაში ფირცხალაიშვილი აღმოჩნდა, კარგადაც გაისწორა ბურთი, თუმც მიზანმა უმტყუნა.

საგოლე შანსი კოლხებსაც ჰქონდათ, მაგრამ ორჯერ წივწივაძეს გაუცუდდა თავური.

მეორე ტაიმში კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ზღვისპირელთათვის დიდი ძალაა გელა ფანჩულიძე. სწრაფი და ენერგიული მარცხენაფლანგელის ძალისხმევამ კოლხებს უპირატესობა მოაპოვებინა. ფანჩულიძე იყო ფოთელთა შეტევების წამომწყები, მან ელდარ გვასალია და ჰამლეტ წივწივაძე აიყოლია და მეტად გაუჭირდათ ავჭალელებს.

ის-ის იყო, კოლხების ათწუთიანმა შტურმმა საგოლედ მომწიფება იწყო, რომ კოშკაძემ დახვრიტა მასპინძლები. მე-60 წუთზე სწრაფი კონტრშეტევა განახორციელა „მერანმა" და ფირცხალაიშვილი-კოშკაძის ორსვლიანი კომბინაცია ამ უკანასკნელის გოლით დასრულდა. ფირცხალაიშვილმა ჩინებული პასი გაუკეთა კარიდან 7 მეტრში მყოფ თანაგუნდელს.

მასპინძლებმა ორ წუთში გაქვითეს — ფანჩულიძემ მეთორმეტედ გაატანინა ჩემპიონატის ერთ-ერთ ბომბარდირ წივწივაძეს. მასპინძლები მერეც ბევრს ეცადნენ, თუმც ამაოდ. ზედ საფინალო სასტვენის წინ კი ლამის უქულოდ დარჩა „კოლხეთი" — სწრაფი კონტრშეტევისას კარიდან 3 მეტრში დარჩენილი ფირცხალაიშვილი სასწაულებრივ ვერ შესწვდა ბურთს.

ლანჩხუთი. ეკვრაფი შეკარდნაძე. 1 000 (ტევადობა 22 000). 22 მარტი. 15 საათი

გურია 0:2 დინამო

0:1 ამისულაშვილი (47), 0:2 დარასელია (57)

გურია: ჩომახიძე, მ. სალუქვაძე, განევი, ფანია, სულაქველიძე, ფაცურია, კუკულაძე (ხუნანშვილი 46), ლ. ჩხაიძე, ნაროუშვილი, გ. ბაბუნაშვილი (კიკაჩეიშვილი 65), ჯიქიძე
სათადარიგო: ქაფოძე, თ. გოგიჩაიშვილი, გალატრე, ჩხარტიშვილი, ქიქავა
მწვრთნელი: რამაზ ფირცხალაშვილი

დინამო: გვარამაძე, კარლოსი, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, ა. სახვაძე (კანდელაკი 46), ამისულაშვილი, მანწკავა, ბურდული, დარასელია (მაზიაშვილი 68), ანჩაბაძე, მ. ბობოხიძე (გ.გ. მიქაძე 46)
სათადარიგო: ზოიძე, სვანძე, შავგულიძე, სამხარაძე
მწვრთნელი: ივო შუშაკი

გაფრთხილება: გვარამაძე (16), მანწკავა (61), ბაბუნაშვილი (61)

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

ჯარიმა: 13-მ, **კუთხური:** 3-4; **კარისკენ დარტყმა:** 1-3; **კარში დარტყმა:** 2-მ; **თამაშგარე:** 6-6

გოლდამწვარი გურულები

დაბრძანდით, ბატონო ივო

ივო შუშაკი

გიორგი ჯანაშია ლანჩხუთიდან

ივო შუშაკმა და მისმა „დინამომ“ წაუგებელი სვლა გააგრძელეს. თუმცა, ლანჩხუთში მთლად იოლი გასეირნება არ გამოუვიდათ თბილისელებს. გურულები პირველ ნახევარში ისე მედგრად დაუხვდნენ მეტოქეს, მეორე ტაიმის დასაწყისში გაშვებული გოლი რომ არა, შუშაკს სანერვიულო უთუოდ მოემატებოდა.

პირველი წუთებიდანვე შეტევაზე დაგეშილ „დინამოს“, წინააღმდეგობა გვარიანი დაუხვდა და შესვენებამდეც ასე გაგრძელდა. მასპინძლები საკმაოდ ხისტად ებრძოდნენ მეტოქეს, განსაკუთრებით კი მოედნის შუაგულში, სადაც ანჩაბაძეს და ბურდულს თავისუფალი ქმედების საშუალება ფაქტობრივად მოუსპეს.

პირველი ხიფათი სტუმრებმა შექმნეს. მეათე წუთზე, ბურდულმა ჩინებული პასით დარასელია გაიყვანა კარგ პოზიციაზე. „დინამოს“ მოიერიშეს კი დარტყმა უზუსტო გამოუვიდა. „გურიამ“ მალევე უპასუხა. გვარამაძემ ვერ მოზომა და ბურთი საჯარიმოს გარეთ მოიხელთა. საკმაოდ სახიფათო საჯარიმო ფაცურიამ ცოცხალ კედელს კი გადაატარა, მაგრამ ხარიხას მცირედით გადააშორა.

ამის შემდეგ ბურთი ძირითადად ცენტრში ტრიალებდა. „გურია“ შეტევის ორგანიზებას, ხოლო „დინამო“ სწრაფ კონტრშეტევას ლამობდა. ორჯერ კარგადაც გამოუვიდა. ჯერ დარასელიას პასით ბობოხიძეს შეეძლო გატანა, მაგრამ განევმა იყოჩაღა და ბურთი კუთხურზე მოიგერია. მეორედ კი, ბურდულმა მარცხნივ მანწკავას გაუჭრა, ამან კი საჯარიმოში ჩააწოდა. დარასელია ბურთს ვერ შეწვდა, თუმცა, ბობოხიძე დაუხვდა ადგილზე და ხუთიოდ მეტრიდან თავით კარგადაც დაარტყა. ივარგა ჩომახიძემ და შესაშური რეაქციის ხარჯზე კარი გოლისგან იხსნა.

უგოლოდ ჩავლილი პირველი ტაიმი მეორეში თითქოს მძაფრ ბრძოლას მოასწავებდა, თუმცა, სწრაფმა გოლმა ყველაფერი ცხადი გახადა. თამაში ორიოდ წუთის განახლებული იყო, ანჩაბაძემ მარცხნიდან საჯარიმოში რომ ჩაჰკიდა. მეკარის ბაქანთან შექმნილი ორომტრიალიდან ბურთი ძელს მოხვდა და იქვე დადარაჯებულმა ამისულაშვილმა მშვიდად შეაგორა კარში.

ათ წუთში კი იმავე ანჩაბაძემ დარასელიას გაუჭრა პასი. შეცდა პოზიციურად სალუქვაძე, ბურთს ვერ შეწვდა და დარასელიამ მეკარისგან მარჯვენა შორეულ კუთხეში შეჭედა.

გაშვებულმა გოლებმა გატეხა „გურია“, „დინამო“ კი ლაღად ათამაშდა. მიქაძის თავური ჩომახიძემ ზედ კარის ხაზზე გააქცევა, ხოლო ბოლო ათ წუთში, ჯერ ბურდულმა გაიალაღა, რამდენიმე მცველს დრიბლინგით ჩაუარა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილს ძალა არ ეყო, ზუსტად და ძლიერად რომ დაერტყა. სულ ბოლოს კი მიქაძემ შვიდიოდ მეტრიდან უცილობლად გასატანი გააცუდა.

საკვირველი ის იყო, რომ პირველ ტაიმში გარაღებულ თანაბარ ბრძოლაში, თვით შუშაკი არ ნერვიულობდა და სკამზე მჯდარი მშვიდად უყურებდა შეხვედრას. 2:0-ის შემდეგ კი აღარ დამჯდარა და მალიმალ მითითებებს აძლევდა თავის შეგირდებს. რას იზამ, მწვრთნელია და გუნება.

„გურიას“ თავკაცს კი ათასი სადარდელი შერჩა. სხვას რომ თავი დავანებოთ, გოლის გატანა ყველა სიკეთესთან ერთად რომ დაავიწყდა თავის შეგირდებს, ეს არის საუბედურო.

ვაცხადებთ კონკურსს

საფეხბურთო ჟურნალის
ემბლემისა და ფორმის დიზაინის შესაქმნელად.
საუკეთესო ვარიანტის ავტორი დაჯილდოვდება
ფულადი პრემიით

კონკურსში სამონაწილეოდ გამოგვეხმაურეთ ტელეფონებზე:
39 00 98, 8 99 55 36 93

მე ვხედავ არაფერს

ზვიადი ზურაბმა გააჩერა, ჯაბა ექიმთან წაიყვანეს

კახა შალამბერიძე

...მატჩის დასრულებას ოცი წუთილა აკლდა, როდესაც გამოცდილმა ზვიად ენდელაძემ მეკარეს პირისპირ შეატოვა სეხნია კრავეიშვილი. გოლი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, თუმც ზურაბ ბათიაშვილმა ივაკკაცა და გუნდი გადაარჩინა...

ეს იყო „შევარდენზე“ გამართული გუშინდელი მატჩის პირველი (!) სახიფათო მომენტი. ხუთიოდ წუთში კრავეიშვილმა დაშვებული შეცდომის გამოსწორება სცადა და საჯარიმოში შესულმა სულაკაძეს ჩააწოდა მაღალი ბურთი. მან კი ცარიელ კარს ორიოდ მეტრიდან ააცილა.

ეს იყო და ეს. სხვა საინტერესო ამ მატჩში არაფერი მომხდარა. ზემოთ აღწერილი იმ ორი მომენტის გარდა გუნდებს ღირებული არაფერი გაუკეთებიათ.

მთელი პირველი ტაიმი ბურთის უაზრო ბაგაბუგში გაილია. ცივი ქარისგან შეწუხებული მცირერიცხოვანი მაყურებელიც „მოვალეობის მოხდის“ მიზნითა ადევნებდა თამაშს თვალს. სამაგიეროდ, ფეხბურთელებს უხეშობა გამოსდიოდათ კარგად და სერგო კვარაცხელიაც ჩვეულზე ხშირად აჩერებდა თამაშს, რაც შეხვედრას კიდევ უფრო მეტ დაღს ასვამდა.

ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა და საჯარიმოსთან მიკარებას ცოცხალი თავით არ აპირებდა. თუმც როგორ დააპირებდა? თავდამსხმელებს ხან არაზუსტად აწოდებდნენ, ხანაც მოირიშეები რჩებოდნენ თამაშგარეში.

მეორე ტაიმში „მეტალურგის“ უპირატესობა გამოიკვეთა. იმერლები თავსაც კარგად იცავდნენ და მწარედაც იჩხვლიტებოდნენ. მათგან განსაკუთრებით ორი ზვიადი — ენდელაძე და კრავეიშვილი აქტიურობდნენ.

„ვორდას“ თამაშში კი მცირე გარდატეხა შეცვლაზე შესულმა ლაშა მონასელიძემ შეიტანა, თუმც ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ტაიმის შუაწელს თენგიზ კაციამ მოედანზე ახალგაზრდა ჯაბა თავბერიძეც შეუშვა, მაგრამ ის ბურთს ერთი-ორჯერ თუ შეეხო... მერე კი დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. ასეთივე ბედს ეწია მეტალურგთა კაპიტანი გენადი კაციაშვილიც...

საბოლოოდ „მეტალურგმა“ შეძლო, მატჩი სათავისო შედეგით დაესრულებინა. რუსთავის „ვორდასთვის“ კი მოპოვებულ ქულას დიდი მნიშვნელობა მაინცდამაინც არ უნდა ჰქონდეს. უმაღლესი ლიგიდან გავარდნის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატს ხომ ახლა სამი ქულა ჰაერივით სჭირდებოდა.

„მეტალურგმა“ კი შინ ბოლნისის „სიონის“ 4:0 დამარცხების შემდეგ, ამჯერადაც არ წაგო და ლიგაში დასარჩენად დიდი ნაბიჯი გადადგა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ზამთრის შესვენებისას იმერლები კონკურენტებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ, მათი მიზანი მიუწვდომელი სულაც არაა.

ზესტაფონელი ზვიად ენდელაძე (მარცხნივ) და კახა ებრალიძე

ბადრი ჯეთელაძის ფოტო

ზურაბ დოლიძისა და ვლადიმერ ფოტო

თბილისი. შეკარდნი. 200 (ტევადობა 2 000). 22 მარტი. 15:00 საათი

გორდა 0:0 მეტალურგი

გორდა: ბათიაშვილი, ლ. ხმალაძე (თავბერიძე 71; ა. ლურსმანაშვილი 76), ბერიძე, ტანგოტაძე (ბონასელიძე 46), ზ. ცქიფურიშვილი, ზვ. ლაბაძე, ებრალიძე, ლაშა სილაგაძე, ზ. ლაბაძე, ალადაშვილი, კიტეიშვილი
სათადარიგო: ბეჟდიაშვილი; მიქელაძე
მწვრთნელი: თენგიზ კაციი

მეტალურგი: ა. ლაბაძე, ბაქრაძე, მურეგაშვილი, მალლაკელიძე, სულაკაძე, ჯობავაშვილი, მემარნიშვილი, კაციაშვილი (ტაბრიტიძე 83), ვარდიაშვილი, კრავეიშვილი, ენდელაძე
სათადარიგო: მურკვანელიშვილი; ორმოცაძე, ცნობილაძე, ტოხონელიძე, გურეშიძე
მწვრთნელი: ზაურ ჩუბინიძე

გაფრთხილება: სილაგაძე (88)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); დ. სანაია (სოხუმი)

სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

ჯარიმა: 23-29; **კუთხური:** 5-2; **კარისკენ დარტყმა:** 2-4; **კარში დარტყმა:** 4-3; **თამაშგარე:** 5-9

ქუთაისი. ტორპედო. 1 500 (ტევადობა 19 500). 22 მარტი. 15 საათი

ტორპედო 3:0 სამგურალი

1:0 ქუთათელაძე (15), 2:0 პოროშინი (38), 3:0 იონანიძე (83)

ტორპედო: ტოგონიძე, ლ. ქელიძე (გაბუზარდაშვილი 63), აბრამიძე, მახვილაძე, თოდუა, დიდავა, ქემოკლიძე (ბალანი 46), შ. ბაბუნაშვილი (ახალკაცი 46), ზ.ქუთათელაძე, პოროშინი, იონანიძე
სათადარიგო: სტურუა; აკოფიანი, ძამაშვილი, ჩიღვინაძე
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

სამგურალი: ო. ბობოხიძე, ფრანგიშვილი, ბანძელაძე, დ. ქელიძე, ლ. ტობულაძე, ფუტკარაძე, ფხაკაძე (ჯინჭარაძე 46), შ. ღონღაძე, კობალიანი (კ. ჯანანია 46), ხაჭაპურიძე (დარსაძე 46), ქადაგიძე
სათადარიგო: ბოდოკია; კიკვიძე, ხუნდაძე, შეყრილაძე
მწვრთნელი: გია გიგატაძე

მსაჯები: ა. შილაკაძე; ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. კოკაია

ჯარიმა: 8-7; **კუთხური:** 8-2; **კარისკენ დარტყმა:** 8-4; **კარში დარტყმა:** 7-0; **თამაშგარე:** 3-1

ბომბარდირები

12 - ფიფფიფაძე	კოლხეთი
პოროშინი	ტორპედო
11 - დავითაშვილი	ლოკომოტივი
ზ. ქუთათელაძე	ტორპედო
9 - აფხაზავა	ბათუმი
დათვაძე	ლოკომოტივი
მ. ბობოხიძე	დინამო
მაჭუტაძე	ბათუმი
8 - იონანიძე	ტორპედო
აფვეთია	ტორპედო
გაგუა	მერანი

უმაღლესი ლიგა	სულ							შინ							სტუმრად						
№ გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ტორპედო	22	16	4	2	52:13	39	52	11	9	2	0	30:6	24	29	11	7	2	2	22:7	15	23
2 ლოკომოტივი	22	15	4	3	38:12	26	49	11	9	1	1	22:7	15	28	11	6	3	2	16:5	11	21
3 დინამო	22	11	5	6	37:19	18	38	11	5	4	2	23:11	12	19	11	6	1	4	14:8	6	19
4 ბათუმი	22	11	4	7	31:19	12	37	11	10	0	1	22:5	17	30	11	1	4	6	9:14	-5	7
5 კოლხეთი	22	10	5	7	32:29	3	35	11	8	2	1	25:12	13	26	11	2	3	6	7:17	-10	9
6 მერანი	22	10	4	8	34:28	6	34	11	7	2	2	21:8	13	23	11	3	2	6	13:20	-7	11
7 ვიტ ჯორჯია	22	9	6	7	33:29	4	33	11	4	5	2	12:10	2	17	11	5	1	5	21:19	2	16
8 სიონი	22	7	4	11	17:30	-13	25	11	6	1	4	13:12	1	19	11	1	3	7	4:18	-14	6
9 მეტალურგი	22	4	8	10	17:34	-17	20	11	3	3	5	10:14	-4	12	11	1	5	5	7:20	-13	8
10 გურია	22	3	6	13	14:44	-30	15	11	2	4	5	6:16	-10	10	11	1	2	8	8:28	-20	5
11 გორდა	22	3	5	14	16:37	-21	14	11	3	2	6	10:16	-6	11	11	0	3	8	6:21	-15	3
12 სამგურალი	22	3	5	14	15:42	-27	14	11	3	4	4	12:13	-1	13	11	0	1	10	3:29	-26	1

იქაც კარგი კაცი იყო, აქ ინტერიც დააჭკვიანა

უეფას თასი. მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები. 21 მარტი

UEFA CUP

მილანი (იტალია) 2:0 **ჰაპოელი** (თელ ავივი, ისრაელი) (0:1)
1:0 რუი კოშტა (5), 2:0 გერშონი (45პ.კ.)
მილანი: აბიატი, შამოტი, კოსტაკურტა, ლაურსენი, კალაძე, გატუზო, ალბერტინი, ამბროზინი, რუი კოშტა (ბროკი 90), ინძაგი (ხავი მორენო 90), სიმონე (დონატი 81)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ჰაპოელი: ელიმელეხი, ბაჩარი, გერშონი, დომბი, ბილელი (უდი 88), ონიშჩენკო (ტომამა 68), აბუქსისი, ბალმაი, პიზონტი, კლეშჩენკო (ბალილი 73), ოსტერცი
მწვრთნელი: დრორ კაშტანი
გაფრთხილება: რუი კოშტა, აბუქსისი, ამბროზინი
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
23 184 მაყურებელი

ფეიენოორდი (ჰოლანდია) 1:1დ.დ. (პენ.5:4, 1:1) **პსვ ეინდჰოვენი** (ჰოლანდია) (1:1)
0:1 ვან ბომელი (75), 1:1 ვან ჰოიდონკი (90)
პენალტები: 0:1 ბრუგინკი, 1:1 ონო, 1:2 ოოიერი, 2:2 პაუვე, 2:2 ბახუაძე (მეკარე), 3:2 ვან ვონდერენი, 3:3 ჰაინცე, 4:3 ბოსველტი, 4:4 კუმანი, 5:4 ვან ჰოიდონკი
ფეიენოორდი: ზუტებირი, ემერტონი, ვან ვონდერენი, პაუვე, რგასა (ლეონარდუ 85), კალუ, ბოსველტი, ონო, ვან პერსი (შმოლარეკი 71), ტომასონი (ელმანდერი 85), ვან ჰოიდონკი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიკი
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ბოგელუნდი, ოოიერი, ფაბერი, ჰაინცე, რომედალი (ბახუაძე 78), ვან ბომელი, ლუსიუსი (რამზი 65), ბუმა, კუმანი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (ბრუგინკი 90)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: ვან ბომელი, ფაბერი, კალუ, ბოგელუნდი, ჰაინცე, ბრუგინკი, ვან ბომელი, ონო
გაძევება: ვან ბომელი (94)
მსაჯი: გრემ ბარბერი (ინგლისი)
43 000 მაყურებელი

ვალენსია (ესპანეთი) 0:1 **ინტერი** (იტალია) (1:1)
0:1 ვენტოლა (2)
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, აიალა (ჟუკიჩი 16), აურელიო, კურო ტორესი, რუფეტე, ალბელდა (მისტა 72), დე ლოს სანტოსი (ბარახა 46), ვისენტე, აიმარი, კარეუ
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი, გრეშკო, კონსეისაუ (ზეედორფი 58), ფარინოსი, დი ბიაჯო, გულიელმინპიეტრო (შიმიჩი 76), ვენტოლა (დალმა 65), კალონი
მწვრთნელი: ექტორ კუპერი
გაფრთხილება: მატერაცი, დი ბიაჯო, კალონი, კარეუ, დალმა, ტოლდო, ფარინოსი, ტოლდო
გაძევება: ტოლდო (89)
მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)
50 000 მაყურებელი

დორტმუნდი (გერმანია) 4:0 **ლიბერეცი** (ჩეხეთი) (0:0)
1:0 ამოროზო (61), 2:0 კოლერი (67), 3:0 რიკენი (70), 4:0 ევერტონი (90)
დორტმუნდი: ლემანი, ევანილსონი, ვორნსი, მეცელდერი, დედე, რეიტერი, ჰაინრიხი, რიკენი (სტევიჩი 73), როსიცკი (ოლისე 77), ამოროზო (ევერტონი 73), იან კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ლიბერეცი: კინსკი, ბილნი, ჩაბეკი (ჰოდური 59), ჰოლენაკი, იანუ, იოჰანა, ლანგერი, კოლუშეკი, ზბონჩაკი (იუნი 82), სტაინერი, ნეზმარი (გიანი 59)
მწვრთნელი: ლადისლავ იაკორჰილი
მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)
36 500 მაყურებელი

ვალენსია — ინტერი. სტუმარი ივან კორდობა (№2) და მასპინძელი იონ კარეუ

REUTERS

ორი სამყაროს („ინტერი“ და „მილანი“) მშობელმა მილანმა ევროთასებზე იტალიური გუნდების შელახული რეპუტაციის აღდგენა ითავა. ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში თუ არც ერთ აპენინელს არ შეაყოფინეს ცხვირი, უეფას თასის ნახევარფინალში ორი იტალიური ბობოლა გაძვრა.

ვერ ყოფილა ექტორ რაულ კუპერი პატიოსანი მასწავლებელი. არ უსწავლებია „ვალენსიისთვის“ ხეზე ცოცვა. რა ჭირი გჭირთ, რატომ გიჭირთ მაკარონიჭამიებს ესპანურ კლუბებთან თამაშიო, ჰკვირობდა ჭაღარა არგენტინელი. მან მატჩამდე ისიც დაიქადნა, ამ შავ ტრადიციას მოვარღვევო და აასრულა კიდეც.

კაცი იფიქრებდა, თუ კი სადმე ვნებათაღელვის წყარო არსებობს, ყველას „მესტალიაზე“ მოუყრია თავიო. ამის მიზეზი კი ნიკოლა ვენტოლა გახლდათ. ინტერბიჭებმა კუპერის დარიგება ყურად იღეს, მაგათ, „ვალენსიას“, თავიდანვე თუ არ გავუტანთ, აქეთ გაგვბდღვნიანო. მოჰამედ კალონი და ნიკოლა ვენტოლა ნიჭიერი მოწაფეები გამოდგნენ. შეხვედრის დაწყებიდან 120 წამში, ორ-სამ შეხებაში, კანისარესის თვალის არეში მოხვდნენ და ვენტოლამ ზუსტად წაუწკაპუნა ბურთს. განრისხდა და რა განრისხდა „ვალენსია“, ამხედრდნენ მთელი გუნდით მასპინძლები და ფრანჩესკო ტოლდოს კინაღამ ბურთი შეაძულეს. კუპერისეული დაცვა საჯარიმოში გამაგრდა. რაც მათ შეეძლოთ, იგერიებდნენ, რასაც ვერა, ტოლდო ყოჩაღობდა. პირველი ტაიმის ბოლოს სტუმარ მეკარეს სულის მოთქმა ეწადა და ფრანგმა არბიტრმა კლოდ კოლომბომ, დროის გაყვანაში ჩაუთვალა. შედეგად გაფრთხილებაც მიაკრა, რომელიც შემდგომში „ინტერისთვის“ კინაღამ საბედისწეროც აღმოჩნდა.

მეორე ტაიმი პირველის ტყუპისცალი გამოდგა, კუპერისეული დაცვითი ჯებირები კი აუღებელი. ერთხელ მაინც შეძლეს გაავთრებულმა მასპინძლებმა ტოლდოს კარის გახვრეტა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა თამაშგარეაო, თქვა და ნეტავ, არ ეთქვა. „მესტალიაზე“ შეყრილებმა ჯიბეები ნაირ-ნაირი საგნებისგან დაიცარიელეს და ალმის ამწევს გაჩენის დღე აწყევლინეს. მჩქეფარე სტადიონზე ერთი სიხარულის აფეთქება კიდევ მაშინ მოხდა, როცა ფრანჩესკო ტოლდო დროსტარებისთვის მეორედ გააფრთხილეს და მინდორი დაატოვებინეს. ყოფილმა ვალენსიელმა, ფრანსისკო ფარინოსმა, კარის დარაჯობა მეხერხებაო, ხელთათმანები მოირგო. არიქა, ახლა კი გვეშველაო, ერთი კი იფიქრეს მასპინძლებმა, მაგრამ სხვაგვარად ფიქრობდა კუპერი, გაცილებით ჭკვიანურად.

ნამატჩევს ჭაღარა არგენტინელმა თქვა: „ვალენსია“ ბრწყინვალე გუნდია და მან ეს დღევანდელი თამაშითაც დაამტკიცა. მასპინძლები მატჩის განმავლობაში გვიტევდნენ. ვფიქრობ, იღბალი ჩვენკენ იყო, თან სწრაფი გოლიც ძალიან წაგვადგა“.

ტყუილად არ დაიჟინა მილანელმა მანუელ რუი კოშტამ, ჩვენ უეფას თასი გვჭირდებაო. შეხვედრის დაწყებიდან ხუთიოდ წუთში ჩვეულ სტილში, საჯარიმო დარტყმით „ჰაპოელის“ ნაქები მეკარე დაამწუხრა. სტუმართა მიერ „აშენებული“ კედელი აშკარად ვიწრო გამოდგა და პორტუგალიელის თვალს ეს არ გამოჰპარვია. ამიტომაც ელიმელეხისგან დაუცველ კუთხეში იუველირული სიზუსტით დაჰკრა და „შავწითლები“ გაახარა. პირველი ნახევრის განმავლობაში მეტ-ნაკლებად საინტერესო არაფერი მომხდარა და 45 წუთიც უნდა გალეულიყო ასეთი ანგარიშით, რომ არა სტუმართა კაპიტანი გერშონი. შეიძლება ითქვას, კაპიტანს ბედმა უმუხთლა. საჯარიმოში ჩაკიდებული ბურთის მოსაგერიებლად ჰაერში გაწოლილი ბოლომდე ვერ შესწვდა მას და ელიმელეხს მწუხარება გაუორკეცა. ავტოგოლი ნამდვილად ლამაზი გამოდგა. გაწბილებულ გერშონს ამას მაინც ნუ დავუკარგავთ.

დრორ კაშტანი, „ჰაპოელის“ მთავარი მწვრთნელი, არც მთლად გულგატეხილი ჩანდა: „ჩვენ დავმარცხდით მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს და სახელოვან კლუბთან, თუმცა თამაშით გვაჯობესო, ვერ ვიტყვი. პრინციპში, მეორე გოლმა უფრო გაგვტეხა, ვიდრე მასპინძელთა ძალამ. მაინც კმაყოფილი ვარ ჩემი გუნდის თამაშით და საერთოდ, უეფას თასზე მიღწეული შედეგით“. კარლიტო ანჩელოტი დონ კარლოსავით გაჯგიმულიყო, ეს ხომ მისთვის უმნიშვნელოვანესი გამარჯვება გახლდათ: „დღეს კარგად ჩანს იტალიური ფეხბურთის კრიზისი. კლუბები ევროარენაზე ვერანაირ წარმატებას ვერ აღწევენ. ამ ფონზე კი „მილანის“ კლასი და გარჯა უფრო მეტად გამოჩნდა. რა თქმა უნდა, მოხარული ვარ ნახევარფინალში გასვლით“.

როტერდამში, სადაც უეფას თასის ფინალი უნდა გაიმართოს, ჰოლანდიური ჯახი შედგა. ორივე გუნდი ძალიან ფრთხილობდა, რადგან გაშვებული გოლი შეიძლება ძვირად დასჯდომოდათ. სიფრთხილემ თითქმის მატჩის ბოლომდე გასტანა. თხუთმეტიოდე წუთი რჩებოდა დასრულებამდე, საქმეს ხელი ეინდჰოვენელთა კაპიტანმა მარკ ვან ბომელმა რომ მოჰკიდა. ეტყობა, ძალიან არ სურდა თამაშის დამატებით დროში გადაყვანა და „ფეიენოორდის“ ქომაგობა მიკნავლდა და გაისუსა — მათ თვალწინ წარმოუდგათ მძიმე სურათი, ფინალი „ფეიენოორდის“ გარეშე. გაშვებული გოლიდან მასპინძლებმა მიჰყვეს ფეხი და სტუმართა საჯარიმო ბურთებით დახუნძლეს. აყლარწულმა ვან ჰოიდონკმა მხოლოდ ბოლო წუთზე შეძლო თავურით გათანაბრება და ტრიბუნებმაც იხუვლეს. დამატებითი დრო გარდაუვალი იყო. განახლებიდან ოთხ წუთში პსვ-ს კაპიტანს ნერვებმა უმტყუნა და უხეშობისთვის გრემ ბარბერმა წითელი ბარათით დასაჯა. მეტოქის კაცნაკლულობით „ფეიენოორდმა“ ვერ იხეირა და საქმე საჯარიმოში არსებულ ნიშნულამდე მივიდა. დასანანია, რომ პენალტის ათი დამრტყმელიდან ერთი იყო ქართველი და ზუტებირმა მაინცდამაინც მისი მოიგერია. ალალად თუ ვიტყვით, გოგამ ძალა ვერ მიატანა ბურთს, რის გამოც იგი მეკარის იოლი ნადავლი გახდა.

დორტმუნდში მათიას ზამერის მოწაფეებმა ალღუმი მოაწყვეს. თუმცა ჯერ კიდევ პირველ ტაიმში საზეიმო არაფერი ჰქონდათ. აი, მეორე ნახევარის განახლება და მეტოქის განადგურება რიგ-რიგობით იწყეს „ბორუსიას“ არტილერისტებმა. „ლიბერეცს“ საბოლოოდ სული ევერტონმა ამოხადა, როცა 90-ეზე ჩეხური გუნდის წვალებას დიდი წერტილი დაუსვა. მათიას ზამერმა ნამატჩევს თქვა: „ლიბერეცი“, როგორც ნახეთ, კერკეტი კაკალი გამოდგა. ჩეხები ფიზიკურად შესანიშნავად მომზადებულნი არიან და არც ტაქტიკურ აზროვნებაში მოიკოჭლებენ. ასეთი მოწინააღმდეგის დამარცხება მხოლოდ მსგავსი და უფრო უკეთესი თამაშით შეიძლება. სწორედ ამას ჩავჩიჩინებდი ჩემს ბიჭებს, რომლებმაც რჩევების შესრულება მეორე ტაიმიდან დაიწყეს, მოუმატეს თანდათან და მივხვდი, სტუმართა ძლევა მხოლოდ დროის ამბავი იყო. როგორც ნახეთ, შედეგმაც არ დააყოვნა“.

ზოგადად თუ გადავავლებთ თვალს მეოთხედფინალებს, საინტერესო ამბებს გადავაწყდებით. მაგალითად, კახა კალაძემ კარლო ანჩელოტის გუნდში ძირითადში დაიწყო და ბოლომდე მინდორზე დაჰყო. „მილანის“ ნახევარფინალში გასვლით კი უეფას თასის ერთი ნახევარფინალისტი ქართველი შევიძინეთ. სამწუხაროა, რომ მეორის, გოგა გახოკიძის ასევე ნახევარფინალში გაღწევა მისსავე ფეხზე ეკიდა, მაგრამ რას იზამ, ტიერი ანრიმაც ორი პენალტი გააცუდა და „არსენალის“ დონის გუნდი ჯგუფში ჩარჩა.

ვაჟა ხუციშვილი

და ჩადგა კარში ფარინოსი...

REUTERS

ფეიენოორდი — პსვ. როტერდამელი მეკარე ედვინ ზუტებირის გმირობამ გიორგი გახოკიძე მატჩის ანტიგმირად აქცია

REUTERS

მსოფლიოს ჩემპიონატი

C ჯგუფი: ბრაზილია, თურქეთი, კოსტა რიკა, ჩინეთი

ოცნება კაცისა, რომელმაც მსოფლიო მსოფლიოს ჩემპიონატს აზიარა

ბორა მილუტინოვიჩი არის ადამიანი — შედეგი. სადაც მივიდა, ყველგან წარმატებას მიაღწია. ჯერ ჩრდილო და ცენტრალური ამერიკა ახეირა — მექსიკა, კოსტა რიკა, აშშ. მერე შავ კონტინენტზე გადაინაცვლა და ნიგერიელები მუნდიალზე გაიყვანა. ლოგიკური იყო, შემდეგ გზა აზიისკენ გაეჭრა, რაც მოხდა კიდეც. ბორა მილუტინოვიჩი ჩინეთის მილიარდიან მოსახლეობაში გაერია, მაგრამ იქაც თავისი სიტყვა თქვა.

ჩინეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში 1958 წლიდან ჩაება. დებიუტი მარცხიანი გამოდგა. ორი მატჩის ჯამში ისინი ინდონეზიელებმა დაჯაბნეს. ორჯერ ძალიან ახლოს იყვნენ ფინალურ ეტაპთან. 1981-ში ახალ ზელანდიასთან პლეი ოფი დამთავრდა — 1:2, ხოლო 1997 წელს ყატარს ვერაფერი მოუხერხეს — 2:3. 1994 წლიდან ბრინჯიჭამიებმა საფეხბურთო მეურნეობას სერიოზულად მოჰკიდეს ხელი. დააარსეს პროფესიული 14-გუნდიანი პირველი ლიგა და 12-გუნდიანი მეორე. იმატა ლეგიონერთა და უცხოელ სპეციალისტთა რაოდენობამ ქვეყანაში. ჩინეთში, რომელიც ფიფას წევრია 1934 წლიდან, ამჟამად არის 45 ათასი ფეხბურთელი, 2 500 კლუბი და 500 მსაჯი. უდიდესი სტადიონი პეკინშია, სადაც 63 ათასი მაყურებელი ეტევა.

მილიარდ 240 ათას მოსახლეში იმ 11 კაცის მოძებნა ვერაფრით მოხერხდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ გააღწევდნენ. ჩავიდა ბორა მილუტინოვიჩი და საჭირო ხალხს უმალ მიაგნო. ამ კაცს, ეტყობა, იღბალიც აქვს. ჩინეთის მეტოქენი შესარჩევ ჯგუფში იყვნენ საამიროები, ყატარი და უზბეკეთი, ხოლო სხვა ფავორიტები — ირანი და საუდის არაბეთი ცალკე ჯგუფში მოხვდნენ. მოცემული შანსის გამოყენება მილუტინოვიჩის ხელობაა, რაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა. „შეიძლება ასეთი თანაჯგუფელები სხვა დროს აღარ შეგვხვდნენ. ამიტომ მაქსიმალურად უნდა ვიბრძოლოთ, რათა მუნდიალზე გავემგზავროთ“ — თქვა მაშინ ჩინეთის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა. იბრძოლეს, თანაც როგორ. პირველივე შეხვედრაში საამიროები 3:0 დაამარცხეს. საბოლოოდ შესარჩევი დიდი უპირატესობით მოიგეს და პირველ ადგილსაც დაუფლნენ. ეს საკმარისი გახლდათ ფეხბურთის ფედერაციისთვის, რათა ბორასთვის კონტრაქტი გაეგრძელებინათ. მილუტინოვიჩმა შესანიშნავად იცის, როგორ უნდა მოამზადოს გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. რაც შეიძლება ბევრი ამხანაგური მატჩები ათამაშოს და ნაკრებში საუკეთესო გამოიძახოს. უფრო ახლოს გაეცნოთ ჩინეთის ნაკრების ფეხბურთელებს, დავიწყოთ ლიდერით, ხაო ხაიდონი — 32 წლის ფორვარდი სამშობლოში საუკეთესოდ ითვლება. იგი ძალიან სწრაფია და მცველთა წნეხიდან დასხლტომა ძალუძს. შარშანდელ სეზონში ხაო ლიგის მთავარი ბომბარდირი გახდა 16 გატანილი გოლით. 33 წლის, 202 სანტიმეტრი სიმაღლის კარის დარაჯი. 2000 წლის აზიის თასის გათამაშების საუკეთესო მეკარე.



ბორა მილუტინოვიჩმა ჩინელი ქალების გულიც მოიგო

თავის მონაცემებს კარგად იყენებს გამოსვლებზე. ჯიან ჯინს სამი ახალგაზრდა კონკურენტი უდგას ზურგში, მაგრამ იმდენად სტაბილურად და თავდაჯერებულად თამაშობს, რომ თითქმის შეუცვლელია ნაკრებისთვის.

ფან ჟი — ჩვენთვის კარგად ცნობილი, „დანდიში“ ქართველთა თანაგუნდელი, 31 წლის. ფან ჟი ნაკრების ჯიგარია და თამაშიც მასზე ეწყობა. შესარჩევ ჯგუფში გამარჯვება მეტწილად მისი დამსახურებაა. შარშან ფალჟი „კრისტალ პალასში“ ბურთაობდა და „დანდიში“ იქიდან გადაბარგდა.

ჟან ენხუა — დაცვის ხაზის მთავარი კაცი. გასულ წელს განათხოვრების წესით „გრიმსბიში“ თამაშობდა, რომლის შემადგელობაშიც სამი გოლი გაიტანა, ხოლო ორჯერ მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

სუნ ჟიხაი — 24 წლის მცველი, ისევე როგორც ფან ჟი 1998 წელს კრისტალპალასელი იყო, იქიდან კი მშობლიურ „დალიანში“ დაბრუნდა. „იმწამსვე მივხვდით, რომ ბორა მილუტინოვიჩი გენიალური მწვრთნელია — თქვა ფან ჟიმ — მან შეძლო ჩვენში იმ პოტენციალის პოვნა და სწორად მომართვა, რომელმაც მუნდიალზე გაგვიყვანა. ადრე, როცა შედარებთ სუსტ მეტოქეს ვეთამაშებოდით, სწრაფი გოლი თუ ვერ გაგვქონდა, მოთმინებას მალევე ვკარგავდით. ახლა ყველაფერი თავის ადგილზეა და საკუთარი თავის რწმენა შეგვემატა“.

გალაღებულ-გაბარებულმა ჩინელმა გულშემატკივრებმა ნაკრების მატჩებზე დასასწრები ყველა ბილეთი უკვე შეიძინეს. მოსალოდნელია, რომ სამხრეთ კორეაში ჩასული ბრინჯიჭამიები დაახლოებით 60 მილიონ დოლარს დახარჯავენ, რაც კორეელებს საშუალებას მისცემს, 8 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შექმნან.

ბორა მილუტინოვიჩი უპირველესად ბიჭების ფსიქოლოგიურ მომზადებაზე ზრუნავს. „ნუ იფიქრებთ მარცხზე, იოცნებეთ მხოლოდ გამარჯვებაზე — უკიჟინებს ფეხბურთელებს — მნიშვნელობა არა აქვს, ვისთან მოვხვდით ფინალურ ჯგუფში, ჩვენ უნდა დავიხარჯოთ ასი პროცენტით, თუ გვსურს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე რამეს მივაღწიოთ. ვეცდებით, პირველი თამაში მოვიგოთ და მხოლოდ ამის შემდეგ ვიფიქრებთ მერვედფინალში გასვლაზე. ისე კი პირადად მაქვს ოცნება, რომელსაც ვერ გაგიმხელთ“ — იხუმრა მილუტინოვიჩმა.

მათი პირველი მეტოქე ბორასთვის კარგად ნაცნობი კოსტა რიკა იქნება. 1990 წელს კოსტარიკელებმა მილუტინოვიჩის თავკაცობით მერვედფინალში გააღწიეს. ჯგუფში შვედებს და შოტლანდიელებს მოუგეს, ბრაზილიელებთან კი 0:1 დამარცხდნენ. ასე რომ, არც ბრაზილია და არც კოსტა რიკა ჩინელთა თავკაცისთვის ჩინური ხილი არაა, ისევე როგორც მსოფლიოს მთავარი საფეხბურთო ფორუმი.

ვაჟა ხუციშვილი

ოპტიმალური შემადგენლობა



ფართობი: 9 596 960 კმ²
მოსახლეობა: 1 240 000 000
დედაქალაქი: პეკინი
ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1924 წელს
ფიფას წევრი 1931 წლიდან
აზიის კონფედერაციის წევრი 1974 წლიდან
ფედერაციის პრეზიდენტი: იუან ვეიმინი
გენერალური მდივანი: ვანგ ხუნ შენგი
სტადიონი: „არენა“ (63 000)
მწვრთნელი: ბორა მილუტინოვიჩი
კაპიტანი: ფან ჟი
ფორმა: თეთრ-ნითელი (კომბინირებული) მაისურა, თეთრი ტრუსი, თეთრი გეტრები
ტიტულიანი კლუბები: „ლიაონინგი“, „პეკინი“, „შანხაი შენხუა“, „დალიანი“, „ტიანხინი“
ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში: 52

გზა მსოფლიოსკენ

I შესარჩევი ეტაპი. X ჯგუფი

22.04.01
ჩინეთი 10:1 მალდივი
28.04.01
მალდივი 0:1 ჩინეთი
06.05.01
ყამპუჩია 0:4 ჩინეთი
13.05.01
ჩინეთი 5:1 ინდონეზია
20.05.01
ჩინეთი 3:1 ყამპუჩია
27.05.01
ინდონეზია 0:2 ჩინეთი

საბოლოო ცხრილი

ჩინეთი	6	6	0	0	25:3	18
ინდონეზია	6	4	0	2	16:7	12
მალდივი	6	1	1	4	8:19	4
ყამპუჩია	6	0	1	5	2:22	1

II შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

25.08.01
ჩინეთი 3:0 საამიროები
31.08.01
ომანი 0:2 ჩინეთი
07.09.01
ყატარი 1:1 ჩინეთი
15.09.01
ჩინეთი 2:0 უზბეკეთი
27.09.01
საამიროები 0:1 ჩინეთი
07.10.01
ჩინეთი 1:0 ომანი
13.10.01
ჩინეთი 3:0 ყატარი
19.10.01
უზბეკეთი 1:0 ჩინეთი

საბოლოო ცხრილი

ჩინეთი	8	6	1	1	13:2	19
საამიროები	8	3	2	3	10:11	11
უზბეკეთი	8	3	1	4	13:14	10
ყატარი	8	2	3	3	10:10	9
ომანი	8	1	3	4	7:16	6

ტიტულები

მსოფლიოს ჩემპიონატის დებიუტანტი
აზიის ვიცე-ჩემპიონი (1): 1984
ბრინჯაოს პრიზიორი (2): 1976, 1992
ოლიმპიადის მონაწილე (1): 1998

განრიგი

4 ივნისი
ხვანჯუ (ყორეა). 7.30 საათი
„ხვანჯუ ვორლდ ქაფ სტადიუმი“
ჩინეთი – კოსტა რიკა

8 ივნისი
სეოკვიპო (ყორეა). 15.30 საათი
„სეოკვიპო ვორლდ ქაფ სტადიუმი“
ჩინეთი – ბრაზილია

13 ივნისი
სეული (ყორეა). 10.30 საათი
„სეულ ვორლდ ქაფ სტადიუმი“
ჩინეთი – თურქეთი

მატჩების დასაწყისი — თბილისის დროით

არის ასეთი ქვეყანა

გასაკვირი ჩინეთში იმდენია, კაცი თვლას ვერ აუვა. აი, ერთი მათგანი: თურმე კაცს რომ საჩუქარს მიართმევ, უნდა აღუწერო, სად იყიდე, რამდენი დახარჯე და მისთანები. რაც უფრო მეტ თანხას დასახელებ, მით უფრო დაგაფასებენ და ეს წესი მოქმედებს ხალხით გატენილ მთელ იმ ნაყოფიერსა და ფართო სივრცეზე. ვგულისხმობთ მილიარდი ნაღდი ჩინელით დასახლებულ ქვეყნის აღმოსავლეთს, ისე კი, დღეს ჩინეთია ტიბეტი, გაქცეული დალაი ლამათი, უიღურების ავტონომიური რაინი, რომელიც სეპარატისტული მიდრეკილებებით გამოირჩევა და 3-მილიონიანი მანჯურიაც. მანჯურიელები მაგარი ხალხია, რადგან ლამის ერთი მუჭა ცხენოსნები იყვნენ და ორნახევარი საუკუნე კი მთელი ჩინეთი მართეს დიდი კედლის გაღმა-გამოღმა.

ეს კედელი, „რობინზონ კრუზოს“ ავტორს თუ დავუჯერებთ, სრულიად უმაჭისია. მთებსა და კლდეებზე მტერი თუ გადმოვა, კედელი როგორ შეამაგრებსო, კითხულობს ბატონი დეფო, მაგრამ მისი არგუმენტები ტურისტებისთვის უსაფუძვლოა, ისინი ათასობით აწყდებიან არქიტექტურულ საოცრებას, რომელიც 2 ათასი წლის მანძილზე არ დანგრეულა. ალბათ, ბევრგან საწყალი ზურაბის კოლეგები თუ ჩაატანეს კედელში.

სავარაუდოდ, „დიდი ჩინური კედლის“ მავან ჭონგურზე იდგა და ჰორიზონტის ოთხივე კუთხეს ნათლად ხედავდა ის გონიერი ჩინელი, რომელსაც კომპასის შექმნა მოაფიქრდა. ჩინეთშივე გამოიგონეს მილიონი ნივთი თუ ნივთიერება, ურომლისოდაც ადამიანის ყოფა წარმოუდგენელია: ქაღალდი, დენთი, მარაო და მსგავსი მრავალი. ბილიარდის თამაშიც ჩინელებმა დაიწყეს და ეს ყველაფერი უკვე იყო, ხოლო რა იქნება, მე კი არა, მოწინავე პოლიტოლოგები და ანალიტიკოსები ვერ გეტყვიან: ჩინეთი პლანეტის ყველაზე გამოუცნობი ქვეყანა გახლავთ.

დავით გულუა

ჩემპიონთა ლიგა
მეოთხედფინალის წილისყრა

პანათინაიკოსი (საბერძნეთი)	ბარსელონა (ესპანეთი)
ბაიერნი (გერმანია)	რეალი (ესპანეთი)
დეპორტივო (ესპანეთი)	მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
ლივერპული (ინგლისი)	ლევერკუზენი (გერმანია)

I მატჩები გაიმართება 2-3 აპრილს, საპასუხოები — 9-10 აპრილს

ნახევარფინალის წილისყრა

პანათინაიკოსი ან ბარსელონა — ბაიერნი ან რეალი

დეპორტივო ან მანჩესტერ იუნაიტედი — ლივერპული ან ლევერკუზენი

I მატჩები გაიმართება 23-24 აპრილს, საპასუხოები — 30 აპრილს და 1 მაისს

ფინალი. 15 მაისი. გლაზგო. „ჰემდენ პარკი"

ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს

ემილიო ბუტრაგენიო, ნიონურ წილისყრაზე მადრიდის „რეალის" წარმომადგენელმა, ბურთულების გახსნის მერე თავი გააქნია, მოგვიანებით კი თქვა, ჩვენი წყვილის გამარჯვებული ჩემპიონთა თასს დაეუფლებაო და აწ უკვე აუხდენელი ოცნებაც გაამხილა, ნეტავ, ფინალში გადავყროდით „ბაიერნსო". მოგეხსენებათ, ჩემპიონთა თასის ყველაზე ლამაზ ფინალად 1960 წლის „რეალი" — „აინტრახტი" ითვლება (7:3) და მადრიდელთა სურვილი ყოფილა, „სამეფო კლუბის" საუკუნოვანი იუბილეს წელს, ამ თასის ფინალში კვლავაც გერმანულ გუნდს გაჯიბრებოდნენ.

ჩემი სათქმელიც ეგ არისო, კვერი დაუკრა ბუტრაგენიოს „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ, ბოლო ორი წელია, ნახევარფინალში ვხვდებოდით და სწორედ ჩვენს შორის უმჯობესი იგებდა მერე თასსო.

ჩვენ კი დავძინოთ, რომ მეოთხედფინალის წილისყრის ყველაზე გამორჩეული წყვილი სწორედ „რეალი" — „ბაიერნია", 2000 და 2001 წლების ჩემპიონთა დაპირისპირება, თასი ჯამში თორმეტჯერ რომ მოუგიათ.

1999 წლის ჩემპიონი „მანჩესტერი" „დეპორტივოს" ხვდება, ხოლო „ბარსელონას" ბერძნული „პანათინაიკოსი" ერგო.

და რა მოხდება, თუ „რეალი" გამოაგდებს „ბაიერნს", „ბარსელონა" კი „პანათინაიკოსს"? მაშინ ესპანური სუპერკლასიკო ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გაგრძელდება. მაგრამ ამგვარი სცენარი სულაც არ შედის მიუნხენელთა გეგმებში: „მადრიდელებს ინდივიდუალურად ჩვენზე უკეთესი ფეხბურთელები ჰყავთ — თქვა რუმენიგემ — მაგრამ, თუ არ ვცდები, „ბაიერნი" ერთადერთი გუნდია ევროპაში, „რეალთან" ურთიერთშეხვედრებში უკეთესი მაჩვენებელი რომ აქვს".

გავიხსენოთ, 1990 წლის მერე ჩემპიონთა თასის ზედიზედ ორჯერ მოგება ვერავის მოუხერხებია, მაშინ ეს „მილანმა" შეძლო, როცა ფრანკ რაიკარდის ერთადერთი გოლით „ბენფიკას" მოუგო (1989 წელს კი ფინალში „სტიაუა" 4:0 დაამარცხა).

ეს ის „მილანია", ახლა უეფას თასის ნახევარფინალში რომ გაძვრა და იქ დორტმუნდის „ბორუსიას", 1997 წლის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულს ხვდება. მანუელ რუი კოშტამ თქვა, ნახევარფინალში ფართე არჩევანი არც გვაქვს, მაგრამ გერმანელებთან დაჯახებით მაინც კმაყოფილები ვართო.

ლიგას მივუბრუნდეთ. წილისყრით ყველაზე კმაყოფილი „მანჩესტერ იუნაიტედი" უნდა დარჩენილიყო. აკი ალექს ფერგიუსონი ამბობდა, მეოთხედფინალში ოღონდ „რეალი" არ შეგვხვდესო... კლუბის მდივანმა კენ მერიტმა კი თქვა, პირველ ჯგუფურ ეტაპზე ორი წაგებისთვის ჯავრი გვაქვს საყრელიო.

ხოლო „დეპორტივოსთვის" სახეირო ამბავი სწორედ ის ორი მოგებაა, „მანჩესტერის" კარის გასაღები ნაპოვნია.

და კიდევ, მერიტმა ისიც თქვა, სერ ალექსის ოცნება, ფინალში, მშობლიურ გლაზგოში, „რეალის" ძლევაა.

„ლივერპულის" დირექტორი რიკ პარი წილისყრის შედეგებით ნაკლებად კმაყოფილი დარჩა, გვერჩივნა „ლევერკუზენი" აგვცდენოდა, თუმც „მანჩესტერი" რომ არ გვერგო, ესეც კარგიაო. აბა, ვინ უნდოდა „ლივერპულს", „პანათინაიკოსი"?

გიორგი დარჯანია

„რეალს" და „ბაიერნს" ურთიერთობის გარკვევა ყოველწლიურად უხდებათ

UEFA CUP
ნახევარფინალის წილისყრა

ინტერი (იტალია)	ფეიენოორდი (ჰოლანდია)
დორტმუნდი (გერმანია)	მილანი (იტალია)

I მატჩები გაიმართება 4 აპრილს, საპასუხოები — 11 აპრილს

ფინალი. 8 მაისი. როტერდამი. „დე კუიპი"

პიაჩენცას კაცი ვარ?!
ხოსეპა ვარ. გვარდიოლა, მაინც გაგიგორებთ!



გუშინ ხოსეპ გვარდიოლას ტანჯვას ბოლო მოელო, ოთხთვიანი დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა. შარშან 21 ოქტომბერს „ბარსელონას" ყოფილი კაპიტნის და სიმბოლოს სისხლში ნანდროლინის კვალი აღმოაჩინეს, 4 ნოემბრის განმეორებითმა ტესტმაც იგივე აჩვენა და ხმაურიანი საქმის გარჩევაც დაიწყო, რაც, როგორც აღვნიშნეთ, დისკვალიფიკაციით დამთავრდა.

ამ უქმეებზე გვარდიოლა, ალბათ, მოედანზე გამოჩნდება და ამასთან დაკავშირებით, ესპანურმა AS-მა ინტერვიუ ჩამოართვა. საქმეს კი ისეთი პირი უჩანს, ფეხბურთელი თავისი უდანაშაულობის მტკიცებას კვლავ ეცდება.

— თქვენს პრობლემებს, როგორც იქნა, ბოლო მოელო...

— საერთოდ ფეხბურთში ყველაფერი სწრაფად ხდება, მაგრამ ეს ოთხი თვე საოცრად გაწელილად მომეჩვენა. ბედნიერი ვარ, მოედანზე დაბრუნების საშუალება რომ მომეცა.

— კარიერის მანძილზე უამრავი ტრავმა მიგიღიათ, რის გამოც ბევრი დრო გაგიცდათ. შეგეძლოთ გეფიქრათ, რომ ახლაც ტრავმის გამო არ თამაშობდით...

— არა, ეს ცუდი შედარებაა. ტრავმის დროს ფიზიკურ ტკივილს გრძნობ, მე კი ახლა სულიერ ტკივილს განვიცდიდი.

— თამაშისთვის მზად ხართ?

— სრულიად. ამ ოთხ თვეში იმდენი ვირბინე, მგონი, „ბარსელონაში" მთელი კარიერის მანძილზე არ მირბენია. თუმცა მხოლოდ ფიზიკურ მზადყოფნას არ ვგულისხმობ. ეს თვეები გულმოდგინედ ვსწავლობდი იტალიური ფეხბურთის სპეციფიკას და უკვე ვიცი აქ როგორც უნდა ვითამაშო.

— მაინც რა შეფასებას მისცემდით იმ ამბავს, რაც თავს გადაგხდათ?

— უპირველესად ვიტყვი, რომ დოპინგის პრობლემას დიდი ყურადღება უნდა ექცეოდეს და მისი გამოყენების წინააღმდეგ ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ. მაგრამ ჩემს შემთხვევაში, აი, რა ვერ გამიგია: თუ მართლაც დამნაშავე ვიყავი, ოთხი თვე კი არა, ორწლიანი დისკვალიფიკაცია უნდა მოესაჯათ და თუ დამნაშავე არ გახლდით, ოთხი კოშმარული თვე რატომ გამატარებინეს. სასჯელის გამომტანებს, ალბათ, არ ესმით, რომ უკანონოდ დისკვალიფიკაციის თუნდაც ერთ დღეს ფეხბურთელისთვის აუწერელი ტკივილის მოტანა შეუძლია, რაც მთელ მის ცხოვრებას დაღს დასვამს. ამისთვის ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს. მე ჩემი უდანაშაულობის მტკიცებას განვაგრძობ.

— კონკრეტულად რის გაკეთებას აპირებთ?

— ვიბრძოლებ, რომ ის მორალური ზარალი, რაც უკანონო დისკვალიფიკაციით მივიღე, ამინაზღაურონ. კიდევ ვიმეორებ, დოპინგის გამოყენებისთვის სასჯელი ორი წელია და ოთხთვიანი დისკვალიფიკაცია სრულიად ალოგიკურია. დამნაშავე ან ხარ, ან, არა.

— ეგებ თქვენი ესპანელობის გამო დაგსაჯეს?

— ჩემთვის ასეთი მოტივი გაუგებარია.

— ესპანური კლუბები ბევრად ჯობიან იტალიურებს და იტალიაში სულ უფრო და უფრო ხშირად ამბობენ, ესპანელები დოპინგით გაჭყეპილები თამაშობენო...

— არიგო საკის და ფაბიო კაპელოს დროს ევროპის საუკეთესო გუნდი „მილანი" იყო. ვითომ დოპინგის დახმარებით? სისულელეა. და საერთოდ, მ ოლიმპიური ჩემპიონი ვარ, ექვსჯერ ესპანეთის ჩემპიონობა მოვიპოვე, ჩემპიონთა ლიგის ორ ფინალში მითამაშია, მსოფლიოს საუკეთესო სტადიონებზე საუკეთესო ფეხბურთელების მხარდამხარ მითამაშია და ამდენის მიმღწევმა კაცმა დოპინგის ხმარება იმისთვის დავიწყე, რომ „პიაჩენცასთან" კარგად შეთამაშა?

— აღრე თქვით, თუ ჩემს სიმართლეს ვერ დავამტკიცებ, კარიერას დავასრულებო...

— არა, ფეხბურთიდან წასვლას ჯერ არ ვაპირებ. რაკი „ბრეშამ" კონტრაქტი გამიფორმა, ესე იგი, ვჭირდებ. დღეს გუნდს არცთუ სახარბიელო მდგომარეობა აქვს და როგორც არასდროს საჭიროებს ჩემს დახმარებას. მით უმეტეს, მათ, ვინც ჩემს წინააღმდეგ ეუსინდისო კამპანია მოაწყო, ფეხბურთიდან წასვლით ვერაფერს დავუმტკიცებ, მათთვის უბრალოდ სულ ერთია, ვითამაშებ თუ არა.

— მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის იმედი თუ გაქვთ?

— საამისოდ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშავო, მერე კი კამაჩოს გადასაწყვეტია.

იტალია

სოლომონ გულისაშვილი

კუპერმა ვალენსია დაიპყრო

XXVIII ტური

დღეს		
პარმა	-	იუვენტუსი
ხვალ		
ვენეცია	-	ატალანტა
ტორინო	-	ფიორენტინა
ბოლონია	-	ლეჩე
პიაჩენცა	-	მილანი
ბრეშა	-	პერუჯა
ინტერი	-	რომა
ლაციო	-	უდინეზე
კიევო	-	ვერონა

სადღეისო ვითარება

რომა	27	15	11	1	43:17	56
ინტერი	27	16	8	3	48:24	56
იუვენტუსი	27	15	10	2	50:21	55
ბოლონია	27	13	6	8	31:27	45
კიევო	27	11	9	7	45:38	42
მილანი	27	10	11	6	37:29	41
ლაციო	27	9	10	8	36:28	37
პერუჯა	27	10	6	11	30:35	36
ვერონა	27	10	5	12	34:40	35
ტორინო	27	8	9	10	31:34	33
ატალანტა	27	9	6	12	32:43	33
პიაჩენცა	27	8	8	11	39:36	32
პარმა	27	8	7	12	33:38	31
უდინეზე	27	8	7	12	35:42	31
ბრეშა	27	6	12	9	31:42	30
ლეჩე	27	5	9	13	27:41	24
ფიორენტინა	27	5	7	15	28:50	22
ვენეცია	27	3	7	17	25:50	16

ამ უძველების მთავარი თამაში ხვალ მილანის „სან სიროზე" გაიმართება: „ინტერი" ჩემპიონ „რომას" დამარცხებას შეეცდება. დღეისთვის ორივემ 56 ქულა მოაგროვა და ცხრილში პირველ-მეორე საფეხურებზე დგანან. წინა კვირა მოწინააღმდეგეთათვის განსხვავებული გამოდგა. „ინტერმა" უეფას თასზე შინ გართულებული საქმე სტუმრად გამოასწორა, „მესტალიაზე" „ვალენსიას" 1:0 მოუგო და ნახევარფინალში გავიდა. „რომა" კი, ცალი ფეხით ლიგის მეოთხედფინალში რომ იყო, ლივერპულში შერცხვა და ჯგუფში ჩარჩა. ამ მხრივ, ფსიქოლოგიური უპირატესობა თითქოს ინტერელთა მხარეს უნდა იყოს, მაგრამ თუ მწვრთნელ-ფეხბურთელებს მოვუსმენთ, საქმე არც ასე მარტივადაა. მასპინძელთა დამრიგებელი ექტორ კუპერი ამბობს: „ახლა ზეიმის დრო არ გვაქვს, „რომასთან" მატჩი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და მხოლოდ მასზე უნდა ვიფიქროთ".

რომაელთა თავდამსხმელი ვინჩენცო მონტელა დასძენს: „ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება ჩვენი მთავარი მიზანი იყო, მაგრამ „ლივერპულთან" ვერაფერი მოვახერხეთ და შეჯიბრებას გამოვეთიშეთ. საწყენია, მაგრამ სამომავლოდ ეს წაგება ეგებ გამოგვადგეს კიდეც. ახლა მთლიანად სერია A-ზე გადავერთვებით და ვეცდებით სკუდეტო არავის დავუთმოთ".

აი, ასეთი განწყობაა მოწინააღმდეგე ბანაკებში. ხვალ „ინტერს" უპირველესად კრისტიან ვიერის იმედი იქნება, ვინც ტრავმის გამო გაცდენილი საკმაო დროის მიუხედავად 18 სერიული გოლის გატანა მაინც მოასწრო და ბომბარდირთა დავაში მხოლოდ პიაჩენცელ დარიო უბნერს ჩამორჩება. „კორიერე დელო სპორტი" წერს, თავისი ენერგიული თამაშით ვიერიმ „რომასთან" კიდევ ერთხელ უნდა დაამტკიცოს, რომ ნატკენი კოჭი საბოლოოდ მოიშუშაო.

არ გაგიკვირდეთ და ხვალ, შესაძლოა, რონალდომაც ითამაშოს. ბრაზილიელი ჯადობიჭის ამბავი მატჩის წინ გადაწყდებაო.

საინტერესოა, რომ შარშან „სან სიორზე" „რომამ" ორივე თამაში წააგო, „ინტერთანაც" და „მილანთანაც". გასულ სამშაბათს კი ჩემპიონთა მწვრთნელი ფაბიო კაპელო სერიოზულად შეშფოთდა იტალიური კლუბებისა და უპირველესად თავისი გუნდის ჩავარდნის გამო: „ლივერპულთან" ვერ მოვახერხეთ ის, რითაც გვიცნობენ, რამდენიმე კარგი შესაძლებლობა მოგვეცა და ვერ გამოვიყენეთ. საერთოდ კი, იტალიელებს გაისიდან თავიდან მოგვიწევს ევროპაში საუკეთესობის დამტკიცებაო.

ხვალ სტუმრებს აუცილებლად ეყოლებათ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი, აგრეთვე დაუბრუნდებათ დისკვალიფიკაციამოხდილი ბრაზილიელი მარჯვენა მცველი კაფუ.

ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნილი კიდევ ერთი სკუდეტოს მაძიებელი „იუვენტუსი" დღეს პარმაში ითამაშებს. მარჩელო ლიპის გუნდი მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება ზემოხსენებულებს, მაგრამ ბოლო დროს ტრავმირებულები მოუმრავლდა და სტაბილურად თამაში უჭირს. აი, სამი დღის წინ ლამის მეორე შემადგენლობით მოუგეს ლონდონის „არსენალს", დღესაც არ ეყოლებათ მთავარი ვარსკვლავი ალესანდრო დელ პიერო, ლილიან ტურამი და პაოლო მონტერო.

„პარმა" ვერ ათამაშებს დისკვალიფიცირებულ მარტინ ჯეტუს, ხოლო დაშავებული მატიას ალმეიდასა და ალან ბოგოსიანის ადგილს ხორხე ბოლანო და საბრი ლამუში დაიკავებენ.

ვერონაში ქალაქური დერბია. ბოლო თერთმეტ თამაშში მხოლოდ ერთხელ მომგები „კიევო" „ვერონას" ეთამაშება. კიევოს მწვრთნელმა ლუიჯი დელ ნერიმ ამას წინეებზე თქვა, უკვე 42 ქულა მოგვიგროვდა, ახლა ყველა დარჩენილი შეხვედრაც რომ წავაგოთ, მაინც აღარ გავვარდებითო. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კერკეტი კიევოელები ვინმეს რამეს დაუთმობენ. თანაც დერბი დერბია და „ვერონას" კიდევ შემტევი მარიო ფრიკი, ჯუზეპე და ლეონარდო კოლუჩები და მცველი ჯანკარლო ფილიპონი ვერ დაეხმარებიან.

„მილანი" „პიაჩენცას" კვლავაც ტრავმირებული ანდრეი შევჩენკოს გარეშე შეებმება, ხოლო „ლაციო" „უდინეზეს" ერნან კრესპოს, ფერნანდო კოუტუსა და ჯუზეპე პანკაროს ვერ დაახვედრებს. პირველი ვარჯიშზე დაშავდა, დანარჩენები დისკვალიფიცირებულნი არიან. სამაგიეროდ, დაუბრუნდებათ ნანდროლონის გამო მოკვეთილი ჰოლანდიელი იაპ სტამი. შეტევაში კი ალბერტო ძაკერონი სიმონე ინძაგისა და კლაუდიო ლოპესს გაამწესებს.

ინტერელი რონალდო და ლაციოელი იაპ სტამი ეგებ ერთდროულად დაბრუნდნენ

ინგლისი

დავით ფურცელაძე

პირველ წრეში გრემ ლე სომ და ჩელსელებმა „ლივერპულს" ოთხი უპასუხო გაუტანეს

თუ მასწავლებელი აჯობებს...

XXXI ტური

დღეს		
ჩარლტონი	-	ბოლტონი
დერბი ქაუნთი	-	ევერტონი
იფსვიჩი	-	ასტონ ვილა
ლესტერი	-	ლიდსი
მანჩესტერი	-	მიდლსბრო
სანდერლენდი	-	საუთჰემპტონი
ხვალ		
ფულემი	-	ტოტენჰემი
ლივერპული	-	ჩელსი

სადღეისო ვითარება

მანჩესტერი	31	20	4	7	78:40	64
არსენალი	30	18	9	3	60:32	63
ლივერპული	31	18	8	5	52:26	62
ნიუკასლი	30	17	5	8	54:40	56
ჩელსი	30	14	11	5	58:30	53
ლიდსი	30	13	12	5	42:30	51
ჩარლტონი	30	10	11	9	34:34	41
ასტონ ვილა	30	10	11	9	35:36	41
ტოტენჰემი	30	11	5	14	39:45	38
ვესტ ჰემი	30	10	7	13	35:49	37
საუთჰემპტონი	30	10	6	14	37:45	36
ფულემი	30	8	11	11	30:36	35
მიდლსბრო	30	9	8	13	29:38	35
სანდერლენდი	30	9	7	14	23:37	34
ევერტონი	30	8	9	13	29:36	33
ბლეკბერნი	30	8	8	14	39:41	32
იფსვიჩი	30	8	7	15	38:49	31
ბოლტონი	30	6	12	12	32:47	30
დერბი ქაუნთი	30	8	5	17	26:47	29
ლესტერი	30	3	10	17	21:53	19

პრემიერლიგაში უქმეების მთავარი მოვლენა „ლივერპული" — „ჩელსი" იქნება, გულმოშუშებული ჟერარ ულიე და ბოლოხანს დიდ ანგარიშებზე დაგეშილი კლაუდიო რანიერი ერთმანეთის ტაქტიკურ განსწავლას შეამოწმებენ.

„ჩელსის" მართლაც ერთობ გაუტკბა 4:0. ბოლო სამი თამაშია, გუნდი მინდორს მეტოქის სრული ჩაწიხვლის მერეღა ტოვებს და ძალიან სიმეტრიული გამოვა ფრაზა: 4:0 4 თამაშში, მაგრამ „ენფილდზე" წლევანდელი „ლივერპულის" ამ ანგარიშით დამარცხება უფესვო ზღაპარია და საერთოდ დამარცხებაც: მერსისაიდელები მე-3 ადგილზე არიან, ჩემპიონობისთვის იბრძვიან და ყველა ქულისთვის სასტიკად იომებენ. თან ჟერარ ულიეს გამოჯანმრთელებაც ერთგვარ დოპინგად ექცა „ლივერპულს". „რომასთან" ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება გავიხსენოთ, ერთიცაა, „ლივერპულს" უკვე 11 თამაში არ წაუგია.

და მაინც, „ჩელსის" თვით უმაღლესთა გაბითურება ხშირად მოუხერხებია და თუ „ლივერპულს" მისსავე ბუნაგში მოუგრეხს კისერს, ეს მეტად გრძელი ნაბიჯი იქნება ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი მეოთხე ადგილისკენ. ისე, ამბობენ, „ლივერპულს" თავდასხმაში გამოკეთებული მაიკლ ოუენი ეყოლებაო.

თუ მოწაფე აჯობებს მასწავლებელს, დიდი არაფერი და თუ მასწავლებელი აჯობებს... თუ მასწავლებელი აჯობებს, „მანჩესტერი" პრემიერლიგის პირველ ადგილს გვარიანად განიმყარებს, რადგან „არსენალს" 4 ქულით მოსწყდება და ლონდონელთათვის ეს შფოთვის სიგნალი იქნება: „მანჩესტერის" ძალიან წინ გაშვება, მით უფრო, სეზონის ბოლოს, არაფრით შეიძლება.

მანჩესტერელებს „მიდლსბროს" წინააღმდეგ ოლე გუნარ სოლსკიაერი, როი კინი და რუუდ ვან ნისტელროი დააკლდებათ. ნორვეგიელს ტერფი სტკივა, ირლანდიელს — თეძო და ჰოლანდიელიც რაღაც ჯანზე ვერ არის, ამიტომ პორტუგალიაში „ბოავიშტასთან" არც უთამაშია.

„მიდლსბროს" „ოლდ ტრეფორდზე" გაუძღვება სტივ მაკლარენი, ვინც წლების მანძილზე სერ ალექს ფერგიუსონის ხელქვეით „მანჩესტერში" მუშაობდა, ანუ მაკლარენმა იცის მეტოქის არამცთუ ავანჩავანი, არამედ, სამზარეულოც (ვერ არის შესაფერისი სიტყვა, მაგრამ სხვა არ გვაგონდება) და საქმე გაუადვილდება. თან მებრძოლ რაზმში მცველი უგო ეჰიოგუ ბრუნდება და თავდამსხმელმა ნოელ ველანმაც ყელის ინფექცია მოირჩინა. „ბოროში" „იუნაიტედიდან" გადასულ მარკ უილსონს ამჯერად მწვანე ბალახზე ვერ ვიხილავთ.

„ლიდსი" სტუმრად „ლესტერს" გამოსცდის. იორკშირელებს პრემიერლიგის კალენდარმა ბოლო ტურებში სულ წლევანდელი სეზონის საცოდავები არგუნა და მათაც წარმატებით გვემეს „იფსვიჩი" და „ბლეკბერნი", რომელთაც იქნებ „ლესტერიც" მიაყოლონ, რადგან, ჯერ ერთი, კრიზისიდან გამოძვრნენ და, რაც მთავარია, თვით „ლესტერი" გამოირჩევა სეზონის ბოლოს საძაგელი თამაშით. შარშან, მაგალითად, ამ გუნდმა პრემიერლიგის ბოლო 11 მატჩიდან 10(!) წააგო და წლეულს ანტირეკორდის დამზობას ეშურება: ბოლო 11 თამაშში მხოლოდ 3 ფრეს გამოჰკრა ხელი.

„იფსვიჩი" და გასავარდნი ზონა კარის მეზობლები არიან და ნებისმიერ წაგებას მათი შერწყმა შეუძლია, ამიტომ მენეჯერი ჯორჯ ბარლი ხელქვეითების „ასტონ ვილაზე" დაგეშვას ცდილობს, ვისი დამარცხებაც უფრო ადვილი იქნებოდა, „ვილას" ხუან პაბლო ანხელი და დარიუს ვასელი რომ არ დაბრუნებოდნენ.

ლონდონურ დერბიში „ტოტენჰემი" „ფულემს" ეწვევა და თვით „დერბი" კი „ევერტონს" უმასპინძლებს. ჯონ გრეგორის ამოძრავებულმა პატარა ქალაქელებმა ბოლო 6 თამაშში 13 ქულა შეაგროვეს და „ევერტონმა" ახალი მენეჯერის (დევიდ მოიესი) შეძენისთანავე თამაში მოიგო, ამიტომ ბრძოლა ცხარე უნდა გამოდგეს, თან ლიგაში დარჩენის პრობლემა ორივეს აწუხებს.

პრემიერლიგის ადრინდელი და ახლანდელი აღმოჩენანი, „ბოლტონი" და „ჩარლტონი" ამ უკანასკნელის მოედანზე დაეჯახებიან ერთმანეთს. სტუმრები შეუფერხებლად იძირებიან სატურნირო ცხრილში და ამის ერთი მიზეზი დანგრეულ დაცვაში უნდა ვეძებოთ. „ბოლტონს", ფაქტობრივად, დაცვის ცენტრი არა აქვს, გუდნი ბერგსონი და მაიკ უიტლოუ ტრავმებმა გააცდინა, რეზერვი კი მათ სრულფასოვან შეცვლას ვერაფრით ახერხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია

სოლომონ გულიაშვილი

ლიგა კარგია, ბუნდესლიგა უკეთესი

XXVIII ტური		
დღეს		
ლევერკუზენი	-	მიუნხენი
ზანკტ პაული	-	შტუტგარტი
ჰერტა	-	ნიურნბერგი
ჰანზა	-	ჰამბურგი
ბაიერნი	-	კიოლნი
შალკე	-	ლაუტერნი
ფრაიბურგი	-	გლადბახი
ხვალ		
დორტმუნდი	-	კოტბუსი
ვოლფსბურგი	-	ვერდერი

საღლეისო ვითარება						
ლევერკუზენი	27	17	5	5	63:31	56
დორტმუნდი	27	16	7	4	47:23	55
ბაიერნი	27	15	6	6	51:20	51
შალკე	27	15	6	6	43:27	51
ჰერტა	27	14	7	6	51:29	49
ლაუტერნი	27	15	4	8	50:38	49
ვერდერი	27	13	4	10	39:31	43
მიუნხენი	27	12	3	12	41:43	39
შტუტგარტი	27	9	8	10	31:32	35
ვოლფსბურგი	27	9	7	11	46:41	34
ჰამბურგი	27	9	7	11	39:45	34
გლადბახი	27	7	9	11	29:40	30
ჰანზა	27	8	5	14	27:40	29
კოტბუსი	27	8	5	14	28:46	29
ნიურნბერგი	27	7	4	16	25:48	25
ფრაიბურგი	27	5	9	13	28:48	24
ზანკტ პაული	27	4	9	14	28:51	21
კიოლნი	27	4	7	16	17:50	19

„ალბათ, მართებული არ იქნება ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ფიქრი. აი, ბუნდესლიგაში კი ლიდერები ვართ და გამიხარდება თუ ტურნირის ბოლომდე ასევე გავაგრძელებთ. ამისთვის საჭიროა ყოველმა ჩვენგანმა თავისი საუკეთესო თვისებები ბოლომდე გამოავლინოს“ — ლევერკუზენელთა მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერის ეს სიტყვები ნათლად გამოხატავს ამ გუნდის წლევანდელ ამბიციას.

წინა ოთხშაბათს ლევერკუზენელებმა პატარა სასწაული მოახდინეს, ლიგის მეორე ეტაპის ბოლო სათამაშო დღეს ლა კორუნიას „რიასორზე“ „დეპორტივოს“ 3:1 მოუგეს და ჯგუფში მოულოდნელად პირველი ადგილი დაიკავეს. ახლა მეოთხედფინალში „ლივერპულთან“ მოუწევთ გაჯიბრება და ამათი დაპირისპირება სანახაობრივად, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო იქნება.

ლიგა ლიგად და, ბაიერელთა მთავარი საფიქრალი მაინც შიდა ჩემპიონატია. დღეისთვის ისინი 56 ქულით პირველ ადგილზე დგანან და დარჩენილ შვიდ ტურშიც ისეთი კალენდარი აქვთ, თუ თავადვე არ აირივნენ, ჩემპიონობა არავის უნდა დაუთმონ. პირველი ხუთეულიდან მათ მხოლოდ ბერლინის „ჰერტასთან“ დარჩათ ურთიერთობა გასარკვევი და ისიც ბოლოს, დანარჩენი მოწინააღმდეგეები კი ობიექტურად მათზე სუსტები არიან.

გარდა ამისა, ლევერკუზენელები გერმანიის თასის ფინალშიც გავიდნენ, მადა ჭამაში მოდისო და ალბათ გონებაში ოქროს დუბლიც უტრიალებთ. დღეს კი ტოპმიოლერის გუნდი „ბაიარენაზე“ „მიუნხენს“ მთავარი ნახევარმცველის, დისკვალიფიცირებული მიხაელ ბალაკის გარეშე დაუხვდება. ბალაკმა სამი დღის წინ ჩინებულად ითამაშა „დეპორტივოსთან“, გოლიც გაიტანა და რამდენჯერმე გონივრული შეტევაც წამოიწყო. ასე რომ, „ბაიერს“ დღეს დიდი ძალა დააკლდება, თუმცა ლა კორუნიაში გალვივებული გუნდური სულისკვეთება ფსიქოლოგიურ უპირატესობას უთუოდ მათ მიანიჭებს. მით უმეტეს, რომ „მიუნხენს“ ლევერკუზენში 1995 წლის მერე აღარ მოუგია.

მიუნხენის „ბაიერნი“ არჩილ არველაძის თითქმის განწირულ „კიოლნს“ უმასპინძლებს. ოტმარ ჰიცფელდის გუნდს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის საგზური ადრევე დაებევებინა და ამიტომ სამშაბათს ფრანგულ „ნანტთან“ თავი დიდად არ გამოუდვია, ისედაც მოიგო, თუმცა ჯგუფში პირველობა „მანჩესტერს“ დაუთმო და შედეგად მეოთხედფინალის პირველ მატჩს შინ გამართავს. ჯამში ეს მაინც წვრილმანია, მთავარი ის არის, რომ შინაურ ჩემპიონატში ერთ დროს ჩამოწერილმა ბაიერნელებმა გამოიღვიძეს და ახლა „ლევერკუზენს“ სულ ხუთი ქულით ჩამორჩებიან, დარჩენილ შვიდ ტურში კი ამ სხვაობის გაბათილება ჩემპიონთათვის მთლად მიუწვდომელი ამბავი არ უნდა იყოს.

დღეს „ბაიერნს“ არ ეყოლება დისკვალიფიცირებული სამუელ კუფური და თომას ლინკე, ასევე თავისიანებს ვერაფრით დაეხმარება დაშავებული მეჰმეთ შოლი. სამაგიეროდ, ბოლომდე მოშუშხინდა ბოსნიელი შუახაზელი ჰასან სალიჰამიჯიჩი, ვინც შემოდგომაზე ბაიერნელთა საუკეთესო ფეხბურთელი იყო.

მოკლედ, „ბაიერნი“ უეჭველ სამ ქულას გეგმავს, ოღონდ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შინ „კიოლნთან“ ყოველთვის უჭირს, ბოლო ცხრა თამაშიდან მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ კიოლნელებმა მხოლოდ ოთხჯერ წააგეს.

მეოთხეზე მდგარი „შალკე“, მეექვსე „კაიზერსლაუტერნს“ დაუხვდება და პლეიმეიკერ ირჟი ნემეცსა და თავდამსხმელ ემილ მპენზას ტრავმების გამო ვერ დაიხმარს, „ლაუტერნი“ კი დასჯილ დიმიტრიოს გრამოცისს შეელევა.

ჰასან სალიჰამიჯიჩი (ზევით) ბუნდესბრძოლას დაუბრუნდა

ჩვენებურთა „ფრაიბურგი“ ერთ-ერთ უშუალო კონკურენტ „მიონხენგლადბახს“ უმასპინძლებს. ფრაიბურგელებს 26 იანვრის შემდეგ, უკვე რვა ტურია აღარ გაუმარჯვიათ და დღეს, ალბათ, საკუთარი მაყურებლის წინაშე სირცხვილის ოდნავ ჩამორეცხვას მაინც შეეცდებიან, მით უმეტეს, რომ გასულ ტურში თავისსავე „დრაიზამშტადიონზე“ „დორტმუნდთან“ 1:5 წააგეს და თავი მოიჭრეს. მასპინძლებს ტუნისელი შემტევი ადელ სელიმი დაშავებული ჰყავთ, ხოლო ფრანგი ნახევარმცველი აბდერ რამდანე დისკვალიფიცირებულია. სამივე ქართველმა კი სავარაუდოდ, ძირითადში უნდა ითამაშოს.

ხუთშაბათს უეფას თასის ნახევარფინალში რიხით გასული „დორტმუნდი“ ხვალ ფრაიბურგელთა სატურნირო მეზობელ „კოტბუსს“ გაეჯიბრება. საამმატჩოდ მათიას ზამერის გუნდი ორი ფეხბურთელით შესუსტდება, მეკარე იენს ლემანი ოთხი თამაშითაა დასჯილი, ხოლო ნახევარმცველი კრისტიან ვიორნსი დაშავებულია.

ესპანეთი

გიორგი დარჯანია

XXXI ტური		
დღეს		
მალაგა	-	რაიო ვალეკანო
ბეტისი	-	სევილია
ლას პალმასი	-	ვილიარეალი
ხვალ		
ესპანიოლი	-	ალავესი
ბილბაო	-	სელტა
ვალიადოლიდი	-	ბარსელონა
რეალი	-	სარაგოსა
ვალენსია	-	ოსასუნა
დეპორტივო	-	ტენერიფე
მალიორკა	-	სოსიედადი

საღლეისო ვითარება						
რეალი	30	15	8	7	57:32	53
ვალენსია	30	14	11	5	36:24	53
დეპორტივო	30	15	6	9	45:35	51
ბეტისი	30	13	11	6	35:26	50
სელტა	30	12	12	6	50:36	48
ბილბაო	30	13	9	8	43:43	48
ბარსელონა	30	13	8	9	49:29	47
ალავესი	30	13	3	14	31:32	42
მალაგა	30	10	11	9	35:37	41
ესპანიოლი	30	11	8	11	37:42	41
ვალიადოლიდი	30	11	7	12	35:48	40
სევილია	30	10	8	12	43:36	38
მალიორკა	30	9	7	14	34:39	34
ვილიარეალი	30	8	10	12	32:38	34
ოსასუნა	30	8	10	12	28:39	34
სოსიედადი	30	9	6	15	36:43	33
ლას პალმასი	30	8	9	13	31:38	33
სარაგოსა	30	9	6	15	28:42	33
რაიო ვალეკანო	30	8	8	14	36:47	32
ტენერიფე	30	8	8	14	24:39	32

ბარსელონაში ერთნახევარი გუნდი ითამაშებს

ტიტულის მაძიებელმა „ვალენსიამ“ უილბლობის კვირეული ეგებ ამ უქმეებზე დაასრულოს, რაკილა მშობლიურ „მესტალიაზე“ სეგუნდადივიზიონში დაბინადრების ერთ-ერთ კანდიდატ „ოსასუნას“ მასპინძლობს.

გუნდთა კლასში გვარიანი სხვაობა რომ არის, მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ სხვა გარემოებაც გასათვალისწინებელია. კერძოდ, წინა ხუთშაბათს „სან სიროზე“ უმძიმესი მატჩის შემდეგ („უეფას თასზე „ინტერთან“) რაფაელ ბენიტესის ბიჭებმა ძალ-ღონე ვერ მოიკრიფეს და წყალწაღებულ „რაიო ვალეკანოსთან“ დამარცხდნენ, რაც შევნიშნოთ, რომ ლიდერობის დაკარგვად დაუჯდათ. ამის გათვალისწინებით, რაკი „ვალენსიას“ ამ ხუთშაბათს იმავ „ინტერთან“ უფრო მძიმე მატჩი ჰქონდა, რა გარანტიაა, რომ „ოსასუნას“ საუკეთესო ფორმაში დაუხვდება? თუმცა, მეორე მხრივ, ვალენსიელებს ევროტვირთი აღარ აწევთ მხრებზე და შეუძლიათ მთელი ყურადღება შინაურ პირველობაზე გადაიტანონ.

ხავიერ ირურეტამ ქომაგთა გულები ვერ მოიგო

ამავე დროს „ვალენსიას“ შემადგენლობაშიც აქვს პრობლემები. „ინტერთან“ საპასუხო მატჩში კუნთი დაიჭიმა რობერტო ფაბიან აიალამ, ნახევარდაცვას დისკვალიფიცირებული გონსალო დე ლოს სანტოსი გამოაკლდება, თუმც სასჯელმოხდილი კილი გონსალესი მოედანს უბრუნდება. „ოსასუნაზე“ კი ვთქვათ, რომ ნავარიელებს ბოლო ოთხ შეხვედრაში ოდენ ერთი ქულა აქვთ აღებული.

ლაკორუნიელ ქომაგებს წისქვილის ბორბალი დაუტრიალებიათ ხავიერ ირურეტას თავზე, ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტურში, „ლევერკუზენთან“, მეორე შემადგენლობა რად ათამაშეო. მწვრთნელი კი ამბობს, ის თამაში არაფერს წყვეტდა და ფეხბურთელები ჩემპიონატის მომდევნო ტურისთვის დავასვენეო, მაგრამ ვინ უსმენს. და თუ „დეპორტივომ“ „რიასორზე“ „ტენერიფეს“ დამარცხება ვერ შეძლო, სეირი მაშინ ნახეთ. თითქოს რატომაც ვერ უნდა დაამარცხოს — „ტენერიფე“ ხომ დივიზიონის ბოლოადგილოსანია, მაგრამ ისიც მოგვეხსენება, ხავიერ კლემენტეს მისვლის შემდეგ კუნძულელები მშვენივრად ათამაშდნენ. გალისიელებს ამ მატჩში დისკვალიფიცირებული მაურო სილვა დააკლდებათ.

მაჩანჩალას ხვდება ლიდერი „რეალი“. ფიგუს ვერმომჯობინების მიუხედავად, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ფავორიტად მაინც დედაქალაქელები ითვლებიან. „სარაგოსა“ კი წინა ტურში „ბეტისთან“ ფრის მერე გასავარდნთა ზონაში ჩაცურდა.

არაგონელებს დააკლდებათ მთავარი კაცი, რობერტო „ტორო“ აკუნია, ვინც, ეგებ გახსოვდეთ, ამათი პირველი წრის მატჩის წამატებულ წუთებში გამარჯვებისა შეუგდო „რეალს“. მასპინძელთაგან საეჭვოა კაპიტან ფერნანდო იეროს თამაში, რომელიც ზურგის ტკივილს შეუწუხებია.

„ბარსელონა“ ვალიადოლიდში ჩადის, ხოლო მის თავკაც კარლოს რექსაჩს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გაღწევის შემდეგ ამოსუნთქვის საშუალება მიეცა. მაგრამ „ვალიადოლიდი“ კერკეტი კაკალია და უცნაური გუნდია — წლეულ „დეპორტივო“, „ვალენსია“ და „რეალი“ დაამარცხა, მაგრამ სუსტებთან ბლომად ქულები დაკარგა და მეთერთმეტე ადგილზეა.

„სან მამესზე“ ჩემპიონთა ლიგის საგზური მაძიებლები — „ბილბაო“ და „სელტა“ — ხვდებიან, თუმცა უფრო რეალურად ამათი უეფას თასზე გასასვლელად ბრძოლა ჩანს. პირველი წრის ვიგოური მატჩის ამბები გავიხსენოთ: „სელტა“ 2:0 იგებდა და ბოლო რვა წუთში ბასკთაგან სამი გოლი გაუშვა. გალისიელებს ბოლო ხანს ბრწყინვალედ მოთამაშე, ყოფილი არსენალელი სილვინიო დააკლდებათ დისკვალიფიკაციის გამო.

გეხსომებათ, წინა ტურში, ბასკური დერბისას „ალავესს“ სამი ფეხბურთელი — ოსკარ ტელესი, მოსელინ მაგნო და რუბენ ნავარო გაუძევეს და ესენი შესაბამისად ვერც „ესპანიოლის“ წინააღმდეგ ითამაშებენ ბარსელონაში. ამას პაბლოს დისკვალიფიკაციაც დავუმატოთ და განახევრებული „ალავესი“ შეგვრჩება.

„ესპანიოლი“ კი ჩინებულად ირჯება საშინაო თამაშებში.

სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVIII ტური. 23 მარტი

18.30	001	ლევერკუზენი-მიუნხენი	1,4	3,8	7,0
	002	ლევერკუზენი-მიუნხენი 0:1	1,95	3,2	2,4
18.30	003	სტ. პაული-შტუტგარტი	2,3	3,1	2,8
18.30	004	ჰერტა-ნიურნბერგი	1,35	4,0	7,5
	005	ჰერტა-ნიურნბერგი 0:1	1,9	3,2	2,6
18.30	006	ჰანზა-ჰამბურგი	2,1	3,1	3,2
18.30	007	ბაიერნი-კიოლნი	1,15	6,0	12,0
	008	ბაიერნი-კიოლნი 0:1	1,3	3,6	4,0
18.30	009	შალკე-კაიზერსლაუტერნი	1,7	3,2	4,4
18.30	010	ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი	2,1	3,0	3,3

24 მარტი

20.30	011	დორტმუნდი-კოტბუსი	1,25	5,0	9,0
	012	დორტმუნდი-კოტბუსი 0:1	1,7	3,2	3,2
20.30	013	ვოლფსბურგი-ვერდერი	2,2	3,1	2,8

გერმანია. II ბუნდესლიგა. XXVIII ტური. 23 მარტი

18.00	020	ინტერბატი-უნტერჰახინგი	1,65	3,2	5,0
18.00	021	ბაიელსბერგი-აღენი	3,1	3,2	2,0

24 მარტი

18.00	022	დუისბურგი-უნიონი	2,4	3,0	2,7
18.00	023	რიოტლინგენი-ობერჰაუზენი	1,9	3,1	3,6
18.00	024	ზაარბრიუკენი-ბიხუმი	4,4	3,4	1,65

25 მარტი

23.15	025	ვალდჰოფი-პანიოვერი	2,9	3,2	2,2

გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXVI ტური .

23 მარტი

17.00	030	ურდინგენი-ვაკენჰაიდი	1,9	3,1	3,6
17.00	031	ლიუბეკი-ლევერკუზენი (მ)	1,5	3,6	5,6
17.00	033	ქემნიცი-აუე	1,45	3,6	6,5
17.00	034	დრესდენი-ბრაუნშვაიგი	3,0	3,1	2,2
17.00	035	ფორტუნა-კელი	3,1	3,2	2,0
17.00	036	პადერბორნი-მიუნსტერი	2,2	3,2	2,9

24 მარტი

18.00	032	ოსნაბრიუკი-ესენი	2,6	3,1	2,4
18.00	037	ვერდერი (მ)-დიუსელდორფი	1,85	3,2	3,6

გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXVI ტური

23 მარტი

17.00	040	ერფურტი-ფულდა	1,45	3,5	6,0
17.30	041	რეგენსბურგი-ხიკენი	1,6	3,3	5,3
17.30	042	ვეპენი-ანსბახი	1,5	3,5	6,0
17.30	043	ბურგაუზენი-ტრიერი	1,95	3,1	3,5
17.30	047	ლაუტერნი (მ)-შტუტგარტი (მ)	2,0	3,2	3,3
18.00	044	კიცერნი-ოფენბახი	2,6	3,1	2,4
18.00	045	ჰოფენჰაიმი-ელვერსბერგი	1,8	3,2	3,8

24 მარტი

18.00	046	ბაიერნი (მ)-მანჰაიმი	2,0	3,2	3,3

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXI ტური. 23 მარტი

19.00	048	ჩარლტონი-ბოლტონი	1,8	3,2	3,8
19.00	049	დერბი-ვერტონი	2,0	3,1	3,4
19.00	050	იფსვიჩი-ასტონ ვილა	2,3	3,1	2,8
19.00	051	ლესტერი-ლიდსი	4,2	3,3	1,7
19.00	052	მანჩესტერი-მიდლსბრო	1,25	5,0	9,0
	053	მანჩესტერი-მიდლსბრო 0:1	1,7	3,2	3,2
19.00	054	სანდერლენდი-ნიუკასლი	2,0	3,1	3,4

24 მარტი

18.00	055	ლივერპული-ნელსი	1,75	3,1	4,2
20.00	056	ფულჰემი-ტოტენჰემი	2,2	3,0	3,1

ინგლისი. I დივიზიონი. XXXXI ტური. 23 მარტი

19.00	063	ბარნსლი-უოტფორდი	2,4	3,1	2,6
19.00	064	ბრედფორდი-ქრიუ	1,9	3,2	3,5
19.00	065	კრისტალ პალასი-უოლსოლი	1,7	3,4	4,0
19.00	066	გრიმსბი-უიმბლდონი	2,5	3,0	2,5
19.00	067	პორტსმუთი-უენსდი	1,9	3,2	3,5
19.00	068	რიტერსჰემ-სიტი	4,0	3,2	1,7
19.00	069	შეფილდი-ბარნლი	2,6	3,1	2,4
19.00	070	სტოკპორტი-ბრესტონი	4,4	3,4	1,6
19.00	071	ვესტერჰემ-ბლეკბერნი	1,6	3,3	5,3

24 მარტი

18.15	072	ქოვენთრი-ბირმინგემი	2,1	3,1	3,2
18.15	073	ჯილინგემი-მიდლუოლი	2,5	3,0	2,5

ინგლისი. II დივიზიონი. XXXXI ტური. 23 მარტი

19.00	079	ბორნმუთი-ბრისტოლი	2,5	3,2	2,4
19.00	080	ბრაიტონი-ნოტსი	1,45	3,5	6,0
19.00	081	ბერი-პორტ ვეილი	2,1	3,2	3,1
19.00	082	პადერხფილდი-ნორთჰემპტონი	1,45	3,5	6,0
19.00	083	ჭინს პარკი-პიტერბრო	1,65	3,3	4,7
19.00	084	რედინგი-ოლდჰემი	1,5	3,5	6,0
19.00	085	სტოკი-სენტერფილდი	1,45	3,4	6,5
19.00	086	უიგანი-ტრანმერი	2,0	3,1	3,4
19.00	087	უიკომბი-კოლჩესტერი	1,6	3,3	4,7

ინგლისი. III დივიზიონი. XXXXI ტური. 23 მარტი

19.00	092	როუერსი-ექსეტერი	2,1	3,3	3,0
19.00	093	კარლაილი-ოლდერშოტი	2,0	3,2	3,3
19.00	094	სელტენჰემ-რიჩმენდი	2,0	3,0	3,5
19.00	095	დარლინგტონი-სუონსი	2,1	3,2	3,1
19.00	096	ლეიტონი-ბალი	2,4	3,2	2,5
19.00	097	ლინკოლნი-ბლეიმუეი	3,8	3,2	1,85
19.00	098	ლუტონი-ბოლთონი	1,25	4,4	8,0
19.00	099	რაშდენი-შრიუსბერი	1,95	3,2	3,4
19.00	100	საუთენდი-სანთორპი	2,6	3,1	2,4
19.00	101	ტორეი-მენსფილდი	2,7	3,2	2,3
19.00	102	იორკი-კიდერმინსტერი	2,3	3,2	2,7

საფრანგეთი. I დივიზიონი. XXX ტური. 23 მარტი

20.15	104	გენგამი-შუ	2,7	2,8	2,5
23.00	105	ტრუა-ბორდო	2,4	2,8	2,9
23.00	106	სედანი-ლანსი	2,9	2,8	2,4
23.00	107	ნანტი-რენი	1,7	3,2	4,4
23.00	108	მეცი-სიმო	2,3	3,0	2,9
23.00	109	ლილი-ოსერი	2,1	2,9	3,4
23.00	110	ბასტია-მონპელიე	1,9	3,0	3,8
23.00	111	ლიონი-ლორიანი	1,35	4,0	7,5
	112	ლიონი-ლორიანი 0:1	1,9	3,2	2,6

24 მარტი

23.45	113	მარსელი-მონაკო	1,9	3,0	3,8

საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXIII ტური. 23 მარტი

23.00	117	გენიონი-ნიცა	2,5	2,6	2,9
23.00	118	ამიენი-ისტრი	1,85	2,7	4,7
23.00	121	გრენობლი-ნანსი	2,2	2,7	3,4
23.00	123	სტ. ეტიენი-ნიორი	1,95	2,8	4,0
23.00	124	კრეტეი-შატორუ	2,4	2,8	2,9
23.00	125	ვალენსიენი-სტრასბური	2,5	2,7	2,8

იტალია. სერია „ა“. XXVIII ტური. 23 მარტი

23.30	126	პარმა-იუვენტუსი	3,3	2,8	2,2

24 მარტი

18.00	127	ბოლონია-ლეჩე	1,4	3,8	7,0
	128	ბოლონია-ლეჩე 0:1	2,0	3,0	2,4
18.00	129	ბრეშა-პერუჯა	2,2	2,8	3,3
18.00	130	კიეკო-ვერონა	2,2	2,9	3,0
18.00	131	ლაციო-უდინეზე	1,65	3,2	5,0
18.00	132	პიაჩენცა-მილანი	2,9	2,8	2,4
18.00	133	ტორინო-ფიორენტინა	1,6	3,4	4,4
18.00	134	ვენეცია-ატალანტა	3,5	3,0	1,9
23.30	135	ინტერი-რომა	2,2	2,8	3,3

იტალია. სერია „ც1-ბ“. XXVIII ტური. 24 მარტი

18.00	136	ლივორნო-ალბინოლეფე	1,5	3,2	6,5
18.00	137	ლუმეცანე-ალძანო	1,5	3,1	7,0
18.00	138	ბრეშიხი-არეცო	1,4	3,4	7,5
18.00	139	კარარეზე-ლუკეზე	1,95	2,6	4,4
18.00	140	პადოვა-ლუკეზე	2,6	2,5	2,9
18.00	141	ნეფენა-პიზა	1,5	3,1	7,0
18.00	142	ტრიესტინა-სპალ	1,7	2,8	5,0
18.00	143	რეგენა-სპეცია	2,9	2,6	2,5
18.00	144	მონცა-ვარეზე	2,8	2,9	2,4

იტალია. სერია „ც1-ბ“. XXVIII ტური. 23 მარტი

18.00	148	ლიდოჯანი-კეტი	2,3	2,6	3,1

24 მარტი

18.00	145	ტარანტო-ასკოლი	2,5	2,4	3,2
18.00	146	ფერმანა-ბენევენტო	1,8	2,6	5,0
18.00	147	პესარო-დი სანგრო	2,0	2,5	4,0
18.00	149	კატანია-ჯულიანოვა	1,85	2,6	4,7
18.00	150	ლანჩიანო-ნოცერინა	1,7	2,9	4,7
18.00	151	სორა-პესკარა	2,9	2,6	2,5
18.00	152	აკილა-ტორეზი	1,85	2,6	4,7
18.00	153	აველინო-ვიტერბეზე	2,3	2,5	3,4

ესპანეთი. I დივიზიონი. XXXI ტური. 23 მარტი

21.00	159	მალაგა-რაიო	1,75	3,1	4,2
00.30	154	ბეტისი-სევილია	1,85	3,0	4,0
01.00	165	ლას პალმასი-ვალიადოლიდი	1,95	3,1	3,5

24 მარტი

20.00	155	ესპანიოლი-ალავესი	1,8	3,1	3,8
20.00	156	ბილბაო-სელტა	2,3	2,8	3,1
20.00	157	რეალი-სარაგოსა	1,25	5,0	9,0
	158	რეალი-სარაგოსა 0:1	1,7	3,2	3,2
20.00	160	ვალენსია-ოსასუნა	1,35	4,0	7,5
	161	ვალენსია-ოსასუნა 0:1	1,9	3,2	2,6
20.00	162	დეპორტივო-ტენერიფე	1,3	4,4	8,0
	163	დეპორტივო-ტენერიფე 0:1	1,8	3,2	2,8
20.00	164	მალიორკა-ხიხონდადი	1,85	3,2	3,6
23.00	166	ვალიადოლიდი-ბარსელონა	3,1	3,0	2,2

ესპანეთი. II დივიზიონი. XXXIII ტური. 23 მარტი

21.00	167	ატლეტიკო-კორდობა	1,5	3,2	6,5
21.30	168	სერესი-ფეფრილი	1,7	3,0	4,4
21.30	169	ეიბარი-ლეგანესი	1,8	2,8	4,4
21.30	170	ხიმნასტიკი-ნუმანსია	2,4	2,5	3,2

24 მარტი

20.00	171	მურსია-ელჩე	2,4	2,6	2,9
15.00	172	რასინგი-ჟუელვა	1,95	2,7	4,2
20.00	173	ესტრემადურა-სპორტინგი	2,3	2,8	3,1
20.00	174	ოვიედო-ბადახოსი	1,7	2,8	5,0
20.00	175	პოლი ეხიდო-ალბასეტე	2,4	2,6	2,9
20.00	176	ხაენი-ლევანტე	1,9	2,9	4,0
20.00	177	ბურგოსი-სალამანკა	2,5	2,5	3,0

პორტუგალია. I ლიგა. XXVIII ტური

23 მარტი

20.00	178	ჟილ ვისენტე-ბეირა მარი	2,0	3,1	3,4
22.30	179	გიმარაეში-ბენფიკა	2,7	3,0	2,4
01.00	180	სპორტინგი-სალგეიროში	1,15	6,0	12,0
	181	სპორტინგი-სალგეიროში 0:1	1,3	3,6	4,0

24 მარტი

20.00	182	ფარენსე-სეტუბალი	2,1	3,1	3,2
20.00	183	ბრაგა-ვარზიმი	1,55	3,4	5,6
22.45	184	სანტა კლარა-მარიტიმუ	2,3	3,1	2,8
23.00	185	ლეირია-პორტუ	2,8	3,1	2,3
01.00	186	ფეიერა-ბოავისტა	3,6	3,1	1,9

25 მარტი

00.30	187	ალვერკა-ბელენენსეში	2,5	3,2	2,4

პორტუგალია. II ლიგა. XXVIII ტური. 23 მარტი

01.00	188	მაია-პენაფიელი	1,75	3,1	4,0

24 მარტი

19.00	189	რიუ ავე-ფელგეირაში	1,7	3,0	4,4
19.00	190	ესპინიუ-ნასიონალი	2,7	3,0	2,4
19.00	191	შავეში-აკადემიკა	2,2	3,0	2,9
20.00	192	პორტიმონენსე-ოლიეირენსე	1,45	3,4	6,5
20.00	193	კამპომაიორენსე-ოვარენსე	1,35	4,0	7,5
	194	კამპომაიორენსე-ოვარენსე 0:1	1,9	3,2	2,6
20.00	195	ლე�a-ნავალი	1,9	3,0	3,8
20.00	196	ლამპში-მორეირენსე	2,7	3,0	2,4
20.00	197	ავეში-ამადორა	2,3	3,0	2,7

ჰოლანდია. I დივიზიონი. XXIX ტური. 23 მარტი

22.30	199	დენ ბოსხი-ტილბურგი	2,1	3,1	3,2
22.30	200	ბრედა-ვიტესი	2,2	3,1	3,0
22.30	201	ჰერენვენი-ნაიმეგენი	1,4	3,8	7,0
	202	ჰერენვენი-ნაიმეგენი 0:1	1,95	3,2	2,4

24 მარტი

16.00	203	ჰსკ-აიაქსი	2,1	3,1	3,2
17.30	204	სპარტა-ფეიენოორდი	5,6	3,6	1,5
17.30	205	გრაფსხაფი-უტრეხტი	2,3	3,1	2,8
17.30	206	ვალვაიკი-ტვენტე	1,8	3,2	3,8
17.30	207	გრონინგენი-როდა	2,0	3,1	3,4

ჰოლანდია. II დივიზიონი. XXVIII ტური. 23 მარტი

17.00	214	ექსელსიორი-დენ ჰაგი	1,6	3,3	4,7
22.30	215	ჰელმონდი-ემენი	2,5	3,2	2,4

24 მარტი

17.30	216	ვოლენდამი-ვენლო	1,65	3,4	4,4

ბელგია. I დივიზიონი. XXVIII ტური. 23 მარტი

23.00	218	გენტი-შარლეროა	1,35	4,0	7,5
	219	გენტი-შარლეროა 0:1	1,9	3,2	2,6
23.00	220	ანტვერპენი-სტ. ტრუიდენი	2,3	3,1	2,8
23.00	221	ბევერენი-მუსტრონი	4,2	3,3	1,65
23.00	222	ლიერენი-ვესტერლო	1,6	3,5	4,7
23.00	223	ლიერსი-ლიმელი	1,9	3,2	3,5

24 მარტი

18.00	224	ბრიუგე-ბენტი	1,4	3,6	6,5
23.00	226	ლუვიე-მოლენბეეკი	2,2	3,2	2,9

ბელგია. II დივიზიონი. XXIX ტური. 23 მარტი

22.30	227	მონსი-ტინენი	1,4	3,8	7,0
	228	მონსი-ტინენი 0:1	1,95	3,2	2,4
23.00	229	პატრიო-დინეკე	2,1	2,9	3,2
23.00	230	მეხელენი-ვირტონი	1,25	4,4	8,0
	231	მეხელენი-ვირტონი 0:1	1,8	3,2	2,8
23.00	232	პეუსდენი-ინგელმუნსტერი	2,3	3,0	2,7
23.00	233	სერკლი-რონსე	1,55	3,2	5,6

24 მარტი

18.00	234	რუსელარე-ლიეჟი	2,0	2,9	3,4
18.00	235	ვიხეტი-სტრომშეკი	2,1	3,0	3,1
18.00	236	ფლაანდერენი-ბეკელი	1,55	3,4	5,6
18.00	237	დენდერლეუ-დენდელი	2,4	2,9	2,8

ხაბერძნეთი. XXI ტური. 23 მარტი

19.30	245	ეთნიკოსი-პაოკ	3,4	3,1	1,95
21.30	239	აეკ-პანაჰაიკი	1,1	6,0	12,0
	240	აეკ-პანაჰაიკი 0:1	1,3	3,6	4,0

24 მარტი

17.00	238	პანიონიოსი-ეგალეო	1,6	3,2	5,6
17.00	241	ქანთი-იონიკოსი	1,35	3,8	7,0
	242	ქანთი-იონიკოსი 0:1	1,95	3,2	2,4
17.00	243	არისი-აკრატიტოსი	1,35	3,8	7,0
	244	არისი-აკრატიტოსი 0:1	1,95	3,2	2,4
17.00	246	ირაკლისი-ოფი	1,65	3,1	4,7
21.00	247	პანაითნაიკოსი-ოლიმპიაკოსი	2,2	3,0	3,1

ჩეხეთი. XXIII ტური. 23 მარტი

18.00	249	ოპავა-სოფმა	3,6	3,2	1,85
18.00	250	ბლშანი-იაბლონეკი	2,2	3,1	3,0
18.00	251	სინოტი-სლავია	2,9	3,0	2,3
19.30	252	პრჟიბრამი-პ. კრალოვე	1,65	3,3	4,7
19.30	253	სპარტა-დრნოვიცე	1,15	6,0	12,0
	254	სპარტა-დრნოვიცე 0:1	1,35	3,6	4,0
19.30	255	ბრნო-ტეპლიცე	1,8	3,2	3,8

24 მარტი

19.30	256	ლიბერეცი-ჟ�aკოვი	1,85	3,1	3,8

პოლონეთი. პლეი-ოფი. VII ტური. 23 მარტი

17.30	263	პოზონი-ოდრა	1,9	3,1	3,6
17.30	264	კატოვიცე-პოლონია	2,3	3,1	2,8
20.15	265	ლეგნა-რუხი	1,3	4,0	7,5

პოლონეთი. პლეი-აუტი. VII ტური. 23 მარტი

17.30	270	შლეზინკი-გროცლინი	2,3	3,1	2,8
17.30	271	ოსტროვეცი-ზაგლენე	2,5	2,9	2,6
17.30	272	სტომილი-ვიძევი	2,5	2,9	2,6

24 მარტი

20.15	273	გურნიკი-რადომსკი	2,0	3,0	3,5

თურქეთი. XXVIII ტური

23 მარტი

16.30	276	სამსუნი-ჭოჯაელი	1,9	3,2	3,5
16.30	277	იოზგათი-დიარბაჭირი	2,2	3,2	2,9
16.30	278	დენიზლი-ტრაბზონი	2,2	3,1	3,0
21.00	279	გალათასარაი-ბურსა	1,3	4,4	8,0
	280	გალათასარაი-ბურსა 0:1	1,8	3,2	2,8

24 მარტი

16.30	281	ანთალია-გიოსთეფე	2,2	3,1	3,0
16.30	282	მალათია-გენსლერბირლიგი	2,3	3,2	2,7
16.30	283	ანკარაგუჯუ-ესთანბული	1,7	3,2	4,4
21.00	284	რიზე-ბეშიქთაში	4,2	3,1	1,75

შოტლანდია. პრემიერლიგა. XXXIII ტური. 23 მარტი

19.00	288	დანდი იუნაიტედი-პიბერნიანი	2,0	3,1	3,4
19.00	289	დანფერმლაინი-დანდი	1,75	3,2	4,0
19.00	290	პართი-სტ. ჯონსტონი	1,3	4,0	7,5
	291	პართი-სტ. ჯონსტონი 0:1	1,9	3,2	2,6
19.00	292	ლივინგსტონი-აბერდინი	2,2	3,1	3,0

შოტლანდია. I დივიზიონი. XXXI ტური. 23 მარტი

19.00	294	არბროთი-რეითი	1,65	3,5	4,0
19.00	295	ფოლკირკი-ერდრი	2,8	3,3	2,2
19.00	296	ინვერნესი-როსი	2,1	3,3	3,0

შოტლანდია. II დივიზიონი. XXXI ტური. 23 მარტი

19.00	301	ალოა-ფორფარი	1,9	3,1	3,6
19.00	302	კოუდენბეთი-კლაიდბენკი	2,7	3,2	2,3
19.00	303	მორტონი-ბერიკი	2,4	3,2	2,5
19.00	304	სტენჰაუსმური-ქუინი	2,7	3,2	2,2
19.00	305	სტრანრაერი-პაჰილტონი	2,4	3,2	2,5

შოტლანდია. III დივიზიონი. XXXI ტური. 23 მარტი

19.00	309	დამბარტონი-სტირლინგი	1,65	3,5	4,2
18.00	310	ისტ სტირლინგი-ალბიონი	2,6	3,3	2,3
19.00	311	ელგინი-ბრეჩინი	3,5	3,4	1,8
19.00	312	მონტროუზი-ისტ ფაიფი	1,8	3,4	3,5
19.00	313	პიტერჰედი-ქუინს პარკი	1,4	3,8	6,0

ავსტრია. XXVII ტური. 23 მარტი

18.30	314	ბრეგენცი-ადმირა	1,65	3,3	4,7
18.30	315	რიდი-კერნტენი	2,3	3,1	2,8
18.30	316	ტიროლი-ზალცბურგი	1,45	3,6	6,5
20.15	317	რაპიდი-გრაცერი	2,0	3,2	3,3

24 მარტი

19.30	318	შტურმი-აუსტრია	1,6	3,2	5,0

შვეიცარია. „ა“ ჯგუფი. VI ტური. 23 მარტი

19.45	320	სტ. გალენი-ლუგანო	2,1	3,0	3,3

24 მარტი

17.30	321	ხიონი-სერვეტი	2,6	3,1	2,4
17.30	322	იანგ ბოისი-ციურიხი	1,85	3,1	3,8
19.15	323	გრასჰოპერი-ბაზელი	2,0	3,1	3,4

შვეიცარია. „ბ-ბ“ ჯგუფი. VI ტური. 23 მარტი

20.30	324	აარაუ-თუნი	1,85	3,2	3,6
22.30	325	ქაამაქი-ვინტერთური	1,4	3,6	7,5

24 მარტი

17.30	326	დელემონი-ლუცერნი	1,65	3,3	4,7
17.30	327	ლიზანა-ვილი	1,85	3,1	3,8

შვეიცარია. „ა“ ჯგუფი. VI ტური. 23 მარტი

20.30	328	ბელინკონა-ბადენი	1,8	3,1	4,0
20.30	329	კრუეი-ლოკარნი	2,4	3,0	2,7

24 მარტი

17.30	330	კოსტორდია-ოლერდონი	3,0	3,1	2,2
17.30	331	კრონსი-ვაფეცი	1,65	3,2	4,4

დანია. XXIII ტური. 24 მარტი

18.00	332	ებბიერგი-ორჰუსი	1,6	3,4	4,4
18.00	333	ოდენსე-ვიბორგი	1,65	3,3	4,4
18.00	334	კოპენჰაგენი-ალბერტსლუნდი	1,5	3,5	6,0
18.00	335	ვაილე-მიდტიულანდი	3,2	3,3	2,0
20.00	336	ხილეფბორგი-ბრონდბიუ	3,8	3,2	1,8

რუსეთი. IV ტური. 23 მარტი

16.00	338	ურალანი-შინიკი	1,65	3,0	5,0
16.00	339	ალანია-როსტსელმაში	2,0	3,0	3,5
19.00	340	სატურნი-კრილია	1,9	3,0	3,8
18.00	341	ზენიტი-ტორპედო	1,95	2,9	3,6
16.00	342	ზილ-რიტორი	2,2	2,8	3,3
16.00	343	სოკოლი-ანეი	1,85	2,9	4,2
17.00	344	დინამო-ცსკა	3,4	2,9	2,1

ინგლისი. თახ. მეოთხედფინალი. გადათამაშება.

23 მარტი

16.00	345	არსენალი-ნიუკასლი	1,65	3,3	4,7

შოტლანდია. თახ. ნახევარფინალი.

23 მარტი

21.35	346	სელტიკი-ეარი(ნეიტრ.)	1,1	6,0	12,0

24 მარტი

19.00	347	რეინჯერსი-პარტიკი(ნეიტრ.)	1,15	5,6	10,0

კალათბურთი

23 მარტი

04.00	532	ატლანტა-ციკაგო	1,2	12,0	3,1
05.00	533	მინესოტა-პორტლენდი	1,4	12,0	2,3
05.30	534	სან ანტონიო-მაიამი	1,3	12,0	2,3
05.30	535	დალასი-მემფისი	1,1	12,0	5,0
06.00	536	იუტა-გოლდენ სტეიტი	1,1	12,0	5,0
07.00	537	დენვერი-სიეტლი	2,3	12,0	1,

04.00	596	კოლუმბუსი-ვაშინგტონი	2,2	3,4	2,0
04.00	597	ნეშვილი-მონრეალი	2,2	3,2	2,1
04.30	598	ფლორიდა-ბოსტონი	2,2	3,4	2,0
07.00	599	ედმონტონი-კალგარი	1,65	3,4	2,9

რაგბი. ექვსი ერი. IV ტური

23 მარტი

18.00	612	ირლანდია-იტალია	1,01	25,0	12,0
18.30	613	ინგლისი-უელსი	1,02	20,0	10,0
20.00	614	შოტლანდია-საფრანგეთი	3,5	10,0	1,2

ტურში გატანილი გოლები

23.03 18.30 781 გერმანია 1-ლი ბ.ლ. (28-ე) 25 და ნაკლები -1,9; 27 და მეტი -1,9

23.03 20.15 782 საფრანგეთი 1-ლი დ. (30-ე) 21 და ნაკლები -1,9; 23 და მეტი -1,9

23.03 23.30 783 იტალია ა. (28-ე) 23 და ნაკლები -1,9; 25 და მეტი -1,9

23.03 21.00 784 ესპანეთი 1-ლი დ. (31-ე) 25 და ნაკლები -1,9; 27 და მეტი -1,9

23.03 20.00 785 პორტუგალია 1-ლი ლ. (28-ე) 22 და ნაკლები -1,9; 24 და მეტი -1,9

ოსკარების გადაცემა 24 მარტი. 21.00

811. საუკეთესო ფილმი

ბრწყინვალე გონება ---------- 1,4
ბეჭდების მბრძანებელი ---------- 2,3
მულენ რუჟი ---------- 6,0
საძინებელ ოთახში ---------- 9,0
გოსფორდ პარკი ---------- 9,0

812 საუკეთესო მსახიობი მამაკაცი

რასელ ქროუ ---------- 1,35
დენზელ ვაშინგტონი ---------- 3,0
უილ სმიტი ---------- 4,0
შონ პენი ---------- 10,0
ტომ უილკინსონი ---------- 12,0

813 საუკეთესო მსახიობი ქალი

სისი სპეისეკი ---------- 1,5
ჰელ ბერი ---------- 2,6
ნიკოლ კიდმანი ---------- 3,0
ჯუდი დენჩი ---------- 7,0
რენე ზელვეგერი ---------- 15,0

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
		23 მარტი									
18.30	713	ლევერკუზენი-მიუნხენი	1,8	12,0	25,0	3,0	5,0	12,0	25,0	12,0	12,0
18.30	714	ზტ. პაული-შტუტგარტი	3,4	10,0	20,0	4,4	4,7	5,3	20,0	10,0	4,2
18.30	715	ჰერტა-ნიურნბერგი	1,7	12,0	25,0	3,0	5,0	14,0	25,0	12,0	12,0
18.30	716	ჰანზა-ჰამბურგი	3,1	10,0	20,0	4,2	4,4	6,0	20,0	10,0	4,7
18.30	717	ბაიერნი-კიოლნი	1,3	20,0	40,0	3,0	7,0	20,0	40,0	20,0	18,0
18.30	718	შალკე-კაიზერსლაუტ.	2,4	10,0	20,0	3,4	4,7	8,0	20,0	10,0	6,5
18.30	719	ფრაიბურგი-მიონხენგლ.	3,1	10,0	20,0	4,2	4,4	6,5	20,0	10,0	4,7
19.00	720	ჩარლტონი-ბოლტონი	2,6	10,0	20,0	3,6	4,7	7,0	20,0	10,0	5,6
19.00	721	დერბი-ევერტონი	3,0	10,0	20,0	4,0	4,7	6,5	20,0	10,0	5,0
19.00	722	იფსვიჩი-ასტონ ვილა	3,4	10,0	20,0	4,4	4,4	5,3	20,0	10,0	4,2
19.00	723	ლესტერი-ლიდსი	6,0	10,0	20,0	8,0	5,0	3,4	20,0	10,0	2,4
19.00	724	მანჩესტერი-მიდლსბრო	1,5	15,0	30,0	3,0	5,6	15,0	30,0	15,0	15,0
19.00	725	სანდერლ.-საუთჰემპტ.	3,0	10,0	20,0	4,0	4,4	6,0	20,0	10,0	5,0
23.30	726	პარმა-იუვენტუსი	5,0	10,0	20,0	6,0	4,2	4,4	20,0	10,0	3,3
21.00	742	მალაგა-რაიო	2,5	10,0	20,0	3,5	4,7	8,0	20,0	10,0	6,0
00.30	727	ბეტისი-სევილია	2,7	10,0	20,0	3,8	4,4	7,5	20,0	10,0	6,5
01.00	746	ლას პალმასი-ვილიარ.	2,9	10,0	20,0	3,8	4,4	7,0	20,0	10,0	5,3
		24 მარტი									
20.30	728	დორტმუნდი-კოტბუსი	1,5	15,0	30,0	3,0	5,6	15,0	30,0	15,0	15,0
20.30	729	ვოლფსბურგი-ვერდერი	3,3	10,0	20,0	4,4	4,7	5,6	20,0	10,0	4,2
18.00	730	ლივერპული-ჩელსი	2,5	10,0	20,0	3,5	4,7	8,0	20,0	10,0	6,0
20.00	731	ფულემი-ტოტენჰემი	3,3	10,0	20,0	4,4	4,2	6,0	20,0	10,0	4,4
18.00	732	ბოლონია-ლეჩე	1,8	12,0	25,0	3,0	5,0	12,0	25,0	12,0	12,0
18.00	733	ბრეშა-პერუჯა	3,3	10,0	20,0	4,4	4,4	6,5	20,0	10,0	5,0
18.00	734	კიევო-ვერონა	3,3	10,0	20,0	4,4	4,4	6,0	20,0	10,0	4,4
18.00	735	ლაციო-უდინეზე	2,3	10,0	20,0	3,3	4,7	9,0	20,0	10,0	8,0
18.00	736	პიაჩენცა-მილანი	4,4	10,0	20,0	5,6	4,4	4,4	20,0	10,0	3,6
18.00	737	ტორინო-ფიორენტინა	2,2	10,0	20,0	3,2	5,0	8,0	20,0	10,0	7,0
18.00	738	ვენეცია-ატალანტა	5,3	10,0	20,0	6,5	4,7	3,8	20,0	10,0	2,8
20.00	739	ესპანიოლი-ალავესი	2,6	10,0	20,0	3,6	4,7	7,0	20,0	10,0	5,6
20.00	740	ბილბაო-სელტა	3,4	10,0	20,0	4,4	4,2	6,0	20,0	10,0	4,4
20.00	741	რეალი-სარაგოსა	1,5	15,0	30,0	3,0	5,6	15,0	30,0	15,0	15,0
20.00	743	ვალენსია-ოსასუნა	1,7	12,0	25,0	3,0	5,0	14,0	25,0	12,0	12,0
20.00	744	დეპორტივო-ტენერიფე	1,6	12,0	25,0	3,0	5,0	14,0	25,0	12,0	12,0
20.00	745	მალიორკა-სოსიედადი	2,7	10,0	20,0	3,8	4,7	7,0	20,0	10,0	5,3
23.00	747	ვალიადოლ.-ბარსელონა	4,4	10,0	20,0	6,0	4,7	4,4	20,0	10,0	3,3

გამოიცანით „ოსკარის“ მფლობელი ფილმი, საუკეთესო მამაკაცი და ქალი მსახიობი ერთდროულად და თქვენ დაჯილდოვდებით! ის, ვინც ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოს მფლობელს სამივე ნომინაციაში გადაბმულად გამოიცნობს, მოგებული თანხის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის“ საჩუქარსაც მიიღებს. 40 გამარჯვებული დასაჩუქრდება „რუსთაველის“ ორი უვადო მოსაწვევით, რომელის გამოყენება შეეძლება ნებისმიერი, მისთვის სასურველი სეანსისას.

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	ცხინვალის გზატკეცილი №11	წმინდაწყლის დასახლება
	სტალინის ქუჩა №14	
	მშვიდობის გამზირი №11	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
	კოსტავას გამზირი №23	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №66	ყოფილი გორკის ქუჩა
	ჯავახიშვილის ქუჩა №78	
	ჭავჭავაძის ქუჩა № 113	
	ფიროსმანის ქუჩა № 7ა	
ხელვაჩაური	ალმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ვაჟკაცი რწყილი

ჩემგანაც მიიღე: ბრაიან რასელი ჯორდანს შეაცოცდა და უკბინა

21 მარტი

იუტა 94:79 ვაშინგტონი

იუტა: მელოუნი (23), სტოკტონი (19)
ვაშინგტონი: ჰამილტონი (14)

დალასი 102:105 სან ანტონიო

დალასი: ნოვიცკი (29 ქულა, 14 მოხსნა), ნეში (28), ფინლი (21)
სან ანტონიო: დენკანი (32 ქულა, 14 მოხსნა), რობინსონი (22 ქულა, 12 მოხსნა)

საკრამენტო 118:82 დენვერი

საკრამენტო: თურქოღლუ (31 ქულა, 10 პასი, 9 მოხსნა), ვებერი (20)
დენვერი: მაკლაუდი (15)

ატლანტა 118:89 ნიუ იორკი

ატლანტა: მუჰამედი (24 ქულა, 11 მოხსნა), აბდურ-რაჰიმი (20)
ნიუ იორკი: ტომასი (19 ქულა, 11 მოხსნა), სპრიუელი (15)

მემფისი 93:95 მინესოტა

მემფისი: ბეტიე (28), გასოლი (21), უილიამსი (16 ქულა, 10 მოხსნა)
მინესოტა: გარნეტი (25 ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი), ბილაფსი (19)

ფინიქსი 82:95 დეტროიტი

ფინიქსი: მარბერი (16), ჰარდეიეი (16)
დეტროიტი: რობინსონი (28), სტეკჰაუზი (23)

გოლდენ სტეიტი 96:116 კლიპერსი

გოლდენ სტეიტი: არენასი (32), ჯემისონი (23 ქულა, 15 მოხსნა)
კლიპერსი: ბრენდი (30 ქულა, 16 მოხსნა), მაკინისი (18 ქულა, 13 პასი), პიატკოვსკი (18)

ჯონ სტოქტონის შემდეგ კარლ მელოუნს მაიკლ ჯორდანზე გულითადი მეგობარი არა ჰყავს, მაგრამ როგორც პროფესიონალი, მის წინააღმდეგ სათამაშოდ მოედანზე სიძულვილით ანთებული შედის. არცაა გასაკვირი, აბა, 1998 წლის ფინალს რა დაავიწყებს. ჯორდანი არ იყო, გადამწყვეტი მატჩის ბოლოს ბურთი რომ მოჰპარა და „იუტა ჯაზის" დამაქცევარი სამქულიანიც ჩასვა კალათში? არც 1997 წლის ფინალში ჯორდანის „ჩიკაგოსთანვე" წაგებაა მელოუნის გონებიდან იოლად ამოსაშლელი მოვლენა.

თავისი და ჯორდანის წლოვანების გათვალისწინებით, მელოუნს მასთან ნბა-ს ფინალში კვლავ შებმის იმედი აღარ უნდა ჰქონდეს. ასე რომ, სარეგულარულჩემპიონატო წვრილი რევანშებით თუ მოიოხებს გულს. ის მზადაა, ერთი თვის ხელფასსაც შეელიოს, ოღონდ მაიკლის გაწბილებული სახე ნახოს.

ეს დღე მელოუნის, აგრეთვე მის დოსტ ჯონ სტოქტონისა იყო. სამი კვირის წინ მუხლის ოპერაციაგადატანილ და მოედანზე სამი დღის შემობრუნებულ მაიკლს მის ჩასაყლაპად მთელი სიმაღლით აღმართულ დევთან ჯავგურის თავი არ ჰქონდა და წინააღმდეგობაც სუსტი გაუწია, „იუტას" კალათს თავის წილად მხოლოდ თერთმეტი ქულა აკმარა. მელოუნ-სტოქტონი კი ბობოქრობდნენ და ჯამური 42 ქულა ატაკეს „ვაშინგტონს".

ბებერ ძმადნაფიცთა გარდა „იუტაში" ჯორდანის მოძულე სხვაც მოიძევება და არც მათ დაუკლიათ ხელი დაჭრილი არწივისთვის. აღსანიშნავია მაიკლის მუდმივი და უშუალო მეურვე ბრაიან რასელი, რომელმაც ოთხი წლის წინ ჯორდანს ხელი ვერ შეუშალა ზემოთ ნახსენები სამქულიანის სროლისას. ახლა რასელმა მატჩის მიწურულს ზედ ჯორდანის ცხვირწინიდან ჩაუგდო სამიანი „ვაშინგტონს" და დიად ოპონენტს უტიფრად მიაყვირა — „ჩემგანაც მიიღე!"

ვერ ვიტყვით, რომ იუტელთაგან უწყლოდ დაკორტნილმა ჯორდანმა მწარედ განიცადა მარცხი. ნამატჩევს ის თითქოს ურიგო ხასიათზე არ იყო და ღიმილიანი სახით ერთხელაც გაიმეორა, მიხარია, რომ მუხლი აღარ მაწუხებს და საერთოდაც თავს მშვენივრად ვგრძნობო.

მრავალწლოვანი დაპირისპირებების გამო „იუტა"—„ვაშინგტონმა" ზღვა ხალხის გულისყური მიიპყრო და ამის გამო დალასური მატჩისადმი ქომაგთა ინტერესი მცირედით გახუნდა. არადა, ტეხასის გულმა საარკო და ძვალთამმსხვრევ თამაშს უმასპინძლა.

ტეხასურ დერბიში გამარჯვებულის წილი პატივი და დიდებაა, წაგებულს გულში ბოღმა და სხვათაგან ქილიკი რჩება. ეს საკმარისი მიზეზია მოედანზე დახარჯვისთვის და მასპინძელმა „დალასმაც" და სტუმარმა „სან ანტონიომაც" თავს მეტოქის და საკუთარი თავის დაზოგვის უფლება არ მისცეს.

ორივემ თავისი თამაში ითამაშა. მასპინძელთა სუპერტრიომ (ნოვიცკი, ნეში, ფინლი) გარღვევებით, უფრო კი შორიდან და საშუალო დაშორებიდან შეუტიეს სანანტონიოელებს, ხოლო ამათ თავიანთი ზემაღლების — ტიმ დანკანის და დევიდ რობინსონის ფარქვეშური მეცადინეობით სცადეს გამოცდის ჩაბარება. საბოლოოდ მაღლებმა მოიგეს, ოღონდ მასპინძელ სნაიპერებს გადამწყვეტი დარტყმა სტუმართა მესამქულიანემ, ბრიუს ბოუენმა მიაყენა ბოლო წამებზე.

არ გაგიკვირდეთ და, დასავლეთში მხოლოდ მეოთხეადგილოსანი „სან ანტონიოსთვის" ეს გამარჯვება ზედიზედ მეთვრამეტე იყო.

დაბოლოს, არ გამოგვეპაროს ცალფარა კალათბურთი „საკრამენტოში". კალიფორნიის დედაქალაქში იქურმა „მეფეებმა" ცალი ხელით შემუსრეს მთიელი კოლორადოელები, რომელთაც სახელად „ოქროს სხმულები" დაურქვამთ. მასპინძელთაგან ყველაზე მეტი ქული „საკრამენტოს" გადამთიელმა სათადარიგომ ჰიდაიამ თურქოღლუმ მოიხვეჭა. საზოგადოდ თურქი „მეფეთა" მეორე ფრიალა, მაგრამ ამ დღეს, რაცა პირველს ასეთ გადაწყვეტელს, იუტასაც არ ერჩინა ხელი. ვიცის ფეხი აწუხიბია, თურქმა ხელთუსნელობამ თავი ამ თავიანთ ბლოლოებში სრულად შეაფრქვევინა სტუმრებს. მან დაამყარა ორი კარიერის რეკორდი — 31 ქულა და 10 პასი და ერთით მეტი ბურთი რომ მოეხსნა, ცხოვრებაში პირველ სამმაგ დუბლს შეასრულებდა, რითაც ერთიორად ამაღლებდა სტატისტიკაზე გადარჩენულ აბრიკელთა თვალში. ხოლო თურქებისთვის ის კარგა ხანია, თითქმის ეროვნული გმირია.

ირაკლი ფირაზვილი



AP სოლტ ლეიკ სიტიდან

კარლ მელოუნმა და ჯონ სტოქტონმა მაიკლ ჯორდანი არ გააჭანეს

დიდინმა შეასრულა, ულქერმა ვერა

ზაზა ფაჩულია არც კმაყოფილია, არც უკმაყოფილო

სიტყვის კაცი ყოფილა მურათ დიდინი. „ულქერის" მწვრთნელმა „მაკაბისთან" შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე „სარბიელს" უთხრა, ზაზა ფაჩულიას ვათამაშებო და შეასრულა კიდეც.

არადა, „ულქერი" ევროლიგაში ყოფნა-არყოფნის მატჩს თამაშობდა. ჯგუფში ორივე შეხვედრის წამგებს სტუმარი ერთობ სახელიანი ჰყავდა — სუპროლიგის შარშანდელი გამარჯვებული. აქამდე ქართველს ევროლიგაში სასტარტო შემაღგენლობაში მხოლოდ ერთხელ ეთამაშა — ვლადიმერ ბოისამ მეორე ეტაპის პირველ ტურში „ოლიმპია"—აეკ-ის შეხვედრაში სადებიუტო 5 წუთი დაჰყო მოედანზე. ხუთშაბათს კი ზაზა ფაჩულია იყო მათ შორის, ვინც სტამბოლში, თვალებანთებული თურქებით გადავსებულ „აჰმედ კომერტში" ებრაული კალათბურთის ფლაგმანს პირველივე წუთებიდან დაეტაკა. დიდინს საკმაო მიზეზი ჰქონდა ქართველის მოედანზე გასაყვანად. ბოლო მატჩებში ფაჩულიამ ჩინებულად ითამაშა და უაღრესად პრინციპული შეხვედრის ძირითადშიც ფეხი შედგა. თუმცა, გულისგასახარად არ უთამაშია. და რადგან შეხვედრა არ გვინახავს, ფაჩულიას თამაშის შეფასება მასვე მივანდოთ.

შარუნას იასიკევიჩუსი

— თვით ფაქტი, რომ დიდინმა ხ-ეოეულში დამაყენა, უდიდესი მიღწევაა. „მაკაბი" დღეს ევროპაში უძლიერესთაგანია და როცა ამ დონის მატჩში გენდობიან, ბევრს ნიშნავს. რაც შეეხება ჩემს თამაშს, არც კმაყოფილი ვარ და არც უკმაყოფილო. დაცვაში კარგად ვითამაშე, მაგრამ იგივეს შეტევაზე ვერ ვიტყვი. მართალი გითხრათ, სროლის საშუალება არც მქონია, ჩემს წინააღმდეგ მაკაბელთა ერთ-ერთი საუკეთესო, ნათანიელ ჰაფმანი თამაშობდა. ცხადია, მხოლოდ დაცვა საკმარისი არაა და დიდინმა ხუთ წუთში გამიყვანა. მოედანზე მესამე მეოთხედში დავბრუნდი და უკეთ ვითამაშე, ჰაფმანი ტრავმის გამო მოედანზე აღარ იყო და ის ორი ქულაც მაშინ ჩავაგდე. ისე ცუდად, როგორც ანგარიშიდან ჩანს, არ გვითამაშია. ბოლოს მატჩის ხსნის შანსიც მოგვცა, მაგრამ...

„ულქერს" გამარჯვება მართლაც შეეძლო. ბოლო წუთებს რომ თავი დავანებოთ, მესამე ათწუთეულიც ისე რომ ეთამაშათ, როგორც წინა ორი, ებრაელებს არაფერი ეშველებოდათ. ბებერმა მგელმა ჰარუნ ერდენაიმ არაფრად ჩაგდო ევროპის კაშკაშები და პირველ მეოთხედში მათი ფარი დაიჩემა. ნახევრად თმაგაძარცულმა თურქმა ვეტერანმა საწყის 10 წუთში 13 ქულა აასხა მის საამმატჩო 19-ქულიან კრიალოსანზე და არც დიდ შესვენებამდე უღალატა ჯანმა ებრაელთა სათრევად. მერე კი თურქებს ჯალათად თურქი გამოეცადათ: ზორბა ჰუსეინ ბეშოქმა, ვისაც მარჯვენას ჰაეროვანი არიელ მაკდონალდი უმაგრებდა, სტამბოლელები თითქმის უიმედოდ დატოვა — 64:52.

ებრაელთა თავშეუკავებლობით და ენაგრძელობით ნაბოძები შანსი „ულქერმა" ვერ შეიშნო. მაკაბელები გვარიანად იგებდნენ, მაგრამ მსაჯს დროდადრო მაინც ეანგლებოდნენ. ისიც ადგა, მათ მორიგ ჯარიმას ტექნიკურიც მიაყოლა და ბად ელის ოთხი საჯარიმო სროლის უფლება მიეცა. ყველას ჩაგდებისას სხვაობა 6 ქულამდე მცირდებოდა და ბურთიც მასპინძლებს რჩებოდათ, მაგრამ ვირგლა ამერიკელმა ორჯერ იხეირა და წარმატების მისხალი შანსი აღმოსავლეთის ქარს გაატანა.

ნიკა ცქიტიშვილის „ბენეტონი" კი ამ ეტაპზე პირველად დამარცხდა. ტრევიზოელები კატალონიას ესტუმრნენ და თითქმის მოგებული მატჩი წააგეს. სანამ იტალიელთა ცივ შხაპზე ვიტყვით, აღვნიშნოთ, რომ ქართველმა ამ მატჩში 2 წუთი ითამაშა და ერთი ბურთის მოხსნა მოასწრო. „ბარსელონას" ლიტველმა გამთამაშებელმა შარუნას იასიკევიჩუსმა კი მთელი ტრევიზოს საგინებლად გაიხადა თავი. ეს ის ყმაწვილია, წინა ტურში პესაროში „სკავოლინი" ბოლო წამზე სამქულიანით რომ გაამწარა და ახლაც იგივე მოიმოქმედა. ბენეტონელმა ხორხე გარბახოსამ სირენამდე 4 წამით ადრე კატალონიელებს ჩაუტენა და თავისიანები 75:73 დააწინაურა. მაიკ დანტონმა იმ წუთიდან, ალბათ, უკვე ოთხთა ფინალზე იწყო ფიქრი, მაგრამ საიდანღაც ლიტველი გამოტყვრა და იტალიელის ფიქრებში... კორექტივები შეიტანა.

ისევ წაავო „ოლიმპიამ" და ისევ არ გამოჩენილა ვლადიმერ ბოისა. ლიუბლიანელები შინ „ოლიმპიაკოსს" ემსხვერპლნენ და ახლა სულ ნბა-ს ვარსკვლავებით რომ აივსონ, ჯგუფიდან მაინც ვერ გავლენ.

ირაკლი პერტაია

ევროლიგა

Euroleague

მეორე ჯგუფური ეტაპი. III ტური. 20-21 მარტი

E ჯგუფი

ბარსელონა 76:75 ბენეტონი

ბარსელონა: როდრიგესი (6), ოკულაია (13), დიგბე (6), დუენიასი (9), იასიკევიჩუსი (21), რენციასი (7), ვარეხაო (10), კარნიშოვასი (4)
ბენეტონი: ნიკოლა (17), იდნი (18), პიტისი, მარკონატო (12), ბულერი, ჩიკალვინი (9), ნახბარი (11), გარბახოსა (8), ცქიტიშვილი (2 წუთი, 0 ქულა, 2 მოხსნა)

სკიპერი 73:86 სკავოლინი

სკიპერი: გოლდვაირი, ფუჩკა (22), სავიჩი (7), მენეგინი, მილიჩი (10), გალანდა (17), პილუტი (3), მარცელიჩი (14)
სკავოლინი: ბუკერი (25), გიგენა (10), ლ. მიდლტონი (16), პეჩილე (2), ტრაინა (11), ტუშეკი (4), მაჯოლი (3), ბლერი (15)

ბენეტონი	3	2	1	265:232	5
ბარსელონა	3	2	1	257:259	5
სკიპერი	3	1	2	260:275	4
სკავოლინი	3	1	2	239:255	4

F ჯგუფი

რეალი 58:86 კინდერი

რეალი: ა. ანგულო (16), სტრიულენსი (2), ჯორჯევიჩი (9), ლ. ანგულო (2), ვუკჩევიჩი, ტაბაკი (14), ერეროსი (3), ტარლაჩი (2), ერნანდესი (2), ატრუია (8)
კინდერი: ჯინობილი (15), ანიო (3), ბონორა, ფროზინი (6), ანდერსონი (2), რიგოდო (11), გრიფიტი (4), ბრკიჩი, სმოდიში (24), ბარლერა, იარიჩი (21)

ურალ გრეიტი 85:89 ეფესი

ურალ გრეიტი: პანოვი (9), კარასიოვი (11), ბარტონი, მიხაილოვი (12), ლიადელისი (27), ავლეევი (11), დაინეკო (5), ბოუი (10), ევტიმოვი
ეფესი: არსლანი (1), ონანი (12), შტომბერგასი (18), თუნჩერი, ილმაზი (9), ოქურრი (30), პეკერი (3), კამბალა (16)

კინდერი	3	3	0	234:192	6
ეფესი	3	1	2	225:228	4
ურალ გრეიტი	3	1	2	241:249	4
რეალი	3	1	2	213:244	4

G ჯგუფი

ოლიმპია 66:75 ოლიმპიაკოსი

ოლიმპია: ველში (14), გოლემაცი (2), ილიევსკი (9), უდრიჰი (6), ზდოვცი (7), ავოჯობი (12), დალი, მუეძინოვიჩი (11), ჭუკიჩი (5)
ოლიმპიაკოსი: ბუდურისი, პაპალუკასი (9), ამანატიდისი (4), რიზაშე (5), ფორდი (27), ტომიჩი (8), ფემერლინგი (6), ფორესტერ (9), დე მიგელი (7)

აეკ 66:73 პანათინაიკოსი

აეკ: ჰოლდენ (21), ზისისი (1), კარი (11), ხაძისი, კიკილასი, დიკუდისი (11), ბილბა (6), ბეტსი (4), კაკიუზისი (12), ანტიჩი
პანათინაიკოსი: ალვერტისი (5), კალაიძისი (5), როჯერსი (4), მულაომროვიჩი (8), ბოდიროგა (21), მიდლტონი (19), ქუთლუაი (4), გიანულისი (7)

ოლიმპიაკოსი	3	3	0	242:210	6
პანათინაიკოსი	3	2	1	233:225	5
აეკ	3	1	2	232:235	4
ოლიმპია	3	0	3	220:257	3

H ჯგუფი

ტაუ 73:87 ცსკა

ტაუ: სკოლა (16), ნოჩიონი (2), ბენეტი (14), ფორესტი (13), სკოლნინი (6), ტომაშევიჩი (12), ობერტო (5), კორჩიანი (5)
ცსკა: მაკენტსი (16), თურქმანი (13), ვოლკოვისკი (11), გირჩეკი (25), პაშუტინი (7), დომანი (16), პეტრენკო, ფეტისოვი

ულქერი 78:91 მაკაბი

ულქერი: ლოლისი (10), აბი (2), შტელმახერსი (15), გოლიოვიჩი (4), ერდენაი (19), ფაჩულია (12 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა), ელი (8), აჩიკი (5), გონლუმი (9), ილდირიმი (4)
მაკაბი: ჰენფელდი (2), შარფი (17), ჰაფმანი (7), პარკერი (4), შელეფი (19), ბურშტეინი (2), ჩურჩიჩი (9), მაკდონალდი (22), ბეშოქი (9)

ტაუ	3	2	1	252:233	5
ცსკა	3	2	1	241:222	5
მაკაბი	3	2	1	237:224	5
ულქერი	3	0	3	227:278	3

კორაჩის თასი 1/2 ფინალი. 20 მარტი

მარსი (საბერძნეთი) 91:86 ლოკომოტივი (რუსეთი)
ნანსი (საფრანგეთი) 89:58 პივოვარნა (სლოვენია)

საპორტას თასი 1/4 ფინალი. პირველი მატჩები. 19-20

ტელეკომი (გერმანია) 88:92 პამესა (ესპანეთი)
უნიკსი (რუსეთი) 73:70 სიენა (იტალია)
ჰაპოელი (ისრაელი) 88:90 ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა)
პანიონიოსი (საბერძნეთი) 83:74 ანვილი (პოლონეთი)

საყვედური, როგორც მაშვილი რგოლი

ნონა გაფრინდაშვილი და მიხეილ კაკაბაძე

მიხეილ კაკაბაძის დაბადებიდან 80 წელიწადი გასულა. ამასთან დაკავშირებით მის სახელს კიდევ ერთხელ გაიხსენებენ ახლობლები, მეგობრები და კოლეგები, გაიხსენებენ ისინიც, ვინც მან ჟურნალისტიკას აზიარა, დააკვალიანა და გზაზე დააყენა. ბევრი ითქმება განსვენებული კაცის შესახებ, მის ღვაწლსა და წვლილზე ქართული ჟურნალისტიკის, უწინარეს ყოვლისა, სპორტული ჟურნალისტიკის წინაშე. და მინდა ამ მოგონებებს ჩემიც შევუერთო და მისი დიდი ვალი ამ პატარა გახსენებითაც გადავიხადო

ლეგენდული გადასახედიდან, როცა მიხეილ კაკაბაძის გარდაცვალებიდან 19 წელიწადი გასულა, უფრო ნათლად ჩანს ამ კაცის პროფესიონალიზმი, საქმისადმი დამოკიდებულება და მისი პიროვნული თვისებები. მე გავცნობივარ იმ პერიოდის საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში გამომავალ სპორტულ გაზეთებს და, ჩემი ღრმა რწმენით, მათ შორის საუკეთესო მიხეილ კაკაბაძის რედაქტორობით გამომავალი „ლელო“ იყო.

მიხეილ კაკაბაძისეულ „ლელოს“ მუდამ გაჰქონდა ლელო და დროსაც დიდად უსწრებდა. ამიტომაც „ლელო“ უპოპულარულესი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჭეშმარიტად სახალხო გაზეთი იყო. ეს იყო მანკიერებისადმი უკომპრომისო, პრობლემებისადმი უშიშარი, წმინდაწყლის პროფესიული თვალსაზრისით კი მეტად გაბედული და ნოვატორული გაზეთი.

ალბათ, იგივე შეიძლება ითქვას მიხეილ კაკაბაძის რედაქტორობით გამომავალ სხვა გაზეთებზეც. იქნებ ამიტომაც იყო, რომ მიხეილ კაკაბაძეს ერთი გაზეთის რედაქტორობიდან ათავისუფლებდნენ, მაგრამ ვერ ელეოდნენ და სხვა გაზეთის რედაქტორად ნიშნავდნენ, თუმცა, კარგი რატომ აგიგიას პრინციპით, ისევ ათავისუფლებდნენ.

მაშინაც გაათავისუფლეს, 1975 წელს, როცა იქ, ზემოთ, პატიოსანი ბრძოლის წესები დაივიწყეს და მას არასპორტულად მოექცნენ — სპორტულ გაზეთში ცეკას (საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის) არასპორტული დადგენილება რატომ არ გამოაქვეყნეო. თუმცა, ეს გათავისუფლების საბაბი იყო, მიზეზი კი სულ სხვა რამ...

მაგრამ ახლა არც ამ მიზეზის ჩხრეკას ვაპირებ, არც მიხეილ კაკაბაძის შემოქმედებასა და პროფესიონალიზმზე საუბარს. უბრალოდ, მინდა გავიხსენო ერთი სამსახურებრივი ისტორია, რომელიც მიხეილ კაკაბაძის პორტრეტს ნიშვნელოვან შტრიხს მატებს.

ერთ მშვენიერ დღეს რედაქციაში შემოსული წერილებიდან ერთ-ერთი დავხიე. იმ შემოსულ კორესპონდენციებს „შემოსული წერილები“ ერქვა და მათზე ცეკას იმდენი დადგენილება ჰქონდა მიღებული, რომ ტომებად გამოიცემოდა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს გვაზეპირებდნენ. ამიტომ მაშინ, ჯერ კიდევ მესამეკურსელ სტუდენტს, კარგად მახსოვდა, რომ თითოეულ „შემოსულ წერილზე“ დიდად პასუხისმგებელი ვიყავი. ეს კი მახსოვდა, მაგრამ იმ წერილის ავტორი ჩემი მეგობარი იყო. მეც ავდექი და მისი რებუსი თამამად დავხიე. ვიფიქრე, არ მიჩივლებს და ამ აბდაუბდას თავიდან დავწერ-მეთქი. ამიტომ ეს ამბავი არც დამიმალავს. ეგ კი არა, იმ წერილის ნაკუწები დემონსტრაციულად urnaში ჩავუძახე. ეს ამბავი ერთმა ჩვენმა კოლეგამ, იმ დროს პროფორგანიზაციის თავმჯდომარემ თუ პარტორგანიზაციის მდივანმა რომ გაიგო, ისე მოიქცა, როგორც მისი თანამდებობისა თუ საზოგადოებრივი დატვირთვის მქონე კაცი უნდა მოქცეულიყო — წამოენთო, აპილპილდა და ქვეყანა შეჰყარა, გაიგეთ, გურასაშვილმა ეს რა ჰქნაო? ეს საკითხი პარტიულ კრებაზე უნდა გავიტანოთ და სერიოზულად ვიმსჯელოთო.

პარტიულ კრებაზე სერიოზულად მსჯელობა რასაც ნიშნავდა, ამას ის გაიგებს, ვინც მსგავს ამბავს შესწრებია...

უჰ, ეს რა უქნია გურასაშვილს, ნამდვილად სერიოზულად უნდა დავსაჯოთო, სხვები ხუმრობით კვერს უკრავდნენ და ცეცხლზე ნავთს უსხამდნენ ჩემი ქვეყნის შემყრელს, ის კი სერიოზულად შფოთავდა და ბორგავდა. ერთი სული ჰქონდა, როდის მოვიდოდა პარტიული კრების დრო.

შემოსული წერილის ამბავი მიხეილ კაკაბაძემაც გაიგო და, უჰ, რას ამბობთ, ეს რა უქნია გურასაშვილსო, ახლა იმან შეიცხადა ხუმრობით.

ერთი სიტყვით, კრების მოლოდინში მთელი კვირა რედაქციის დერეფანში პროფორგანიზაციის თავმჯდომარეს თუ პარტორგანიზაციის მდივნის კაბინეტის სიახლოვეს მხოლოდ ეს ოხუნჯობა გაისმოდა: „გაიგეთ, რა ანი გურასაშვილმა?!“

— აბა, აიგო, ანდა?

მაგრამ მე სულაც არ მეხერხებოდა, რადგან პარტორგანიზაციის მდივანი თუ პროფორგანიზაციის თავმჯდომარე მეტად სერიოზულად ბობოქრობდა და ვფიქრობდი, ალბათ ციმბირს უკან მომატოვებინებენ-მეთქი.

ასე იყო თუ ისე, როგორც იქნა, კრების დროც მოვიდა და მეც გულგახეთქილი შევიძურწე.

კრებაზე კაკაბაძე რაღაც პარტიულ საკითხებზე ვალის მოხდის მიზნით საუბრობდა, დროდადრო ხუმრობდა, ჩემი ქვეყნის შემყრელნი, იმავდროულად კრების თავმჯდომარე და დღის წესრიგის შემდგენელი, სახეზე ალმურმოდებული თანამშრომელი კი აღგილზე ცქმუტავდა და ერთი სული ჰქონდა, როდის დაასრულებდა სიტყვას რედაქტორი, რომ თავად დაქოქილიყო.

რედაქტორმა, ჩვეულებისამებრ, მალე დაასრულა სიტყვა. მოკლედ და კონკრეტულად ისაუბრა. ის იყო დავდა და ისევ წამოდგა.

— ჰო, დამავიწყდა მეთქვა, რომ შემოსული წერილების დახევა არ შეიძლება, ამისთვის კი გურასაშვილი საყვედურს მიიღებს — მშვიდად თქვა და დაჯდა, კრებამ კი პირშიჩალაგამოვლებულ თანამშრომელს გაღახედა და ლამის ყველას ფხუკუნი აუტყდა.

მე კი ის საყვედური მაშვილი რგოლივით მივიღე.

ავთანდილ გურასაშვილი

მეზურნენი დაუპატიმრებიათ და ზედ გაზეთებიც მიუყოლებიათ

ახლა პირველად აღინიშნება ქართული ჟურნალისტიკის კვირეული. ამიტომ უპრიანია გავიხსენოთ ქართული სპორტული ჟურნალისტიკის პირველი ნაბიჯებიც. ეს ნაბიჯები არ არ იყო შემთხვევითი, რადგან საქართველოში სპორტული ჟურნალისტიკის განვითარების მრავალი წინაპირობა არსებობდა.

სპორტი ოდითგანვე პოპულარული იყო საქართველოში, რაზეც მრავალი საისტორიო წყარო მიუთითებს.

სპორტულ პაექრობებსა და ათლეტებს ხოტბას ასხამდნენ ქართველი პოეტები და პროზაიკოსები. ამის დასტურია უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, თეიმურაზ I და თეიმურაზ II, არჩილ მეფის, სულხან საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ვახუშტი ბაგრატიონის და სხვათა შემოქმედება.

როგორც ვახტანგ სიდამონიძე თავის „ქართულ ასპარეზობათა ქრონიკებში“ წერს, ჩვენ გავიჭირდება ქართული კლასიკური ლიტერატურიდან რომელიმე ძეგლის დასახელება, რომელშიც ქართულ ასპარეზობებზე არ იყოს ლაპარაკი. ერთი სიტყვით, საქართველოში სპორტული ჟურნალისტიკის დანერგვა-განვითარებისთვის ყველა წინაპირობა არსებობდა. ერთი ეგ იყო, რომ საამისოდ 1819 წლამდე სარბიელი არ არსებობდა. ვგულისხმობთ საქართველოში გაზეთის გამოუსვლელობას.

„ბედშავმა გარემოებამ საქართველოზე ისე იმოქმედა, ისე დააყენა ჩვენთან მამა-პაპათა საქმე, რომ ქართველ მეფეებს არ მიეცათ შემთხვევა და ბედნიერება, რომ საქართველოში სამეფოსთვის საჭირო გაზეთი თუ ცნობის ან განცხადების ფურცელი მაინც დაეარსებინათ — წერდა ზაქარია ჭიჭინაძე 1897 წელს გამოცემულ „საქართველოს კალენდარში“, რომლის შემდგენელი და გამომცემელი ვალერიან გუნია გახლდათ — ისე აღსრულდა ჩვენი სამეფოს არსებობის საქმე, რომ გაზეთი ქართველთ არ ჰქონიათ. თუმც ჟურნალ-გაზეთების ცოდნა კი კარგი ჰქონდათ და ჩვენი ბატონიშვილები გაზეთს უხმობდნენ თავიანთ წერილებში.

საქართველოში გაზეთები სტამბოლის გზით მოსდიოდათ პატარებს ფრანგულ ენაზე და ბატონიშვილებს რუსეთიდან, რუსული გაზეთები. გაზეთებს კითხულობდა დავით ბატონიშვილის ძე გიორგი XIII, გენერალ-ლეიტენანტი, შემდეგი მემკვიდრე ტახტისა იოანე ბატონიშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, ანტონ პირველი კათალიკოსი, ბერებში კითხულობდნენ იოლა ხელაშვილი, გაიოზ ნაცვლიშვილი და ბევრი სხვები რუსეთში ნამყოფნი და ანტონ I კათალიკოსთან აღზრდილნი“.

1819 წლის 8 მარტს საქართველოში გამოვიდა პირველი გაზეთი — „საქართველოს გაზეთი“. ეს გაზეთი საქართველოში რუსეთის პოლიტიკის იარაღი იყო და ამ გაზეთის გამოცემის სულისჩამდგმელნი სწორედ სამხედრო მოსამსახურენი იყვნენ. ისინი სწორედ საქართველოს გაზეთით ცდილობდნენ მასებზე გავლენას.

გაზეთში, რომელმაც სამ წელიწადს იარსება, ძირითადად ბრძანება-განკარგულებები და განცხადებები ქვეყნდებოდა.

ასე იყო თუ ისე, საქართველოში გაზეთის გამოცემა იმ დროს დიდი მოვლენა გახლდათ. სწორედ ამ გაზეთში დაედო სათავე ქართულ ჟურნალისტიკას, რასაც, თავის მხრივ, სპორტული ჟურნალისტიკის დაბადებაც უნდა მოჰყოლოდა.

სამწუხაროდ, საქართველოს სპორტული ჟურნალისტიკის დაბადებას, ნებსით თუ უნებლიეთ, მეფის რუსეთი უშლიდა ხელს. ბუნებრივია, სპორტული ჟურნალისტიკა მაშინ იარსებებდა, თუ სპორტული პაექრობები გაიმართებოდა, მაგრამ იმხანად ამგვარი შეჯიბრებები ძირითადად სახალხო დღესასწაულებზე ტარდებოდა, ამ უკანასკნელს კი მეფის რუსეთი დევნიდა და კრძალავდა. თუმცა ორი საუკუნის წინათ იყო პერიოდები, როცა სახალხო გართობებს მწვანე შუქი ჰქონდა, მაგალითად, 1802 წელს კავკასიის მთავარ მმართველად და ჯარების სარდლად დანიშნეს მეფის ნდობით აღჭურვილი პირი პავლე დიმიტრის-ძე ციციანოვი (ციციშვილი), რომელიც საქართველოს მოახლეობას აგულიანებდა სპორტული პაექრობების გასამართავად. სამწუხაროდ, ციციანოვის მოღვაწეობამ კავკასიაში მხოლოდ 1806 წლამდე გასტანა.

აკაკი წერეთელი 1880 წელს გაზეთ „დროების“ მე-8 ნომერში წერდა: „ნათლისღებას ზურნა აუკრძალიათ, მეზურნენი დაუპატიმრებიათ... რა ქნას ჩვენმა ხალხმა... ნუთუ იმის ნება არ უნდა ჰქონდეს, რომ კვირაში ერთხელ, შრომისა და ოფლის ღვრის შემდეგ, გული გაიმხიარულოს, როგორ მოიკლას კაცმა თავისი ჭირი და ლხინი?“

ასეთი აკრძალვის მიუხედავად, დღესასწაულები მაინც იმართებოდა. ეწყობოდა სპორტული ასპარეზობები, რასაც საკმაოდ კარგად აშუქებდნენ საქართველოს იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთები. სპორტზე ფრიად საინტერესო წერილები ქვეყნდებოდა „დროებაში“, „ივერიაში“, „თეატრში“, „საქართველოს მოამბეში“, „ცისკარში“, „შრომაში“. ეს

გიმნასტიკა ქალებისთვის „საქართველოს კალენდრიდან“

პერიოდული გამოცემები არ შემოიფარგლებოდნენ ძუნწი ინფორმაციებით. ისინი აქვეყნებდნენ გამოკვლევებს სპორტის ისტორიიდან, აანალიზებდნენ ამა თუ იმ შეჯიბრების შედეგებს, მკითხველს აცნობდნენ სპორტის სხვადასხვა სახეობებს და პროპაგანდასაც უწევდნენ.

დღეს ეს პუბლიკაციები სპორტის მკვლევართათვის ხშირად პირველწყაროს წარმოადგენს.

ქართული სპორტული ჟურნალისტიკის გარიჟრაჟზე გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან რამდენიმეს გავიხსენებთ:

1832 წელს „დროებაში“ გამოქვეყნდა ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის ივანე გვარამაძის ფრიად საინტერესო გამოკვლევა ქართული სპორტის ისტორიიდან. ავტორი წერს, რომ ძველის ძველად მესხეთში იმართებოდა ოლიმპიური თამაშების მსგავსი შეჯიბრება, რომელიც „ერის კოტაობად“ იწოდებოდა. ასპარეზობას სამ წელიწადში ერთხელ მასპინძლობდა სათალასა და მესხეთის მინდვრები, სადაც ვლინდებოდნენ „სამამაცო ხნეობაში“ დაოსტატებულნი, მეოთხე წელს კი ისინი ვანის მთისკენ ცხრაწყაროს გადიოდნენ და ეწყობოდა „საქვეყნო ოლიმპიური თავგამოჩენილი ვარჯიში“. ასე ხდებოდა სოფელ ერკოტაშიც.

ძალზე საინტერესოა ჟურნალ „ცისკრის“ 1857 წლის მე-12 ნომერში გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი იმჟამად ყველასთვის მივიწყებული ძველი ქართული თამაში განჯაფა. სტატიის ავტორი — „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერესელიძე საკმაოდ ვრცლად აღწერს განჯაფის თამაშის წესებს.

იმდროინდელი გაზეთები განსაკუთრებით ბევრს წერდნენ ქართულ ჭიდაობაზე, რომელიც ოდითგანვე პოპულარული იყო საქართველოში. „დროება“ 1883 წლის 102-ე ნომერში წერდა: „არც სარა ბერნარზე და არც ადელინა პიტიზე ასეთი თავისმტვრევა არ გვინახავს, როგორც გლდანელის ჭიდაობაზე... პოლიციიდან ასი კაცი იყო მოწვეული, ცხენოსანი ყაზახებიც. მაინც ვერ იმაგრებდნენ“.

ქართულ პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა ფალავანთა განცხადებები, რომლის საშუალებითაც მეტოქეებს საასპარეზოდ იწვევდნენ და თავიანთ პირობებსაც უყენებდნენ.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთები მხოლოდ საქართველოში გამართულ შეჯიბრებებზე როდი იუწყებოდნენ. ამ მხრივ საინტერესოა 1893 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებული ინფორმაციები, რომლებიც რუსეთის დედაქალაქ პეტერბურგში გამართული ორი დიდი მოჭადრაკის — რუსი ჩიგორინისა და გერმანელი ტარაშის პაექრობაზე იუწყებოდა. ბოლოს გაზეთი ძუნწ ინფორმაციებს აღარ დასჯერდა და გამოაქვეყნა ვრცელი წერილი „ჭადრაკის მეფენი“. იგი ხელმოუწერლად დაიბეჭდა და ვარაუდობენ, რომ მისი ავტორი ილია ჭავჭავაძეა.

„პეტერბურგში, როგორც უწყიან მკითხველებმა, ამჟამად დიდი საერთაშორისო, რუსეთ-გერმანიის ბრძოლაა ჭადრაკის ფიცარზედ — წერს ავტორი — მთელი ევროპა და ამერიკა დიდის გაფაციცებით აღევნებს თვალს ამ ბრძოლას. საზღვარგარეთ 300-მდე მოჭადრაკის გაზეთი-ჟურნალი იბეჭდება, რომელთაც დაწვრილებით მოსდით დეპეშები ამ ბრძოლის შესახებ. ნიუ-იორკიდანა და ჩიკაგოდან საგანგებოდ ამ ჭადრაკის ბრძოლის გამო ორი კორესპონდენტია ჩამოსული“.

ეს ინფორმაცია საინტერესოა იმითაც, რომ მისი საშუალებით ვიგებთ, თუ რაოდენ შორს წასულა იმდროინდელი უცხოეთის პრესა. და ეს მაშინ, როცა საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანებით ერთიმეორის მიყოლებით იკრძალებოდა გაზეთები.

ამ მხრივ საინტერესოა „საქართველოს კალენდარში“ ზაქარია ჭიჭინაძის ხსენებული სტატია, სადაც ავტორი გულმოკლული წერს: „ამ ოცდაათი წლის წინათ, როცა ერთი დღიური გაზეთი „დროება“ გვქონდა, ჩვენ ვფიქრობდით, რომ 30 წლის შემდეგ ერთი გაზეთის მაგიერ ათიოდე დღიური გაზეთი გვექნებოდა, რადგან წერა-კითხვა ხალხში საკმაოდ ვრცელდება, ქართველებში ვაჭრობა და ხელოსნობა აღორძინდა, შესმენილ ახალგაზრდათა რიცხვიც დიდად მატულობდა და ყველაფერი წარმატებას ეძლეოდა.

განვლო 30 წელიწადმა, მაგრამ ჩვენი იმედი ოცნებით დაგვიშთა, იმედმა მოგვატყუილა, სრულ შეცდომაში შთავცვივდით, დრო კია თვალის გახილებისა და რიგიან, ჭკვიანად მოქმედებას მივყოთ ხელი და იმას მაინც სიფრთხილით მოვუაროთ, რაც გვაქვს“.

1897 წელს, როცა ეს სიტყვები დაიწერა, საქართველოში ექვსი ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა.

ასე იყო თუ ისე, ქართულ პრესაში, შეძლებისდაგვარად, სპორტული თემატიკა მკვიდრდებოდა და ვითარდებოდა. ფიზიკური კულტურის მიმართ გულგრილი არ დარჩენილა არც „საქართველოს კალენდარი“, რომელიც ქართული ჟურნალისტიკის ერთ ფრიად მნიშვნელოვან ფურცელს წარმოადგენს. მაგალითად, 1897 წელს გამოცემულ „საქართველოს კალენდარში“ დასტამბულია ფრიად საინტერესო სტატია „მოკლე მიმოხილვა თავის მოვლა-შენახვისა“, სადაც სხვა საკითხებთან ერთად საუბარია ფიზიკურ ვარჯიშზე, მის მნიშვნელობაზე. მომდევნო თავში დასტამბულია არანაკლებ საინტერესო წერილი „გიმნასტიკა“, სადაც მთავარი ყურადღება „საოჯახო გიმნასტიკაზეა“ გამახვილებული. ძირითადად საუბარია ტანვარჯიშზე. თითოეული ვარჯიშს თუ მოძრაობას ილუსტრაციის სახით ნახატები ახლავს.

რედაქცია წერს, რომ ეს ვარჯიშები „ჩვენ ამოვიღეთ ნემენცური წიგნიდან“, სახელდობრ „შინაური გიმნასტიკა ჯანმრთელთა და სნეულთათვის“. რაღა თქმა უნდა, აქ ყველაფერი არ გვაქვს მოხსენებული და დასურათებული, რაც ამ წიგნშია მოხსენებული გიმნასტიკის შესახებ. თვითონ წიგნიც მოზრდილია და ბარე ასამდე ნახატიცაა შიგნით, მაგრამ უმთავრესი ვარჯიშობანი კი გვაქვს ჩვენს კალენდარში“.

იგივე წიგნიდან მოყვანილია „ქალების გიმნასტიკაც“.

„ბევრს შეცდომილი აზრი აქვს, განსაკუთრებით ჩვენში, ვითომც გიმნასტიკა მარტო ვაჟკაცებს სჭირდებათ. თუ ვაჟს გიმნასტიკა სჭირიან, ქალს ერთიორად უფრო ეჭირვება ვარჯიშობა, რადგან, როგორც ყველამ ვიცით, ამ ჩვენ უხეირო დროში ქალები დიდიდან მოყოლებული პატარამდე სრულებით ყოველივე ძალ-ღონეს და ტანის სისალეს მოკლებულნი არიან“.

ავთანდილ გურასაშვილი

24 მარტი. 15 საათი

ესპანეთი – საქართველო

მადრიდი. უნივერსიტეტის სტადიონი

ლომები ქართველებთან მარცხის გატეხვას აპირებენ

ბადრი ქადაგიძის ფოტო

2001 წლის 18 მარტი. საქართველო — ესპანეთი 43:10

ხვალ მადრიდის უნივერსიტეტის სტადიონზე ბევრი რამ გაირკვევა. მოიგებენ ბორჯღალოსნები, მსოფლიოს თასისკენ კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამენ. წააგებენ და წლევანდელი ტურნირის ფავორიტობას დაკარგავენ.

ესპანელ „ლომებს" კი ისე დაუტრიალდათ საქმე, რომ მეოთხე ადგილიც სანატრელი გაუხდათ. მათ ახლა ღირსების გრძნობაღა ამოძრავებთ, თორემ ავსტრალია-ზელანდიაში მიმავალი გზა უკვე ერთობ დაიგრძელეს. მართალია, ესპანეთმა წინა სამივე მატჩი წააგო, მაგრამ პორტუგალიასთან და ჰოლანდიასთან შედარებით უფრო სერიოზული მეტოქეა. ბოლო 30 წელია, პირინეელები კონტინენტის მეშვიდე გუნდად გახდომას ლამობენ, მაგრამ კოვზი ნაცრიდან ვერ ამოუღიათ და ერთა თასის ოდენ საშუალო გუნდად რჩებიან.

არადა, ბოლო წლებია, იქაური რაგბის მამები ჯიუტად ცდილობენ, „ლომებში" მხეცი გამოაღვიძონ. ესპანეთის რაგბის კავშირს ალბერტო პიკოა თავკაცობს, თუმცა არაოფიციალურად ესპანური რაგბის ავანჩავანს ბასკი ხოსე მარია ეპალსა განაგებს, ვინც FIRA-AER-ის ელჩია რაგბის საერთაშორისო საბჭოში (IRB). სწორედ ეპალსას მარიფათს უკავშირდება პირინეელთა წარმატებანი. ბასკმა საერთო ენა გამონახა მსოფლიოს თასის საშეჯიბრო კომიტეტის დირექტორთან, ფრანგ მარსელ მარტენთან და იმგვარად მოაკვარახჭინა საქმე, რომ მის თვისტომთ ზედიზედ სამ შესარჩევ ეტაპზე მეტოქედ სუსტი პორტუგალია ჰყავდათ და 1999 წლის მსოფლიოს თასზეც გავიდნენ.

მორაგბეთა უპირველეს ტურნირზე ესპანელ „ლომებს" ალფონსო ფეიხო წვრთნიდა. მას თავისუფლად შეეძლო, გუნდი ესპანური წარმოშობის ფრანგებით გაეძლიერებინა, მაგრამ სწორედ ისინი ათამაშა, ვინც ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა. შედეგად იბერიელებმა ჯგუფის ყველა მატჩი წააგეს და ოცი მონაწილიდან მხოლოდ მათ ვერ გაიტანეს ლელო.

მსოფლიოს თასის შემდეგ ესპანელები 2000 წელს ევროპის ერთა თასის გათამაშებაში ჩაებნენ, რომელსაც ხან ექვსი ერის „B" ჯგუფი, ხანაც ერთა თასი ეწოდებოდა. სწორედ იქ შედგა პირველი ქართულ-ესპანური სარაგბო დაპირისპირება. მადრიდის უნივერსიტეტის სტადიონზე ესპანელებმა ბორჯღალოსნები 36:32 დაამარცხეს. როგორც თვითმხილველები ამბობენ, მატჩს არც დაძაბულობა დაჰკლებია და არც დრამატიზმი. მეტოქეებმა ხუთ-ხუთი ლელო გაუტანეს ერთმანეთს, საჯარიმო-გარდასახვებიც ბლომად ურტყეს, ეგაა, ამ კომპონენტში ესპანელები უკეთ გამოიყურებოდნენ და ამან გადაწყვიტა კიდეც თამაშის ბედი. ნამატჩევს ქართველთა დამრტყმელმა მალხაზ ურჯუკაშვილმა გვიამბო, ესპანელები ბურთს ურცხვად აფურთხებდნენ, ჩვენ რომ დავეთარსეთო. ტრავმებმაც ხომ სულ აწეწა ქართველთა უკანა ხაზი. მატჩის დებიუტშივე მეტოქის შებოჭვისას წვივში გადაუტყდა ფეხი თედო ზიბზიბაძეს. მის შემცვლელს, ბადრი ხეხელაშვილს კუნთი გაუწყდა, ნონო ანდღულაძეს ტვინი შეერყა, ურჯუკაშვილმა კი იოგებდაწყვეტილმა დატოვა მოედანი. ამას დაუმატეთ ლევან ცაბაძის უსამართლო გაძევება და იტალიელ არბიტრ ალბერტო ჯაკომელოს მიკერძოებული მსაჯობა.

მეორედ „ლომები" და ბორჯღალის კაცები შარშან რუსთავში შეხვდნენ ერთმანეთს. იქ უკვე ქართველთა უპირატესობა უდავო იყო და ერთობ ეშხიანი ბურთაობა ჩვენებურთა გამარჯვებით — 43:10 დასრულდა.

მას მერე ესპანეთის ნაკრები დიდად არ გადახალისებულა. აი, ერთწლიანი პაუზა კი კარგად შეირგო და გვარიანი სპარინგ-პარტნიორებიც გამოძებნა. ჯერ იყო და, პირინეელებმა ურუგვაიში იმოგზაურეს და იქაურ ნაკრებს ალიყურიც აჭამეს. მერე ყველაფრის მომგები ავსტრალიის ეროვნული ნაკრები ისტუმრეს და 10:92 დამარცხდნენ, თუმცა „ვოლაბთა" გაკვეთილი ჰეისისხლხორცეს და თბილისში ჩამოსვლამდე გზად ესპანეთში შევლილ სამხრეთ აფრიკის „ა" ნაკრებს ღირსეულად დაუხვდნენ — 13:28. მიუხედავად ამისა, შემოდგომის მუხტი გაზაფხულზე აღარ გადაჰყვათ და ერთა თასის ბოლოში ყურყუტებენ.

ბაჩო სვანიძე

იაპონია უნდა დავცოფოთ



პაატა ნარიმანაშვილი

წაგებით დაიწყეს ჩვენმა ჭაბუკებმა მსოფლიოს თასის გათამაშება. უმცროსმა ბორჯღალოსნებმა ტრევიზოს გარეუბან მირანოში უელსელებთან 3:13 დათმეს მერვედფინალური მატჩი და რვა საუკეთესო გუნდში ვერ მოხვდნენ. პაატა ნარიმანაშვილის სამწყსოს ახლა 9-14 ადგილებისთვის მოუწევს ბრძოლა, რაკი 16 გუნდიანი A ჯგუფიდან ბოლო ორი ვარდება. უარეს შემთხვევაში ქართველებს ორი მატჩის გამართვა მოუწევთ, აქედან ერთიც რომ მოიგონ, „A" ჯგუფში დარჩებიან. ჩვენებურები კვირას არგენტინელთაგან გაპამპულავებულ იაპონელებს ეთამაშებიან. თუ იქაც ხელი მოეცარათ, მაშინ ჩილეს, ურუგვაის, რუსეთის, რუმინეთის და სამხრეთ კორეას შორის სამი საუკეთესოდან ერთ-ერთთან დაიჭერენ საქმეს.

გუშინ ტრევიზოში საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ პაატა ნარიმანაშვილს შევეხმიანეთ. ჭაბუკთა დამრიგებელს უელსთან გამართული და მომავალი მატჩის თაობაზე დავეკითხეთ.

— შეგვეძლო, მოგვეგო, მაგრამ დასანანი მარცხი ვიწვნიეთ. თავიდან ვიგებდით, თუმცა ბლომად მომენტები ვერ გამოვიყენეთ და ტაიმიც 3:6 წავაგეთ. ამასთან გუნდის ლიდერი ოთარ ბარკალაიაც სერიოზულად დაშავდა და თამაში ვერ გააგრძელა. მეორე ტაიმში იყო მონაკვეთი, როდესაც უელსელებს შტურმა მოვუწყვეთ, შეგვეძლო ჯარიმები დაგვერტყა, მაგრამ ლელოს გატანა გვინდოდა. ლელო კი გავიტანეთ, მაგრამ მსაჯმა არ ჩათვალა. ჩემი აზრით, ძალიან შეცდა. ამის გარდა, კიდევ გვქონდა მომენტები, მაგრამ ბურთს ჩვენი უყურადღებობით ვკარგავდით. მერე ჩხუბი ატყდა, მსაჯმა კი მარტო ჩვენიანი გააგდო. უელსელებმა მაგრად შემოგვიტიეს და მატჩის მიწურულს ლელო გავგვიტანეს. მთლიანობაში თანაბარი ბრძოლა იყო. მატჩს ტრევიზოს კლუბის მწვრთნელი ესწრებოდა და თქვა, რომ ბოლო წუთამდე ვერ იტყოდა, ვინ გაიმარჯვებდა.

— ლაპარაკია, შოტლანდიელი მსაჯი უელსელებს ემხრობოდაო...

— არ მინდა, მაგ თემას შევეხო. ეს ჩემი საქმე არაა.

— შედეგის მიუხედავად, გუნდის თამაშით კმაყოფილი ხართ?

— არაო, რომ ვთქვა, ტყუილი იქნება. ბიჭებმა კარგად ითამაშეს. ეტყობა, ნერვიულობამ შეუშალა ხელი, თავიანთი თამაში რომ ეთამაშათ. განსაკუთრებით შერკინებას გამოვყოფდი. სწორედ მორკინალები ქმნიდნენ უპირატესობას და მაგრად აწვებოდნენ მეტოქეს. სიმართლე გითხრათ, არც ველოდი, ასე რიგიანად თუ ითამაშებდნენ. უკანა ხაზს არა უშავდა. აქ ბარკალაიას ტრავმამ იჩინა თავი. „ცოფიანი" (ბარკალაიას მეტსახელია) დიდი ძალაა და უმაგისოდ ხაზი აირია.

— ბარკალაიას რა ჭირს?

— ტვინის შერყევა აქვს. მისთვის ტურნირი დასრულდა.

— მომავალ მეტოქეზე, იაპონიის ნაკრებზე რა იცით?

— ბევრი და ახალი არაფერი. შარშან ვნახე მაგათი თამაში და, ალბათ, იმით ვიმსჯელებ. გუშინ არგენტინელებმა 50:12 მოუგეს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იაპონია სუსტი გუნდია. რუმინეთის, სამხრეთ კორეის, ჩილეს და იაპონიის გუნდები მერვედფინალში არ იკლავენ თავს, ძალებს ელიტაში დასარჩენი მატჩებისთვის ზოგავენ.

— ჩვენი შანსები როგორია?

— იაპონიას აუცილებლად უნდა მოვუგოთ, თანაც დიდი სხვაობით. თუმცა იოლი მატჩი არ გველის. ჩვენ შეგვწევს ძალა, „A" ჯგუფში დავრჩეთ.

ბაჩო სვანიძე

საქართველო ოვალურ ჩარჩოში

უცხო წერილი ქართულ რაგბიზე, რა თქმა უნდა, სტალინით და რუსეთით

თბილისის თვიქნემი

ანრი ბრიუ გაზეთი „ეკიპი"

თუ ახლახან „სტად დე ფრანსზე" საფრანგეთ — ინგლისს 79 502 მაყურებელი დაესწრო, ევროპაში კიდევ ერთი მატჩი გაიმართა, რომელზეც ასევე თითქმის ყველა ბილეთი გაყიდული იყო და რომელმაც 65 ათასი რაგბის მოყვარული მიიზიდა. უელსი — იტალია? ვერ გამოიცანით: მხოლოდ 58 ათასი. ირლანდია — შოტლანდია? ისევ ააცილეთ: „ლენსდაუნ როუდზე" ოდენ 50 ათასი ადამიანი ეტევა. ეს მატჩი თბილისში, საქართველოს დედაქალაქში გაიმართა და ერთი შეხედვით საოცარიცაა ასეთი დასწრება საქართველოსა და რუსეთის დაპირისპირებაზე, რომელიც ევროპელი რაგბის ქომაგებისთვის დიდად საინტერესო არც ჩანს.

„აჟანის" ქართველი მორკინალი მევლუდ მთიულიშვილი ამ ამბავს ხუმრობით ჰყვება: „როცა აჟანში დავბრუნდი, ჩემი აქცენტის გამო თანაგუნდელებმა თავიდან შვიდი ათასი გაიგეს და მერე კარგა ხანი მოვუნდი მტკიცებას, რომ სამოცი ათასზე მეტის თქმა მინდოდა".

„მონტობანისა" და რუსეთის ნაკრების მეორეხაზელი სერგეი სერგეევი ღიმილით ადასტურებს: „ნამდვილი გიჟები არიან. მართლაც, რამდენიმე ცარიელი სკამი თუ ჩანდა ტრიბუნებზე. თამაშამდე ერთი საათით ადრე მივედით და თვალებს არ ვუჯერებდით".

ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ სამი-ოთხი წელია, საქართველოს რაგბის ვირუსი შეეყარა. მეტიც, სპორტის ეს სახეობა ყველაზე პოპულარული გახდა ქვეყანაში, რომელიც 1991 წლამდე საბჭოთა კავშირის რესპუბლიკა იყო და რომლის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შვილი იოსებ ჯუღაშვილი, იგივე სტალინია.

საქართველო — რუსეთი ევროპის ერთა თასის ეგიდით გაიმართა, რომელსაც ექვსი ერის პირველობასაც უწოდებენ და თავისი უფროსი ძმის პარალელურად ეწყობა. ამ ტურნირში კიდევ რუმინეთი, ჰოლანდია, ესპანეთი და პორტუგალია გამოდიან.

„შარშან ჩვენ ვიჩემპიონეთ — ამბობს მთიულიშვილი — უკვე შარშანწინ კი რუმინეთის ნაკრებთან მატჩს 40 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო". იგი და მისი 17 თანაგუნდელი, კაპიტნის და „კასტრის" მორკინალის ლევან ცაბაძის ჩათვლით, საფრანგეთის ჩემპიონატში თამაშობენ.

საქართველოს რაგბის დიდი ხნის ტრადიცია აქვს, მაგრამ ადრე „ლელოები" (მზის ბიჭები) საბჭოეთის ნაკრებში გამოდიოდნენ.

„ამდენი მაყურებელი იმანაც მოიზიდა, რომ სწორედ რუსეთს ვეთამაშებოდით, რომელთანაც ამჟამად პოლიტიკური ურთიერთობა საკმაოდ დაძაბული გვაქვს. ხალხი რუსეთის დამარცხების სანახავად მოვიდა. ეს შეხვედრა ჩვენთვის დაახლოებით იგივე იყო, რაც თქვენთვის ინგლისთან მატჩებია-ხოლმე" — ამბობს მთიულიშვილი. ოღონდ ქართველები ცოტა იმედგაცრუებულნი დარჩნენ, რადგან რუსეთს ოდენ ფრეს გამორჩნენ.

ბადრი ქადაგიძის ფოტო

თუმცა სტადიონზე სიტუაცია წამითაც არ გაფუჭებულა. მთიულიშვილი: „ხალხი გამუდმებით მღეროდა და მხარს გვიჭერდა. ბოლო წუთებზე კი, როცა რამდენჯერმე მოვიპოვეთ ჯარიმის დარტყმის უფლება, ქომაგები ჩვენი დამრტყმელის, „გრენობლში" მოთამაშე პავლე ჯიმშელაძის სახელს გაჰყვიროდნენ".

თავისი 3 ათასი მოთამაშით საქართველო ჯერ კიდევ არ ფიგურირებს მსოფლიო რაგბის ბობოლებში. სამაგიეროდ, „ბეზიეს" ყოფილი მწვრთნელის კლოდ სორელის თავკაცობით ქართველები ნელ-ნელა იკავებენ იმ ადგილს, რომელიც 60-იან წლებში რუმინეთს ეკავა.

„ამდენი ხალხის მოსვლას მაინც არ ველოდით" — აღიარებს მევლუდ მთიულიშვილი. ქომაგი კი მართლაც მრავლად იყო და მსაჯს დაახლოებით 20 წუთით მოცდა მოუხდა მატჩის დაწყებამდე, რათა ხალხს დაჯდომის დრო ჰქონოდა.

თამაშისას სტადიონზე მშვენიერი სიტუაცია იყო. „ქართველები ძალიან სტუმართმოყვარე და თბილები არიან" — ამბობს სერგეევიც.

შორს, ძალიან შორს, დუბლინში განთავსებული რაგბის საერთაშორისო საბჭოს ოფისისგან რაგბი იფურჩქნება და ეს მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით საქართველოში ბობოლა ქვეყნების ეროვნული ნაკრებებიდან ერთიც არ ჩასულა.

„მომავალი მატჩი ესპანეთში გვაქვს, მერე კი შინ რუმინეთს დავუხვდებით. არ გამიკვირდება, თუ თბილისის სტადიონზე იმ დღეს ნემსის ჩასავარდნი ადგილიც არ იქნება" — ამბობს მევლუდი.

მერე კი შეიძლება საქართველო 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც გავიდეს და მაშინ ის საბოლოოდ დაიმკვიდრებს ადგილს ოვალურ რუკაზე.



ანა კურნიკოვა

ანას ასმეერთე ვარსკვლავობა
ბებრებს უკვე აღარ გამოსდით

ქალები. საპრიზო 2,860 მილიონი $	კაცები. საპრიზო 3,575 მილიონი $
კი ბისკეინი. ჰარდი	
ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) — **ანა კურნიკოვა** (რუსეთი) 7:5, 6:3; **კონჩიტა მარტინესი** (ესპანეთი) — **ჯენიფერ ჰოპკინსი** (აშშ) 7:5, 6:2; **ანა სალაშოვა** (ისრაელი) — **ბიანკა ლამადე** (გერმანია) 6:4, 6:4; **სამანტა რივზი** (აშშ) — **სილვია ტალაია** (ზორვატია) 3:6, 6:2, 6:2; **პაოლა სუარესი** (არგენტინა) — **მირიამ ორეგანესი** (ჰოლანდია) 5:7, 6:4, 6:2; **მარიტა არნე** (გერმანია) — **ემი ფრუზერი** (აშშ) 6:4, 6:2; **კეიტა ჰრდლიკოვა** (ჩეხეთი) — **ჯორი ენ ფენეცი** (აშშ) 6:4, 6:4; **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) — **ტატიანა გარბინი** (იტალია) 6:4, 6:4; **პარა ბლეკი** (ზიმბაბვე) — **მაია მატეევიჩი** (სლოვენია) 6:0, 6:4; **ბრაი რივნერი** (აშშ) — **პეტრა მანდულა** (უნგრეთი) 7:6 (7:0), 6:3; **ტინა პისნიკი** (სლოვენია) — **ადრიანა პერესი** (ჩეხეთი) 6:4, 6:3; **მარი-გაიანე მიტაილიანი** (შვეიცარია) — **ანეტ ბუსაროვა** (სლოვაკია) 6:4, 7:5	**მარს მირნი** (ბელარუსი) — **ირაკლი ლაბაძე** (საქართველო) 6:4, 7:5; **მარკ ფილიპუსისი** (ავსტრალია) — **სედრიკ პიოლინი** (საფრანგეთი) 7:5, 4:6, 6:3; **პარადორნ შრიჩაფანი** (ტაილანდი) — **მაიკლ ჩანგი** (აშშ) 7:6 (7:4), 2:6, 7:6 (7:5); **იან ვაჩეკი** (ჩეხეთი) — **ბოგდან ულირახი** (ჩეხეთი) 6:4, 6:2; **ფერნანდო გონსალესი** (ჩილე) — **კრისტოფ როში** (ბელგია) 6:1, 6:2; **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) — **გალო ბლანკო** (ესპანეთი) 7:6 (7:4), 7:5; **ფერნანდო სავილარი** (არგენტინა) — **დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა) 2:6, 6:3, 6:4; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) 7:6, 7:6 (8:6); **დავიდე სანგვინეტი** (იტალია) — **შტეფან კუბეკი** (ავსტრია) 6:3, 6:4; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — **ხოსე აკასუსო** (არგენტინა) 6:4, 7:5; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — **ენტონი დუპუა** (საფრანგეთი) 6:3, 6:4; **ალბერტ მონტანესი** (ესპანეთი) — **ატილა სავოლტი** (უნგრეთი) 3:6, 6:3, 6:2; **ლარს ბიურგსმიულერი** (გერმანია) — **რემონ სლოიტერი** (ჰოლანდია) 6:3, 7:5; **ლუის ორნა** (პერუ) — **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) 7:5, 6:3; **ანდრე სა** (ბრაზილია) — **კრისტიან ბლეიქი** (დანია) 6:2, 6:4; **ჯეფ მორისონი** (აშშ) — **მარტინ ფერეიროკი** (ჰოლანდია) 6:7 (5:7), 6:4, 6:4

ენრიკე იგლესიასის უახლეს კლიპში ვაგლახად გაბახულ ანა კურნიკოვას მისი 101-ე ტურნირიც ისევე ჩაუთავდა, როგორც წინა 100 — უსახელოდ, უტიტულოდ და, რაღა დასამალია, ჩაფლავებით. წლეულს სამი ისე-რა ასპარეზობის ნახევარფინალში გასულმა რუსმა სექსგოგომ სეზონის მთავარკატეგორიის (ანუ 1,224 მილიონიან ანაც უფრო დიდფულიან) ორივე პირველ ტურნირზე ჩოგანი პირველსავე წრეში დაეშალითა — თუკი ინდიან უელსიდან იგი ამერიკელმა ლილია ოსტერლომ დაიფრინა (6:1, 6:4), მაიამიში შეკრებილ მსოფლიო ხვადგობას მის ქალურ ღირსშესანიშნობათა ცქერის სიამე ბერძენმა ელენი დანილიდუმ წაჰგვარა.

ყველაფრის მიზეზი ალბათ ჩემი უთამაშებლობაა, ასე ახსნა მორიგი მარცხი ანამ. აქაოდა, აკაპულკოს მერე ორი მატჩიც არ მითამაშიაო. მაგრამ ამის მოქმელს ის კი დაავიწყდა, რომ ცოტა შეხვედრა სწორედ უგვანად თამაშისა და, შესაბამისად, ტურნირებიდან ადრე გავარდნის გამო გამართა.

არადა, მატჩი ანას მიერ ბერძენგოგოსთვის მისი გეიმის წართმევით დაიწყო და მაიამურ პუბლიკასაც, ვისი გულის დაპყრობაც მას უკვე ახალი სექსვარცხნილობითაც მოესწრო, იმედი მიეცა. ამ იმედს, მახლას, აღსრულება ეგრემც არ ეწერა. ელენიმ გეიმი უმალ უკუიგო, ხოლო 6:5-ზე ანას სეტში მეორე ჩაწოდებაც გაუტეხა და — 7:5. მეორე სეტმა კვლავაც დანიილიდუს უპირატესობით ჩაიარა და წლევანდელ ავსტრალიაზე მესამე წრემდე ნაჯომარდევმა ბერძენმა კურნიკოვას ისევ განუმეორებელ მიღწევად დაუტოვა 1998 წელს კიბისკეინურ ფინალში თამაში. მაშინ, ეგებ ვინმეს დაავიწყდა და, ანა მისმა უმოწყალო მტერმა, ვინუს უილიამსმა დაჭეჭა.

სხვაფრივ — დღის დანარჩენი შეხვედრებიდან ჩვენი ყურადღება ორი ბერქალის, ოდესღაც უიმბლდონის მომგებ კონჩიტა მარტინესისა და თავის მე-13 მაიამურ ტურნირზე გამსვლელ ემი ფრეზერის ჩალიჩმა მიიპყრო. კონჩიტას წლეულს მე-6 შეჯიბრში მონაწილეობა უხდება და, სიბერეს რა ვუთხარი, მხოლოდ მეორე გამარჯვება მოიპოვა. ემის კი მატჩამდეც არაფრის იმედი არ ჰქონდა და ნამატჩევს ხომ სულ მთლად დეპრესიაში ჩავარდა — ნუთუ კაცებთან ღლაბუცის მეტი მართლაც აღარაფერი დამრჩენიაო!

ჩვენებურ ირაკლი ლაბაძეს რომ ბელარუსი მაქს მირნი ეძლია, დღევანდელ მიმოხილვას სწორედ ამ ამოდასმენი ამბის მოყოლით დავიწყებდით, მაგრამ, რაღაი ყველაფერი პირუკუ მოხდა, თხრობის შინაარსიც ცოტა სხვანაირი იქნება. უმთავრესი სათქმელის ადგილს ასეთ ვითარებაში ორი ამაგდარი ვეტერანის, მაიკლ ჩანგისა და სედრიკ პიოლინის დამარცხებათა ისტორია დაიჭერს.

საფრანგეთის ღია პირველობის ყოფილმა ჩემპიონმა ჩანგმა წლეულს უკვე მეშვიდე ტურნირზე სცადა ძალა, მაგრამ ვერაფრით დაიჯერა, რომ ძალა მხოლოდ პირველ წრეში დამარცხებისთვისღა ყოფნის! ამჯერად მას მისი კუთვნილი ბებრული ალაგი ტაილანდელმა პარადორნ შრიჩაფანმა მიუჩინა.

„ხანდახან დიდი ჩოგბურთიდან წასვლაზე ვფიქრობ, მაგრამ მერე ისევ რწმენა და იმედი მეძალება და მეც ჩოგნის ჭნევას განვაგრძობ. არა, რაღაც კიდევ უსათუოდ მელის და მსურს, შანსი მივცე მას, ეგებ, რაღაც მაინც გამოვიდეს“ — ამბობს ჩანგი.

ჰო, 30 წელი თითქოს ის ასაკი მართლაც არ არის, როცა კაცს არაფერი უნდა გამოსდიოდეს, მაგრამ იმის შემხედვარე, რაც ჩანგს გამოსდის, აჯობედა, სადმე ფიზკულტურის მასწავლებლად მოწყობილიყო და თავისი, 1000 კორტზე შეძენილი გამცდილება პატარა ხალხისთვის გაეზიარებინა.

რაც შეეხება 32 წლის პიოლინს, თავის დროზე რეიტინგნუსხაში მეხუთე ადგილზე დადგომაც რომ მოუხერხებია, მან ვერაფერი გააწყო ხათქუნაოზ ფილიპუსისის წინააღმდეგ და მე-5 პირად შეხვედრაში მეხუთევე მატჩი დაუთმო. სხვათა შორის, ფილიპუსისს ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ ჩოგანი არსად გაუქნევია და ამ გამარჯვებასაც დიდი სიხარულით შეეგება.

დღის დანარჩენ მატჩებიდან გამოსარჩევი ეგებ შვედ იონას ბიორკმანის მიერ გერმანელი კიფერის ძლევა იყოს. ბიორკმანს, რომელმაც ეს სეზონი შთამეჭდავად — ოკლენდის ნახევარფინალსა და ავსტრალიის ღია პირველობაზე მეოთხეფინალში გარონიებით დაიწყო, მას შემდეგ ერთი რაა, ერთი თამაშიც აღარ მოეგო და ფილიპუსისის დარად, ამ მოგებას თავი იოლად შეაგულიანებინა. თუმცა შავისა და თეთრის გარჩევა რომ დაიწყება, ერთიც და მეორეც ვინმეო სწორედ იქითა, განიავებულ მხარეზე აღმოჩნდნენ.

ლევან კილასონია

NHL რეგულარული ჩემპიონატი

21 მარტი

კოლუმბუსი 2:3 დეტროიტი 0:0 2:1 0:1 0:1
1:0 უიტნი (23), 1:1 მოლტბი (27), 2:1 შაჩეკი (31), 2:2 ფიოდოროვი (56), 2:3 ფიოდოროვი (61)

კაროლინა 3:2 ფლორიდა 1:2 0:0 2:0
1:0 ბრინდამორი (3), 1:1 ოზოლინში (3), 1:2 უიმერი (10), 2:2 ფილინა (45), 3:2 ფრეისიუ (49)

ფილადელფია 2:1 ანაჰაიმი 0:1 1:0 1:0
0:1 ფრიზენი (12), 1:1 განიე (37), 2:1 ლეკლერი (53)

აილენდერსი 3:2 ვანკუვერი 1:0 1:1 1:1
1:0 ისბისტერი (11), 1:1 ნესლუნდი (35), 2:1 იაშინი (37), 3:1 ჩერკავსკი (49), 3:2 ბერტუეი (51)

ოტავა 2:5 რეინჯერსი 1:2 1:1 0:2
0:1 ლინდროსი (6), 1:1 ბნიდი (8), 1:2 ბ. ბურე (13), 2:2 ბოსა (27), 2:3 პოტი (39), 2:4 მაკარტი (46), 2:5 ფლერი (53)

ტორონტო 3:4 ვაშინგტონი 2:0 0:1 1:3
1:0 რაიხელი (2), 2:0 რობერტსი (13), 2:1 იაგრი (30), 2:2 კუჭერა (44), 2:3 იაგრი (48), 3:3 რობერტსი (50), 3:4 ზუბრუსი (57)

ბუფალო 1:2 ბოსტონი 0:0 1:2 0:0
0:1 სამსონოვი (27), 1:1 აფინოგენოვი (28), 1:2 ბოინტონი (35)

ნეშვილი 3:4 ნიუ ჯერსი 0:2 0:0 3:2
0:1 ბრილინი (10), 0:2 ლანგენბრიუნერი (19), 0:3 ნუინდაიკი (41), 1:3 ტიმონენი (47), 2:3 გ. ჯონსონი (52), 2:4 ბრილინი (55), 3:4 გ. ჯონსონი (55)

კალგარი 1:4 სან ხოსე 0:1 1:1 0:2
0:1 სტიუარტი (16), 1:1 შანეი (37), 1:2 გრეივსი (38), 1:3 ნოლანი (45), 1:4 ტორნტონი (50)

ლოს ანჯელესი 3:1 კოლორადო 1:0 2:0 0:1
1:0 ბუშუ (4), 2:0 ბეედნარეი (32), 3:0 ელისონი (33), 3:1 ვრბატა (60)

აღმოსავლეთ კონფერენცია

ბოსტონი	71	38	5	7	21	206:173	88
ფილადელფია	69	38	8	3	20	206:158	87
კაროლინა	71	29	14	5	23	188:197	77
ტორონტო	70	36	9	4	21	204:176	85
ოტავა	71	35	8	5	23	215:181	83
აილენდერსი	69	33	7	4	25	201:191	77
ნიუ ჯერსი	70	32	9	4	25	171:161	77
მონრეალი	70	29	11	3	27	179:183	72
რეინჯერსი	72	31	4	4	33	195:222	70
ვაშინგტონი	71	29	10	1	31	193:214	69
ბუფალო	70	29	9	1	31	183:174	68
პიტსბურგი	70	27	6	4	33	170:205	64
ტამპა	69	25	9	3	32	148:172	62
ფლორიდა	70	19	7	5	39	153:215	50
ატლანტა	71	17	8	4	42	162:251	46

დასავლეთ კონფერენცია

დეტროიტი	71	49	6	2	14	226:154	106
კოლორადო	72	40	7	1	24	184:149	88
სან ხოსე	71	37	5	3	26	202:172	82
ჩიკაგო	71	35	12	1	23	191:182	83
ლოს ანჯელესი	70	35	9	4	22	188:160	83
ფინიქსი	70	33	9	5	23	184:177	80
სენტ ლუისი	69	34	8	3	24	185:158	79
დალასი	69	32	10	4	23	188:182	78
ვანკუვერი	72	34	6	3	29	218:190	77
ედმონტონი	71	31	11	3	26	180:166	76
კალგარი	71	27	11	3	30	171:192	68
მინესოტა	70	23	11	7	29	168:201	64
ნეშვილი	70	25	11	0	34	166:192	61
ანაჰაიმი	71	25	7	3	36	157:176	60
კოლუმბუსი	70	20	8	4	38	142:204	52

REUTERS ნიუ იორკიდან

ვანკუვერის მეკარეს დან კლუტიეს აილენდერსელი დეივ სკაჩარდი შემოელახა

იაგუდინი — ფიგურების გუდინი
ბუხ და... გამოვიდა!

რუსმა ფიგურულად მოციგურავე ალექსეი იაგუდინმა ისე ეფექტურად და უშფოთველად გაიარა მსოფლიოს ჩემპიონატი, თითქოს ვარჯიშზე ყოფილიყო. მოკლე პროგრამაში იაგუდინმა სარეკორდო 6 ქულა 6 მსაჯისგან მიიღო და არავინ ელოდა, რომ თავისუფალ პროგრამაში პირველი ადგილიდან დაქვეითდებოდა. ხანდახან ხდება სენსაციები, მაგრამ არა ამჯერად: რუსმა უწინდელი სიმსუბუქით ისრიალა თავისუფალ პროგრამაშიც (ამ დროს დინამიკები საუნდტრეკს გამოსცემდნენ ფილმიდან „ნიღბოსანი“) და ორი მსაჯისგან ხელახლა დაიმსახურა უმაღლესი ქულა. სხვებმაც 5,9 ბალით შეაფასეს და 1998, 99, 2000 წლების მსოფლიოს ჩემპიონი მეოთხედ ავიდა პოდიუმის მთავარ ადგილზე. მხოლოდ შარშან, კანადის ვანკუვერში იაგუდინს ჩემპიონობა რუსმავე ევგენი პლუშჩენკომ წაართვა. ამჯერად პლუშჩენკო აუტში იყო, მუხლის ტრავმის გამო ნაგანოში არ გამოსულა.

ირინა ლობაჩოვა და ილია ავერბუხი

სხვებმა იაგუდინი აქეს და აქეს. მეორე ადგილზე გასვლით მეტისმეტად კმაყოფილი დარჩა ამერიკელი ტიმოთი გოებლი, ეტყობა, გამარჯვების იმედი თავიდანაც ნაკლებად ჰქონდა.

„ალექსეიმ დაამტკიცა, რომ ბოლო წლების საუკეთესო მოციგურავეა — თქვა გოებლმა იაგუდინის შესახებ — მე კი მეორე ადგილიც მომწონს და მიმაჩნია, რომ სეზონი მაჟორულ ნოტაზე დავამთავრე“.

სპორტულ ცეკვებში სხვა ვარსკვლავების არყოფნისას ფავორიტთა ერთადერთმა წყვილმა გაიმარჯვა. ირინა ლობაჩოვამ და ილია ავერბუხმა ყველა მეტოქეს დიდი უპირატესობით გაუსწრეს.

დავით გულუა

ვაუთა ერთეულები
1. ალექსეი იაგუდინი (რუსეთი) 2,0; 2. ტიმოთი გოებლი (აშშ) 4,8; 3. ტაკეში ჰონდა (იაპონია) 6,0
სპორტული ცეკვები
1. ირინა ლობაჩოვა, ილია ავერბუხი (რუსეთი) 2,0; 2. ში ლინ ბურნი, ვიქტორ კრაატი (კანადა) 4,0; 3. გალიტ ჩაიტი, სერგეი სახნოვსკი (ისრაელი) 7,0

მელაძემ მეცამეტე კარგად დაიბედა

საქართველოში წლევანდელი საავტომობილო სეზონი მოყვარულებმა გახსნეს. დღეს ისინი თავიანთ ტრადიციულ სარბიელზე, რიყეზე, მეორედ გაეჯიბრებიან ერთმანეთს ჩქაროსნულ სლალომში.

პირველი ეტაპი მონაწილეთა სიმრავლით გამოირჩაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ არც ურიგოა, რომ სტარტზე 15 მრბოლი ვიხილეთ. ზოგი რუსული, ზოგიც უცხური წარმოების ავტოებით ჯირითობდა. ბუნებრივია, ტოლიატის ქარხნიდან გამოსულები „ფორშებს“ ვერ გაუძალიანდნენ. სამ სავალდებულო ფიგურიანი რთული დისტანცია ყველაზე სწრაფად და უშცდომოდ, ანუ ნული საჯარიმო ქულით, BMW-თი მოასპარეზე ივანე ბათიაშვილმა დაძლია. 36 წლის მრბოლის წარმატება მოულოდნელი არ ყოფილა, მას ამ საქმეში რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვს, პროფესიაც შესაბამისი — ძრავების შემკეთებლად მუშაობს ფირმა „ასტრა-დიზელში“. მეორე ადგილზე ოთარ თავართქილაძე (BMW) გავიდა, მესამეზე — მამუკა მელაძე („ჰონდა“).

გზას პროფესიონალებიც დაადგნენ. წრიულ რბოლაში ჩემპიონის ვინაობა ორი ეტაპის შედეგებით გაირკვევა. შეჯიბრება ჩვენს ავტოსაშეჯიბრო ცენტრში, „რუსთავრინგის“ ოთხკილომეტრიან წრეზე ეწყობა. საწყენია, რომ რამდენიმე ცნობილმა პილოტმა ასპარეზობას თავი აარიდა და სტარტზე მხოლოდ შვიდი მრბოლი ვიხილეთ. მანამდე, როგორც წესია, საკვალიფიკაციო შეჯიბრი ჩატარდა. საუკეთესო დრო მამუკა მელაძემ აჩვენა. მისი ჩინებულად მომზადებული „ჰონდა“ რბოლაშიც ჩიტივით მიფრინავდა, თავიდანვე საგრძნობლად ჩამოიტოვა მეტოქეები და 16-წრიანი დისტანცია დიდი უპირატესობით მოიგო. პოდიუმზე 26 წლის მელაძის გვერდით ბევრად გამოცდილები, ჯემალ გულარაშვილი („ოპელი“) და რამაზ მაისურაძე („ჰონდა“) იდგნენ. მეოთხე იყო ოთარ თავართქილაძე (BMW), მეხუთე — ზურაბ ბეჟაშვილი („ლადა-სამარა“).

მრბოლები, როგორც წესი, მეცამეტე ნომრის არჩევას გაურბიან. მელაძემ კი პირიქით, სწორედ ამ ნავსი ნომრით მოიპოვა პროფესიულ ასპარეზზე პირველი გამარჯვება. მამუკა ავტოსპორტში სამბოდან მივიდა, საკმაოდ სახელოვანიც — ჭაბუკებში მსოფლიოს, უფროსებში კი ევროპის ჩემპიონი იყო. ახალ სახეობასაც მალე აუღო ალღო. ის კი არა, ორიოდე კვირის წინ მოტოციკლისტთა შეჯიბრშიც სცადა ძალა და ოცდაათამდე მონაწილეს შორის პირველობა არავის დაანება, ჯილდოც შესაფერისი მიიღო — „ვოსხოდის“ მარკის მოტო.

ოლეგ ნაცვლიშვილი

REUTERS სეულიდან

მსაჯებს ოფლი აღვრევინეს

სამხრეთ კორეის მთავარქალაქ სეულში სამსოფლიოჩემპიონატო მსაჯთა მთელი საძმო შეუყრიათ და, აი, ეგრე ოფლიანად და ტანცი-მანცად გამოუცდიათ. 4-დღიან სემინარში ერთბაშად 72 რაგინდარა ჯურის მსაჯს უჯომარდია.

ათიანში მოვარტყამთო

REUTERS სეულიდან

იაპონიის პრემიერ-მინისტრი იუნიჩირო კოიძუმი (მარცხნივ) და სამხრეთ კორეის პრეზიდენტი კიმ დე-ჯუნი, შესაბამისად, სამხრეთ კორეისა და იაპონიის 10-10-ნომრიან მაისურებს წარმოაჩენენ. ეს ამბავი სეულის სამსოფლიოთასო სტადიონზე ხდება. მოგეხსენებათ, წლეულს ჩასატარებელი მსოფლიოს ჩემპიონატი სწორედ ამ ორი კაცის სამწყსოში უნდა გაიმართოს. ამიტომაც შეყრილან და, ეს ამბავი ჩვენ ორ ხალხს შორის აქამდე არსებული გაუგებრობის დასასრული უნდა გახდესო, აი, ეგეთი სიტყვებიც უთქვამთ.

REUTERS პონტე ვედრა ბიჩიდან

მაჩვენე შენი მეგობარი და...

მსოფლიოს უჩაუქეს მეგოლფე ტაიგერ ვუდსს აი, ეგეთი ფიფქინა და მშვენიერი მეგობარი ჰყოლია. მეგობარს ელინ ნორდეგრენი ჰქვია, შვედოგოა და თავისი შავტუხა კაცის საქომაგოდ ფლორიდაში, პონტე ვედრა ბიჩის საგოლფეზე ჩასულა. ტაიგერსაც ყვანჯი გამოუდია და ისე გამწარებით უქნევია, ელინს უთქვამს, კარგი, ბიჭო, ცოტა ჩემთვისაც დაიზოგეთ... ჯანზე ეუბნებოდა...

მეფე-დედოფალმა აფრა გაშალეს

ესპანეთის სამეფო ოჯახი პალმა დე მალიორკაში ჩასულა და იქაურ საიახტო რბოლაში აფრებიც გაუშლია. ფოტოზე მეფე ხუან კარლოსსა და მის სანდომიან მეუღლე სოფიას ხედავთ. აფროსნობა ამ ოჯახის ძველი და კეთილი სპორტული ტრადიცია.

REUTERS პალმა დე მალიორკიდან

სანამ შაიბა სრიალებდეს...

ჩრდილოამერიკული ჰოკეის ლიგის ოსტატებს ჩაფხუტზე ადრე მხოლოდ მათი ამქრის დამლა ეტვიფრათ. 11 სექტემბრის შემდეგ, რაც რომ გადარეულმა ნევრასტენიკებმა კაცობრიობის ისტორიაში უსაშინლესი ტერორისტული აქტი მოახდინეს, ლიგის ღერბს გვერდზე ამ ტრაგედიისას დაღუპულთა მოსაგონარი ნიშანი ამოეშანთა. იქითა შაბათს კოლუმბუსელი ესპენ კნუტსენის მიერ უმძლავრესად გატყორცნილი შაიბა დამცავი შუშისგან ასხლტა და იქვე ტრიბუნაზე მჯდომი 13 წლის ანგელოზი, დიდი ჰოკეის სანახავად პირველად მისული ბრიტანი სესილი სასიკვდილოდ დააშავა. მისი სიცოცხლის გადასარჩენად ორშაბათამდე ამაოდ იბრძოდნენ... ორშაბათის შემდეგ კი ყველა ლიგელს ჩაფხუტზე ლიგის საამქრო ნიშანსა და ტერორისტთაგან მომსპართა მოსაგონარ ემბლემას შორის ბრიტანის ინიციალები ამოუკაწრეს — სანამ შაიბა სრიალებდეს, მანამ არავის დავიწყებოდე, პატარა სიცოცხლევ!



სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ნაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ჟუჟუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ხურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II პორჯუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge